საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№05 (287)
11 – 17 თებერვალი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

მარინ ლე პენი:
## აშშ-ს არ სურს, უკრაინაში მშვიდობა დამყარდეს
3

მამა გიორგი (რაზმაძე):



## მართლა ჰარამხანად და სამეძაო სახლად გინდათ, ეს ქვეყანა გადააქციოთ?!
9

«ეს დახმარება არ არის, ეს არის 30 ვერცხლი, რომელსაც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმს უხდიდნენ საქართველოს დაქცევისთვის, ახლა კი უხდიან «ქართულ ოცნებას»

6




## ჰიბრიდული ომი საქართველოში — ამერიკული დაფინანსებით

8 ნარინჯისფერი ვარდები, ანუ «ნაციონალური» ჯოჯოხეთი
11 სიმბოლური სუვერენიტეტი და სიმბოლური პოლიტიკა
12 გენოციდის შეერთებული შტატები
14 როცა დიდი ომის ზღვარზე დადგა ევროპა
16 ოცნება და რეალობა, ანუ ხელისუფლების უუნარობა თუ სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა
18 ფსიქიატრია, როგორც ცსს-ს ფლაგმანი
19 ბრიტანეთის არმია Facebook-ის მოიერიშეთა რაზმს ქმნის

## მუხანათური ომი ეროვნული თავმოყვარეობის წინააღმდეგ
4





«2008 წლის აპრილში ლონდონის ბირჟაზე 500 მილიონი დოლარი აიღეს. ეს «ნაცებისთვის» ნარკოტიკი აღმოჩნდა»

პეტრე მამრაძე:
10
## «ნაცმოძრაობამ» 4 წელიწადში შეძლო, ქვეყნისთვის 13 მილიარდი ვალი დაედო!

## რისთვის გამოუყო ვაშინგტონმა საქართველოს 51 მილიონი?!
7

შტეფან შენახი:
2
## ნატო არ შეიფარებს არც საქართველოს და არც უკრაინას





## ამბები

# ალექსანდრე გრუშკო: საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნა პროვოკაციული ნაბიჯია

**„ნატოს არ სჭირდება საწვრთნელი ცენტრი საქართველოში. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიგებთ ამ ნაბიჯის მნიშვნელობას და მიგვაჩნია, რომ საქართველოში ნატოს სამხედრო ობიექტის გამოჩენა რეგიონში უსაფრთხოების მხრივ ვითარების გაუარესებას და დაძაბულობის გაზრდას გამოიწვევს", — განაცხადა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე გრუშკომ.** საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნა გასული წლის უელსის სამიტზე შეთანხმებული პაკეტის ფარგლებში იგეგმება. როგორც ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრის შემდეგ ბრიუსელში ალიანსის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, სამხედრო სასწავლო ცენტრში ნატოს, საქართველოსა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ჯარისკაცები გაივლიან წვრთნას.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 1 აპრილიდან დაიწყება

**შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, დაუბეგრავი მინიმუმის შესახებ დეკლარაციის შევსება პირველი აპრილიდან დაიწყება და თანხა სამი თვის ვადაში ჩაირიცხება.**

„დეკლარაციის შევსება 1 აპრილიდან დაიწყება, შევსებიდან სამი თვის განმავლობაში მოხდება თანხის ჩარიცხვა, თუ, რა თქმა უნდა, პირს ბუღალტერია წესრიგში აქვს და შესაბამისად მიუთითებს იმ საბანკო ანგარიშს, რომლითაც სარგებლობს. პირობები იგივე იქნება, რაც 2014 წელს იყო, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიში და სისტემაში მთლიანად უნდა იყოს ნაჩვენები ის ხელფასი, რომელიც მას ერიცხება", — განაცხადეს შემოსავლების სამსახურში.

შეგახსენებთ, რომ დაუბეგრავი მინიმუმით სარგებლობა იმ მოქალაქეებსა შეუძლიათ, რომლებსაც 2014 წელს ხელფასის სახით 1800-დან 6000 ლარამდე აქვთ აღებული. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს, დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ ხელფასის ოდენობა 1800 ლარზე ნაკლებია, დაბრუნებას კონკრეტული თანხის 20 პროცენტი ექვემდებარება.

2014 წელს დაუბეგრავი მინიმუმი 470 ათასზე მეტ მოქალაქეს დაუბრუნდა და თანხის ოდენობა ჯამში 131 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

დეკლარაციის შევსება 1 აპრილიდან შეგეძლებათ მოცემულ ბმულზე: **http://rs.ge/5924**



# თბილისის იერის დამახინჯებისთვის მოქალაქეს ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრება

**თბილისის მერიის ინფორმაციით, შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხენარგავებზე წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება, ასევე, პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც ამისათვის არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი გამეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.**

პირი, რომელიც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ჩაიდენს ანალოგიურ ქმედებას — 1000 ლარით, ხოლო განმეორების შემთხვევაში, 2000 ლარით დაჯარიმდება. ამასთანავე, დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ასევე ისჯება სხვადასხვა წარწერის, ნახატის, სიმბოლოს თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობების ფასადებზე, აგრეთვე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ტროტუარებსა და სატრანსპორტო საშუალებეhბის სავალ ნაწილზე. ამ ტერიტორიების დამახინჯების შემთხვევაში, მოქალაქე 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისას კი ჯარიმა გაორმაგდება. თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, შესაძლებელია, პირს 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდოს.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

# საქართველოს ხელისუფლება მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების შესახებ ისაუბრა.** „ჩვენ ღია ვართ ნებისმიერი დისკუსიისა და მოლაპარაკებისთვის. ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ჩვენ გვსურდა მათთან ურთიერთობების ნორმალიზაცია. გამოვთქვით მზადყოფნა მაღალი დონის მოლაპარაკებებისთვის. მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ აუცილებელია ამ შეხვედრისთვის მომზადება. პრეზიდენტმა პუტინმაც განაცხადა, რომ მზადაა საქართველოს ახალ ლიდერებთან შესახვედრად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენც მზად ვართ ამისთვის, მაგრამ, რასაკვირველია, ამას მომზადება სჭირდება და ჩვენ უნდა ვიყოთ შედეგებზე ორიენტირებულნი. დავამატებ, რომ დღეს ჩვენ ვხედავთ ნების ნაკლებობას", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### შტეფან შენახი:

# ნატო არ შეიფარებს არც საქართველოს და არც უკრაინას



**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარემ შტეფან შენახმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოსა და ნატოს ურთიერთობაზე ისაუბრა. მისი თქმით, რუსეთის ინტერესებში არ შედის გამუდმებული კონფლიქტი ევროპასა და საზოგადოდ, მსოფლიოსთან, თან სანქციების მოხსნაც სურს.**

„ჩვენ მოლაპარაკების მაგიდას უნდა დავუბრუნდეთ, სხვა გამოსავალი არ არსებობს. თანაც უკრაინამაც უნდა გაითავისოს, რომ ერთობ უჩვეულო გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია. იგივე ითქმის საქართველოზეც: ნატოში გაწევრების მოთხოვნა კონფლიქტის გაღვივებას ნიშნავს. ამავე მიზეზით **ნატო არ შეიფარებს არც საქართველოს და არც უკრაინას, რადგან ბრიუსელში იციან, რომ ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრის. ასეთი ტიპის სიმბოლური პოლიტიკა არაფერში გამოადგებათ"**, — განაცხადა შტეფან შენახმა.

მისივე თქმით, უკრაინამაც და საქართველომაც უნდა გაიზიარონ, რომ დიდ მეზობელთან ერთად სახიფათო სიტუაციაში აღმოჩნდნენ და უნდა იფიქრონ ალიანსის გარეშე არსებობაზე.

**„უნდა იფიქრონ იმაზე, რომ გაძლიერდნენ ალიანსის წევრობის გარეშე და მზად იყვნენ ურთიერთობისთვის როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან, ღია იყვნენ როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ევრაზიული კავშირისთვის"**, — განაცხადა შტეფან შენახმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ დადგა რუსეთისთვის სანქციების დაწესების საკთხი 2008 წელს, ევროსაბჭოს კომიტეტის მონიტორინგის თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკრაინისა და 2008 წლის კონფლიქტების შედარება შეცდომაა.

„2008 წელს მსოფლიო ერთობ უკმაყოფილიყო იყო იმით, რომ საქართველომ პრობლემის გადაჭრა სამხედრო გზით სცადა. იმ ათასობით ადამიანს, რომლებიც საქართველოსა და უკრაინაში კონფლიქტებს ემსხვერპლნენ, ერთი რამ შემიძლია ვუთხრა: ჩვენ დაუყონებლივ უნდა შევაჩეროთ ეს ომი არა ძალის, არამედ პოლიტიკური შეთანხმებისა და დიალოგის გამოყენებით", — აღნიშნა ევროსაბჭოს კომიტეტის მონიტორინგის თავმჯდომარემ.

# იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით პოლიციელი დააკავეს



**7 თებერვალს სამართალდამცველებმა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. ჩამდენი პირი დაკავებულია. კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად დაკავებულია პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი, რომელიც კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოდანაა და დაკავებამდე ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში (წალკის რაიონში) მუშაობდა.**

2015 წლის 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში ახლობლის დაკრძალვაზე ჩასული იური ვაზაგაშვილი მივიდა თავისი შვილის — ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე, სადაც დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების შედეგად ადგილზევე დაიღუპა.

პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, გამოძიების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნაპოვნი იქნა აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილი ე. წ. ფალიის სახელური, რომელზეც აღმოჩნდა ადამიანის დნმ-ის კვალი. დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე, რომელთა მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილი და დაკავებული იქნა პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი. დადგინდა, რომ სოსანაშვილი 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და მისი დნმ, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებულ ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე ნაპოვნ დნმ-ს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გია სოსანაშვილის მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად.

საქმეზე გრძელდება გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 14 წლამდე ვადით.



### ლევან ჩაჩუა:

# ჟვანიას გარდაცვალების მიზეზი მერაბიშვილმა ექსპერტიზამდე იცოდა

**ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებულმა ექსპერტმა ლევან ჩაჩუამ 10 თებერვალს საქალაქო სასამართლოს პირველი ჩვენება მისცა. აქამდე ის დუმილის უფლებით სარგებლობდა.**

ლევან ჩაჩუას განცხადებით, 10 წლის წინათ მას ლევან სამხარაულმა უთხრა, რომ შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს, დილის 7 საათზე, უკვე ყველაფერი იცოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2005 წლის თებერვალში, გვამებზე ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ექსპერტიზის ბიუროს იმჟამინდელი ხელმძღვანელის — ლევან სამხარაულის კაბინეტში იმყოფებოდა. ოთახში ჩართული იყო ტელევიზორი, სადაც ერთ-ერთი პოლიტიკოსი ტელევიზიით გამოდიოდა და ვანო მერაბიშვილს იმის გამო აკრიტიკებდა, რომ შს მინისტრმა ექსპერტიზამდე განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი ბუნებრივი აირის მოწამვლით გარდაიცვალნენ. ლევან სამხარაულმა ჩაჩუას უთხრა, რომ ვანო მერაბიშვილმა 7 საათზე იცოდა ყველაფერი.

ლევან ჩაჩუას ადვოკატმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამის შემდეგ მედიამ და საზოგადოებამ დასკვნები თვითონ გამოიტანოს.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბანკი HSBC ტერორისტების დამფინანსებლებთან კავშირში ამხილეს

**მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი ბანკის — HSBC-ის შვეიცარიის ფილიალი მრავალი წლის განმავლობაში საეჭვო ოპერაციებს ახორციელებ-და საიდუმლო კლიენტებთან. ამის შესახებ ჟურნალისტური გამოძიება ბრიტანულმა გამოცემა The Guardian-მა გამოაქვეყნა.** „გარდიანმა", ბრიტანულ „ბი-ბი-სი"-სთან, ფრანგულ გამოცემა „ლე მონდსა" და ვაშინგტონში დაფუძნებულ საერთაშორისო საგამოძიებო ჟურნალისტურ კონსორციუმთან ერთად, HSBC-ის საიდუმლო დოკუმენტები გამოამზეურა. მონაცემები საგამოძიებო ჯგუფს ბანკის ჟენევის ოფისში კომპიუტერის ექსპერტად მომუშავე პირმა მიაწოდა, რომელიც ფარულად გამოტანილი დოკუმენტებით საფრანგეთში გაიქცა. საქმე ეხება მსოფლიოს მასშტაბით, HSBC-ის ათიათასობით ფარულ კლიენტს. საიდუმლო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ გიგანტი ბანკი HSBC ბიზნესს აწარმოებს იარაღისა და ნარკოტიკების დილერებთან, ტერორიზმის დამფინანსებლებთან, „სისხლიანი ალმასებით" მოვაჭრე და სხვა საერთაშორისო დამნაშავეებთან. ასეთი ადამიანების ანგარიშზე არსებული თანხა ბანკ HSBC-ში 100 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა. მსოფლიოში სიდიდით მეორე ბანკი აღიარებს, რომ შვეიცარიის ოფისში კანონდარღვევები ადრე იყო და ამტკიცებენ, რომ ახლა პრობლემა მოგვარებულია.



# ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ლატვიას ევროკავშირიდან გამოსვლა ურჩია

**ბრიტანეთის პარლამენტის წევრი დუგლას კარსველი თვლის, რომ ევროკავშირიდან ბრიტანეთის შესაძლო გამოსვლა ბევრ ქვეყანას აიძულებს, დაფიქრდეს — სურს თუ არა, იყოს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი.**

ბრიტანელმა პარლამენტის წევრმა 2017 წელს ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე საუბრისას განაცხადა, რომ ბრიტანეთს ევროკავშირის სხვა ქვეყნებმა, მათ შორის, ლატვიამაც უნდა მიბაძოს.

„როდესაც დიდი ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს და ვიმედოვნებ, ასე მოხდება, სხვა ქვეყნებმაც უნდა დაუსვან საკუთარ თავს კითხვა — სურთ თუ არა, იყვნენ თავიანთი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი. ჩვენ გავხდებოდით კარგი მეზობლები, გავაფორმებდით ხელშეკრულებებს თავისუფალ ვაჭრობაზე და სხვ.", — განმარტა დუგლას კარსველმა.

ლატვია ევროკავშირში 2004 წლის 1 მაისს შევიდა, ევროზონაში — 2014 წელს. ზოგი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ევროკავშირის გაფართოება ნეგატიურ შედეგს გამოიღებს, რადგან სავალუტო კავშირის წევრ ქვეყნებს ძველი ეკონომიკური პრობლემები არ მოუგვარებიათ. გარდა ამისა, ევროკავშირის მთავარი მოთამაშეები ვერ თანხმდებიან ბევრ საკითხზე — ახალი გადასახადებით დაწყებული, საშინაო პოლიტიკური კურსით დამთავრებული.



# მარინ ლე პენი: აშშ-ს არ სურს, უკრაინაში მშვიდობა დამყარდეს

**უკრაინის კრიზისის მოგვარება ამ ქვეყნისათვის ნეიტრალური სტატუსის მინიჭებით შეიძლება. ეს თვალსაზრისი გამოთქვა ფრანგმა პოლიტიკოსმა, ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა.**

„უკრაინის კრიზისი ძალიან რთული საკითხია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი მოგვარება ამ ქვეყნისთვის ნეიტრალური სტატუსის მინიჭებით არის შესაძლებელი. არადა, კონფლიქტი უკრაინის ნატოში შესვლის სურვილის გამო დაიწყო.

იძულებული ვართ, უკრაინაში საქმე დავიჭიროთ უკანონო მთავრობასთან, რომელიც ხელისუფლებაში მაიდანზე მოწყობილი რევოლუციით მოვიდა, და დღეს დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობას ბომბავს. ეს სამხედრო დანაშაულია, რომელმაც იმ ადამიანის უფლებების დამცველთა აღშფოთება უნდა გამოიწვიოს, რომელთა სრულიად საწინააღმდეგო განცხადებებსაც ყოველდღიურად ვუსმენთ ფრანგულ მედიაში. **დადგა იმის აუცილებლობა, რომ უკრაინაში გაეროს ჯარები შევიყვანოთ, მაგრამ ამისათვის გაეროს უშიშროების თანხმობაა საჭირო. შესაბამისად, აშშ-ის თანხმობაც, რომელიც სრულიად არ იქნის დაინტერესებული, უკრაინაში მშვიდობა დამყარდეს. ისინი მხარს უჭერენ ომს. ისე, როგორც ეს მოხდა ირანში, ლიბიასა და სირიაში.**

ევროპის ქვეყნების ხელისუფლებებმა კი გონიერება დაკარგეს, არ სურთ, ბოლო მოუღონ ამერიკის დიპლომატიაზე დამოკიდებულებას და მშვიდობის დასაცავად გამოვიდნენ. მხარს ვუჭერ ოლანდისა და მერკელის სამშვიდობო ინიციატივას, მაგრამ აშშ შეეცდება, ვითარება ომისკენ წაიყვანოს", — განაცხადა მარინ ლე პენმა რადიოსადგურ RTL-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.



# მაკკეინმა კიევის მიერ კასეტური ბომბების გამოყენებაში აშშ-ის ბრალი აღიარა

**6 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც უკრაინისთვის იარაღის მიწოდების ინიციატივას მიეძღვნა, შეიარაღებული ძალების საკითხების აშშ-ის სენატის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯონ მაკკეინმა აღიარა, რომ უკრაინის მიერ კასეტური ბომბების გამოყენება ნაწილობრივ აშშ-ის ბრალია.**

„ჩვენ (აშშ-ს — რედ.) უკრაინელებისთვის ის იარაღი რომ მიგვეწოდებინა, რომლებიც სჭირდებოდათ, კასეტურ ბომბების გამოყენება არ მოუწევდათ, ამიტომ ეს ნაწილობრივ ჩვენი ბრალია. თუკი ვაშინგტონი გადაწყვეტს უკრაინის ხელისუფლებისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას, მაშინ იქ ამერიკელი სამედრო კონსულტანტებიც უნდა გაგზავნოს. უკრაინელებს კი სარაკეტო კომპლექსი „ჯაველინი", სადაზვერვო მონაცემები და უამრავი რამ სჭირდებათ". — განუცხადა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის" ჟურნალისტს ჯონ მაკეეინმა, რომელიც ამერიკელი სენატორების ჯგუფთან ერთად უკრაინისთვის იარაღის მიწოდების ინიციატივით გამოვიდა.

2014 წლის ნოემბერში უფლებადამცველმა ორგანიზაცია „ჰუმან რაითს უოჩმა" თავის მოხსენებაში დაადასტურა, დონეცკისა და ლუგანსკის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადება, რომ უკრაინის არმია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტურ ბომბებს იყენებს.

2015 წლის თებერვალში ეუთოს კომისიამ დაადასტურა, რომ ლუგანსკი კასეტური საბრძოლო მასალებით დაბომბეს.

# ვიქტორია ნულანდის თანაშემწის სენსაციური აღიარება აშშ-ის საიდუმლო ოპერაციებზე

**პოპულარულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ბენჟამინ ვულფორდმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე Weekle geo-political news and analysis გამოაქვეყნა სენსაციური სტატია, რომლის შემოკლებულ ვერსიასაც გთავაზობთ.**

„გერმანელებმა დააპატიმრეს ვიქტორია ნულანდის (აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში. — რედ.) თანაშემწე — Vanguard Corporation-ის თანამშრომელი ამ კორპორაციის მიერ „მილიარდი მაღალხარისხიანი ყალბი დოლარის დამზადების" ბრალდებით. ამ თანამშრომელმა „ჩაუშვა" Vanguard Corporation-ი თავისი კომპანიებით, აგრეთვე, **მაკკეინი, ნულანდი, კერი, ბრენანი** და სხვ.

მან ჩვენება მისცა, რომ Vanguard Corporation-მა მილიარდი ყალბი დოლარი დაბეჭდა იმ დაქირავებულთა ანაზღაურების გასასტუმრებლად, რომლებიც იბრძვიან სირიაში, ერაყში, უკრაინაში, ლიბიაში და ა.შ. კერძოდ, ეს დოლარები გადაეცათ დაქირავებულებს „გრეისტაუნიდან" (ამერიკული კერძო სამხედრო კომპანია), აგრეთვე, „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს.

ნულანდის თანაშემწე ამბობს, რომ Vanguard Corporation-სა და „ისლამურ სახელმწიფოს" შორის ნავთობის მოპოვებაზე გარიგება არსებობს.

გერმანელი სამართალდამცველების მიერ დაპატიმრებულის თქმით, 2014 წლის თებერვალში უკრაინაში ვითარება იმიტომ დაიძაბა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ვერ შეძლო რუსეთის ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა ახალი ფასით. ევროკავშირი, განსაკუთრებით — გერმანია, შეეცადა არბიტრის როლის შესრულებას. „სწორედ მაშინ **სიუზენ რაისმა** (აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში) გადმოგვცა ნულანდის ბრძანება, რომ სნაიპერებმა „ცოტა პანიკა" უნდა შექმნან.

მეორე დღეს უკრაინას უკვე „ახალი მთავრობა" ჰყავდა, ნულანდისა და ჯონ მაკკეინის მითითებებით შერჩეული.

როდესაც ობამამ შეიტყო, რომ სნაიპერები (მაიდნის) ნატოში (პოლონეთში) იყვნენ გაწვრთნილი და ოპერაცია Vanguard-ის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იყო ორგანიზებული, კინაღამ გულის შეტევა დაემართა.

ახლა ობამა ხვდება, რომ მარიონეტია, რომელსაც თოკებით ათამაშებენ, „სისხლიანი შავკანიანი".


Weekly geo-political news and analysis

Message from Benjamin Fulford

Home | About | FAQ | Sample Report | Log In | Register

Germans have arrested Victoria Nuland's assistant, who in addition, is an employee of Vanguard Corporation, with almost a billion of high quality fake dollars, printed by Vanguard Corporation. This employee (is a member of the State Department), and now, during his interrogations, he "put under bus" Vanguard Corporation with all of its companies and "putting under bus" Nuland, McCain, Kerry, Brennan and others...

He testified how the Vanguard Corporation has printed billions of high quality fake dollars and paid to mercenaries in Syria, Iraq, Ukraine, Libya, etc and paid mercenaries of Greystone and ISIS. He testifies about connections and oil deals between Vanguard Corporation and ISIS.

სხვათა შორის, 18 მაისს „უკრაინის" ჯარების თავდასხმას სლავიანსკზე გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 19 აგენტის სიცოცხლე შეეწირა, 14 კი დაიჭრა. „გრეისტაუნმა" 17 კაცი დაკარგა, „აკადემიმ" (კერძო სამხედრო კომპანი) — 59.

„გფბ-ს აგენტები" სინამდვილეში Vanguard-ის წარმომადგენლები იყვნენ. მათ ყალბი დოკუმენტებით მიიღეს უკრაინული მოწმობები, რომლებიც საშუალებას აძლევთ, უბრძანონ უკრაინის ყველა ძალოვანს".

დაპატიმრებულმა პირმა მოყვა, რა ურთიერთობა ჰქონდა იგორ კოლომოისკისთან (ოლიგარქი, რომლის ქონებაც შეფასებულია 3,6 მლრდ დოლარად, ამჟამად დნეპროპეტროვსკის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) და მასთან ერთად როგორ ავრცელებდა ყალბ დოლარებს უკრაინაში.


ბენჟამინ ვულფორდი

გერმანელები დაპატიმრებულს გათავისუფლებასა და დაცვას დაჰპირდნენ, თუკი ყველაფერს იტყვის, რაც იცის".

# ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი: ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოსკოვთან ერთად უნდა მოხდეს

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოსკოვთან ერთად უნდა მოხდეს და არა მის წინააღმდეგ.**

„უკრაინის კრიზისმა დაგვაყენა კითხვის წინაშე, როგორ უნდა იყოს რუსეთი მომავალში საერთაშორისო წესრიგში ინტეგრირებული. ჩვენთვის, ევროპელებისთვის, ეს კონფლიქტი ნიშნავს, რომ ევროპაში მუდმივი უსაფრთხოება შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი მხოლოდ მოსკოვთან ერთად და არა მის საწინააღმდეგოდ", — აღნიშნა შტაინმაიერმა.

მისივე თქმით, მოსკოვმაც უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთისთვის არსებობს კარგი პერსპექტივა „მხოლოდ ევროპასთან ერთად" და ეს ნიშნავს, რომ მოსკოვი არ უნდა მოქმედებდეს ბრიუსელის წინააღმდეგ.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინელი ხალხის ტრაგედიაში ლომის წილი დასავლეთისგან დაფინანსებულმა ადგილობრივმა ასოებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა) შეიტანეს. ასოებმა, რომლებმაც სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოახერხეს და კულტურულად, ისტორიულად, სარწმუნოებრივად, პრაქტიკულად, ერთი ერი — უკრაინელები და რუსები — სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდეს ერთმანეთს.**

# მუხანათური ომი ეროვნული თავმოყვარეობის წინააღმდეგ

**მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ნეოლიბერალური დიქტატურა, პრაქტიკულად უკვე დამყარებულია დასავლეთის „დემოკრატიებში“. რისი უპირველესი ნიშანი ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მეშვეობით, სწორედაც რომ დისკრიმინაციაა ყოველივე ეროვნულისა ტრადიციულის. და, რა თქმა უნდა, თუ ჯერჯერობით დე იურე არა, დე ფაქტო ყველგან ლეგალიზებულია ერთსქესიანთა ქორწინებები!**

ამ რეალობის შესაბამისად, **რეფორმირებული განათლების სისტემის მოთხოვნით, ბავშვებს აღარ ასწავლიან ძმები გრიმებისა თუ ანდერსენის ზღაპრებს, რომლებშიც პრინცს პრინცესა უყვარს, ანუ კაცს — ქალი. ამის ნაცვლად ისეთი ზღაპრები შექმნეს, რომლებშიც მეფეს პრინცი უყვარდება და მასზე ქორწინდება.** საბავშვო კომპოზიტორები ორი მამის ან ორი დედის ტექსტებზე ქმნიან სიმღერებს...

**ჰოდა, კაი ბიჭი ხარ და ხმა ამოიღე — გააპროტესტე მშობელმა და შვილი არ გაუშვა ე.წ. გენდერული იდენტობის გაკვეთილზე, სადაც შენს პირმშოს უჩიჩინებენ, რომ ის არც გოგოა, არც ბიჭი და, როცა გაიზრდება, თვითონ გადაწყვეტს, ვაჟად დაბადებული, კაბით ივლის თუ კონჩიტა მარტინესივით წვერს მოუშვებს — ფულად ჯარიმას არ გაკმარებენ და რამდენიმე „სუტკით“ „ადინოჩკა“ საკანშიც ჩაგსვამენ!**

სწორედ ასე დასაჯეს ამას წინათ გერმანიაში 9 შვილის მამა; გერმანიაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაკანონებული ელ-გე-ბე-ტე-პედერასტების ქორწინებები?!

ასეთ რაღაცებზე, რა თქმა უნდა, დუმს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით აღფრთოვანებული ჩვენი ნეოლიბერალი ხელისუფლება, ოპოზიცია, მათი სატელიტი არასამთავრობოები.

იმასაც ხშირად მოისმენ ევროპა-ნატოს მეხოტბე ადგილობრივი ნეოლიბერალებისგან, რომ მსგავსი საფრთხეები ჩვენ არ გვემუქრება, რაც მტკნარი სიცრუეა:

მუშკეტერების, ლინო ვენტურას, ჟან გაბენის, ალენ დელონის, პროსპერ მერიმეს, მატეო ფალკონეს საფრანგეთი გააბახეს ამას წინათ ჩვენ თვალწინ და ქართველები ვის დავკარგვივართ, ჩვენს ხოშზე ვინ გვაგულავებს ნეოლიბერალური დიქტატურის ევროპა-ამერიკაში?..

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის მორიგი სკანდალური ინტერვიუდან იმ სამ საკითხს გამოვყოფ, რომლებშიც ვეთანხმები და რომლებმაც მეტ-ნაკლებად შეარბილა ინტერვიუს მიმართ საზოგადოების აღშფოთება:

**პირველი — მართლაც, ვინც უკრაინაში „გმირული“ ბრძოლისკენ მოუწოდებს ჩვენს ახალგაზრდებს, ჯერ საკუთარი შვილები გაუშვან უაზრო სასაკლაოზე; მეორე — „რუსთავი 2“-ის, როგორც სიცრუის მანქანისა და ნაცბანდის პროპაგანდისტის მხილება; მესამე — ქართული არასამთავრობოების წამყვან პირებზე — კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარიას — „ტროიკაზე“ დარტყმა.**

სამივე ეს საკითხი, პირდაპირ თუ ირიბად, არის დაკავშირებული წინამდებარე წერილის მთავარ თემასთან...

უკრაინაში, საბოლოო ჯამში, აშშ-ის მეთაურობით, ევროკავშირის ნეოლიბერალური იმპერია ებრძვის რუსეთს, როგორც ტრადიციული ფასეულობების დამცველ, კონსერვატიულ იმპერიას!

დიახაც, რუსეთს, რადგან მხოლოდ რუსეთია ერთადერთი ხელისშემშლელი ძალა მსოფლიოში ნეოლიბერალური დიქტატურის დამყარების გზაზე!

**იქიდან გამომდინარე, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია თავშივე გამორიცხავს ქრისტიანობის მიერ აღიარებულ ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს, საბრძოლო პოლიგონად ქცეულ უკრაინაში, აშშ-რუსეთის დაპირისპირებას, თამამად შეიძლება კულტურათა, ცივილიზაციათა, უღმერთობასა და ქრისტიანობას შორის ომი ვუწოდოთ.**

თუმცა ქრისტიანობა ფართო ცნებაა და ჩვენს შემთხვევაში — არაზუსტიც, რადგანაც რომის კათოლიკური, ინგლისის ანგლიკანური, გერმანიის ლუთერანული თუ პროტესტანტული ეკლესიები მსოფლიო ნეოლიბერალურ სახელისუფლებო წრეებში დიდი ხანია, აღარ განიხილება როგორც წინაღობა ნეოლიბერალური დიქტატურის დამყარების გზაზე. ამ ეკლესიებში შეგზავნილ-ჩანერგილმა აგენტებმა მოახერხეს და გაალიბერალეს თავის დროზე კონსერვატიული იდეოლოგიის მქადაგებელნი! ამის დასტურია დედაკაცი მღვდლების მომრავლება და გნებავთ, ერთსქესიანი წყვილების „ჯვრისწერის“ პრეცედენტები.

**მხოლოდ მართმადიდებელი ეკლესიაა ის ძალა, რომელიც ჯერჯერობით მტკიცედ დგას რელიგიური დოგმატების, საზოგადოების ზნეობის სადარაჯოზე!**

ჯერჯერობით, რადგან ნეოლიბერალი აგენტები მართლმადიდებელ ეკლესიებშიც



**უკრაინას ეთნიკური უკრაინელები აღარ მართავენ, როგორც სახელმწიფო, მოშლილი და დანგრეულია. ერთადერთი, რისი უფლებაც ეთნიკურ უკრაინელებს და იაროშის მაგვარ ნაციონალისტებს დაუტოვეს, არის ერთმანეთის უმოწყალო ხოცვა სამოქალაქო ომში**

მუშაკობენ...

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს რომ უდიდესი, უმდიდრესი და უძლიერესი ეკლესიაა მართლმადიდებელ სამყაროში, სადავო არ არის!

დახედეთ, მე ვიტყოდი, ელ-გე-ბე-ტე-პედერასტების ზეობის ამსახველ მსოფლიოს რუკას, სადაც **მუქი ლურჯი ფერით არის გამოყოფილი ის სახელმწიფოები, რომლებშიც ერთსქესიანი ქორწინებების უფლება კანონით არის გარანტირებული და ნახავთ, რომ ნეოლიბერალური დიქტატურა ლამის სრულიად ამერიკის კონტინენტზეა დამყარებული, პლუს სამხრეთ აფრიკა და დასავლეთ ევროპის (ბენილუქსი, სკანდინავია) ქვეყნები. ცისფრად ის ქვეყნებია „შეღებილი“, სადაც ერთსქესიანთა ქორწინების აქტი სრულდება კანონით; მწვანედ — ისინი, სადაც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა მხარდამჭერი განჩინება, მაგრამ ჯერ არ აღსრულებულა; ყავისფრად — ისინი, სადაც საკითხი პოლიტიკური განხილვის სტადიაშია და, თავად განსაჯეთ, რას ნიშნავს ევროპული, დასავლური ფასეულობები და საით მიექანება „განათლებული“ ამერიკა-ევროპა?..**

როგორც რუკიდან ჩანს, მხოლოდ „ველური“ აფრიკა, ისლამური სამყარო და ევრაზიის კონტინენტი (წაიკითხე, რუსეთი) გაჩხერიათ ყელში მსოფლიოს ნეოლიბერალებს.

აფრიკა და, მით უმეტეს, ისლამური სამყარო თავიანთ თავს მიხედავენ, რადგანაც ისლამურ სახელმწიფოებში, მეტ-ნაკლებად ყველგან, შარიათის „დემოკრატია“ მუშაობს და ალაჰმა ხელი მოუმართოთ, ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

უკრაინელი ხალხის ტრაგედიაში ლომის წილი დასავლეთისგან დაფინანსებულმა ადგილობრივმა ასოებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა) შეიტანეს. ასოებმა, რომლებმაც სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოახერხეს და კულტურულად, ისტორიულად, სარწმუნოებრივად პრაქhტიკულად ერთი ერი — უკრაინელები და რუსები — სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდეს ერთმანეთს.

მიუხედავად ამისა, ისინი, როცა იქნება, შერიგდებიან, ის ქართველები კი, რომლებიც ანგარების თუ უფრო უარესი, ნეოლიბერალური რწმენის გამო, კიევის ფაშისტური რეჟიმის მხარეს იბრძვიან, როდესაც ე. წ. სეპარატისტები გაიმარჯვებენ, რას იზამენ?

თუმცა, რაც უნდათ, ის უქნიათ...

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სიძლიერე არა მხოლოდ მრევლის სიმრავლესა და რწმენაშია, არამედ იმაშიც, რომ რუსეთში ერი და ბერი, სახელმწიფო და ეკლესია, ერთსულ და ერთხორც არიან და ღვთის იმედთან ერთად, ბირთვული პოტენციალის იმედიც აქვთ!

აღსანიშნავია, რომ **რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც 100 წლით(!) არის აკრძალული გეიპროპაგანდა და, აქედან გამომდინარე, ერთსქესიანთა ქორწინებებიც.**

თუნდაც მხოლოდ ამიტომ, ამერიკა-რუსეთის ომში ყველა ნორმალური, მართლმადიდებელი ქართველის სიმპათია ერთმორწმუნე რუსეთის მხარესაა!

აღარაფერს ვიტყვი აფხაზეთის თუ ცხინვალის თემაზე, რომლის გადაჭრაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე უტოპიაა...

უკრაინისა არ იყოს, **ქართული არასამთავრობოების უმრავლესობა საქართველოში მსოფლიოს ნეოლიბერალების მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ!**

ელ-გე-ბე-ტე-პედერასტებით დაწყებული, სატანისტი სექტებით გაგრძელებული და მაწანწალა ძაღლების უფლებების დაცვით დამთავრებული, ყველაფრით ებრძვიან ყოველგვარ ქართულს, ეროვნულს, ტრადიციულს, მართლმადიდებლურს.

**აი, რისთვის უხდიან ფულს კარლ ბილდტის მსგავსი დასავლელი „მეგობრები“ კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარას „ტროიკას“...**

**2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ ასოებმა კიდევ ერთი ფარული ფუნქცია იკისრეს — „ნაცბანდის“ გადარჩენა-რეაბილიტაცია.**

**ეს ახლა დაინტერესდნენ ციხეებში პატიმრების ყოფით, თორემ სააკაშვილის ზეობის პერიოდში პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული და თვალებზე ლიბრი გადაკრული, არადა, პატიმრებს ხმამაღლა ლაპარაკისთვის ცემით კლავდნენ, სადისტურად აწამებდნენ და ცოცხებით აუპატიურებდნენ!**

**ეს ის ხალხია, რომელთა დაჟინებული მოთხოვნითაც გაანადგურეს „ნაცების“ სადისტობის დამადასტურებელი ათასობით ვიდეოფაილი!**

არადა, ის კადრები სრულიად საქართველოს უნდა ენახა და „ნაცმოძრაობაც“ მყისვე დამთავრდებოდა!

ეს ის ხალხია, რომელსაც კრინტი არ დაუძრავთ და, თუ დაუძრავთ, ყასიდად წაუკნავლებიათ 7 ნოემბერზე, 26 მაისhზე, ციხის ბუნტზე, ასობით ახალგაზრდის ქუჩაში დახვრეტაზე!

ახლა, ზემოხსენებული „ტროიკა“ იტყვის, ჩვენ იმხანად ასოების ხელმძღვანელები არ ვყოფილვართო და ზოგიერთ, უფრო ადრეულ ეპიზოდებში პირადად შეიძლება, არც მონაწილეობდნენ, მაგრამ სახელებს რა მნიშვნელობა აქვს, მათი ორგანიზაციები ხომ იყვნენ?

**ეს ის ხალხია,** რომელმაც ამას წინათ ხელისუფლებას მინისტრის მოადგილის პოსტიდან სანდრო ბრეგაძის გათავისუფლება მოსთხოვა იმის გამო, რომ სანდრომ ჩვენი პატრიარქისა და ეკლესიის შეურაცხყოფისთვის „იდენტობის“, ანუ პედერასტების ბელად ირაკლი ვაჭარაძეს ავადმყოფი უწოდა!

ახლა კი ვაიუშველებელი ატეხეს დასავლეთის ნეოლიბერალმა „შნირებმა“ ბიძინა ივანიშვილის გამო — ჩვენ კითხვების დასმას როგორ გვიბედავსო. მათ ოპერატიულად გამოეხმაურნენ ჩვენი ასოების პატრონები ევროკავშირიდან და თავიანთ „შნირებზე“ ზეწოლაში დაადანაშაულეს ბიძინა ივანიშვილი და გოგა ხაინდრავა!

**ეს ის ხალხია,** ვინც კრინტს არ ძრავს სააკაშვილის ხელისუფლების ფაშისტურ რეჟიმად გამოცხადებასა და პრეზიდენტყოფილის დაპატიმრებაზე, რაც ქართველი ხალხის უმრავლესობის მოთხოვნაა!..

ამას წინათ ჩემმა მეგობარმა ნანა დევდარიანმა სწორედ კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურის „ტროიკას“ არასამთავრობოთა კლანი უწოდა, რომელთა ვიზირების გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდება.

მართლაც, ყველა საკითხზე ამ ხლისტების კლანს სთხოვენ კომენტარს, ყველა ტელეეთერში ეს ლაწირაკები სხედან და საზოგადოებას მოძღვრავენ!

ბიძინა ივანიშვილის მიერ ასოების „ტროიკაზე“ შეტევის გამო, დანარჩენმა, ნაკლებწონიანმა 35 ასომ რუსეთისკენ გაიშვირა ხელი, — იქაც განახორციელეს ასოებზე შეტევაო.

▶

„ამ სიაში მოხსენიებულია ის პირები, რომლებიც დღემდე მუშაობენ შსს-ში და მზად არიან, სააკაშვილის ბრძანებით ჩაერთონ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებებში. ესენი არიან ჩანერგილები, რომლებიც სააკაშვილმა დაგვიტოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არადა, **რუსეთში კანონმდებლობით არის რეგულირებული ასოების მოღვაწეობა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები ვალდებული არიან, თითოეული ცენტის ხარჯვა ამცნონ შესაბამის ორგანოებს.**

ჰოდა, თუ ეს არის დემოკრატიაზე შეტევა, მაშინ გაუმარჯოს ასეთ შეტევას, რადგანაც, **თუ არ აილაგმა ასოების უკონტროლო თარეში, თუ არ დამთავრდა სააკაშვილის წანწალი ევროპა-ამერიკაში, თუ არ მიეცა პოლიტიკური შეფასება 9-წლიან ფაშისტურ რეჟიმს და „ნაცმოძრაობა“ სამუდამოდ არ გადაშენდა, საქართველოს მოსვენება და წინსვლა არ უწერია!**

ამ რეჟიმის დანაშაულებრივი საქმიანობის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება ეროვნული ღირსების საკითხია. ღირსებიhსა, რომელიც „ტვინების გამორეცხვის“ თანამედროვე ტექნოლოგიებით ლამისაა ნულამდე დაგვიყვანეს... ამ თვალსაზრისით უკრაინელები ჩვენზე არანაკლებ მძიმე დღეში არიან.

თავად განსაჯეთ — მთელი მაიდანი და ფარსი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების შედეგად უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, მოშლასა და უკრაინელების ტრაგედიაში გადაიზარდა, სწორედ ნაციონალური ლოზუნგებით, ეროვნული თავმოყვარეობის განცდით იყო შენიღბული და, ერთი შეხედვით, უკრაინელების ეროვნულ ღირსებას, „ნეზალეჟნოსტს“ ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოჩვენებითი გამოდგა და მაიდნის შედეგად უკრაინის ხელისუფლებას საბოლოოდ ჩამოშორდა ყველაფერი უკრაინული.

მიაქცევდით ყურადღებას, რომ **უკრაინის პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, წამყვანი რეგიონების გუბერნატორები „წმინდა მიწიდან“ არიან, შინაგან საქმეთა მინისტრი სომეხია, ძირითადი უწყებების ხელმძღვანელები, მინისტრის მოადგილეები, „რეფორმატორები“ კი, ძირითადად, ქართველები და ბალტიისპირელები არიან...**

**სად არიან უკრაინელი ნაციონალისტები — რატომ არ მიაკარეს ისინი სათოფეზე „ნეზალეჟნი“ უკრაინის მართვას?..**

მაიდნის შედეგად, რომელსაც „უკრაინის აყვავება“ უნდა მოეტანა, დღეს ქვეყანაში უმძიმესი სურათია: უკრაინას ეთნიკური უკრაინელები აღარ მართავენ, როგორც სახელმწიფო, მოშლილი და დანგრეულია. ერთადერთი, რისი უფლებაც ეთნიკურ უკრაინელებს და იაროშის მაგვარ ნაციონალისტებს დაუტოვეს, არის ერთმანეთის უმოწყალო ხოცვა სამოქალაქო ომში. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მაიდანზე წინა პლანზე იყო, და როგორიცაა, ეროვნული თავმოყვარეობისა და უკრაინის, როგორც ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღზევება, აღარავის ახსოვს, რადგან ეს ყველაფერი იმთავითვე იყო ბლეფი, სატყუარა, რომლის მეშვეობითაც ოკეანისგაღმელმა ძალებმა მორიგი სისხლიანი ექსპერიმენტის პოლიგონად აქციეს უკრაინა.

სამწუხაროდ, ამ გარე ძალებს ყველაზე მორჩილად და კუდის ქიცინით სწორედ „ნაციონალიზმში შემჩნეული“ უკრაინელები ემსახურებიან. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, განადგურებაში, უკრაინელების დახოცვაში წინა ხაზზე სწორედ ის უკრაინელი ნაციონალისტები დგანან, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ უკრაინელი ერის ღირსებიhბაზე. ისტორიის გარკვეულ პერიოდში ერები კარგავენ თავმოყვარეობას. ადვილად წამოეგებიან ხოლმე გარე ძალების ანკესზე და დაუფიქრებლად აკეთებენ იმას, რასაც ამ ერებისთვის სავალალო შედეგი მოაქვს.

ამ მხრივ, უკრაინა, სადაც უკრაინელ ეთნოსს მხოლოდ საზარბაზნე ხორცისა და პერსპექტივაში უქონელი იაფი მუშა ხელის როლი აქვს, გამონაკლისი არ არის. ჩვენც გამოვიარეთ ეროვნულ თავმოყვარეობის ნივილირების პერიოდი, ლამის 90% მხარდაჭერით ავირჩიეთ ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი ბანდა, რომლის წევრებსაც მხოლოდ გვარები თუ ჰქონდათ ქართული. ეს ბანდა თავის მენტალობითა და მსოფლმხედველობით იყო ანტიქართული, გარე ძალების მიერ ხელოვნურად დასმული კასტა, რომლის მიზანიც საქართველოს აოხრება და გარე პატრონების ხელში არაკეთილსინდისიერი ბრძოლის ინსტრუმენტად გადაქცევა იყო.

მათი ხელისუფლებაში ყოფნის მიზანს კი საქართველოში ეროვნული თავმოყვარეობის აღმოფხვრა წარმოადგენდა, რაც გააკეთეს კიდეც. ერთადერთი, რაც ვერ გაანადგურეს, ეკლესიაა, თუმცა უკრაინაში მათ ეს პრობლემა არ აქვთ. იქ მართლმადიდებელი ეკლესია გახლეჩილია და ამ „ბარიერს“ მალე მოუღებენ ბოლოს, რის შემდეგაც უკრაინა გადიქცევა სანედლეულე დანამატად, ხოლო უკრაინელები, რომლებიც ეროვნულ თავმოყვარეობასა და ეროვნულ ღირსებას აქამდე არ უჩიოდნენ, — „საერთაშორისო მმართველობის“ მონებად.

ალბათ, **მოვა დრო, როდესაც უკრაინელები მიხვდებიან, რომ ნაციონალისტური ლოზუნგებისა და ეროვნულ თავმოყვარეობის ნიღბით თავს მოახვიეს „საერთაშორისო მმართველობა“, რომელიც ჯერჯერობით წარმატებით ასრულებს მთავარ ამოცანას — მოსპოს უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ამოშანთოს ყოველივე ეროვნული უკრაინელ ეთნოსში და უკრაინის ტერიტორია გადააქციოს ზესახელმწიფოთა ბრძოლის პოლიგონად.**

მოვა დრო და უკრაინელები მიხვდებიან, რომ ეს ყველაფერი მათ სახელმწიფოს დამართეს არა „საერთაშორისო მმართველობაში“ ვაშინგტონის ბრძანებით ხელდასხმულმა ებრაელმა, ქართველმა ან ლიტველმა შემსრულებლებმა, არამედ ამერიკამ, რომელსაც დღეს მთავარ პარტნიორად და მხსნელად მიიჩნევენ.

ისინი ამ ყველაფერს მიხვდებიან, მაგრამ უკრაინისთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, გვიანი იქნება!

**დავით მხეიძე**

# გიორგი ყუფარაძე: თავი დაანებეთ, ბატონო ზაზა, ამ ყველაფრის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას და «ნაციონალური მოძრაობის» ლიდერების უნიჭო კომენტარების გამეორებას!

**2014 წლის 29 ოქტომბერს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ გამგეობის წევრმა გიორგი ყუფარაძემ დაასახელა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და რომლებიც მზად იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივი ბრძანებების შესასრულებლად, თუმცა ზემოაღნიშნულმა ინტერვიუმ სათანადო ყურადღება მხოლოდ ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების შემდეგ მიიქცია. „საქართველო და მსოფლიო“ კვლავ დაუკავშირდა გიორგი ყუფარაძეს და ბოლოდროინდელი მოვლენების შეფასება სთხოვა.**



**— ჩვენი გაზეთისთვის შარშან მიცემულ ინტერვიუში თქვენ ჩამოთვალეთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, რომლებიც შს სამინისტროში თანამდებობებს იკავებდნენ. მათ შორის იყო იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიორგი სოსანაშვილიც. ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, დაკავებული სოსანაშვილის გარდა, კვლავაც რჩებიან თანამდებობებზე?**

— ამ კითხვაზე პასუხისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან ჩემ მიერ შარშან დასახელებულთა შორის მოხსენიებული იყო მკვლელობაში ეჭვმიტანილი სოსანაშვილიც. ალბათ, ყველა პირზე მოკვლევაა დაწყებული და არ მინდა, გამოძიებას ხელი შევუშალო.

**— ამჟამად რას საქმიანობენ თქვენ მიერ დასახელებული ადამიანები?**

— მოქმედი თანამშრომლებიდან, რომლებიც იყვნენ იმ სიაში, რამდენიმემ შეიცვალა სამუშაო ადგილი, რამდენიმემ, ჯერ დაუზუსტებელი ინფორმაციით, შსს დატოვა.

**— „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ ხომ არავინ დაგმუქრებიათ?**

— კი, კონკრეტულად, გია სოსანაშვილი, რომელმაც სოციალურ ქსელში მომწერა: „გამარჯობა, მე მგონი, ბოდიში უნდა მოგვიხადო, მე და ჩემს მეგობრებს, ყველაზე არ მაქვს ლაპარაკი. რა დაგიშავე შენ ან ნებისმიერს, ესეთი სტატია რო დაწერე, მიცნობ საერთოდ, ვინ ვარ, რა გამიკეთებია ამ ქვეყნისთვის, რატო ქენი ეგ საქმე. უბრალოდ შენ კი არა, საერთოდ რა დავაშავე, მე ან ჩემმა მეგობრებმა რომლებსაც საერთოდ არ იცნობ, მე რო შენზე გლახა ვთქვა, მართალი ვიქნები და საერთო ბოდიშის მოხდა ცუდი არაა, შენ ჩემს ადგილას სასამართლოში მიჩივლებდი. უბრალოდ, ჯობია, გამიცნო, დათო მელაპარაკა შენზე... პასუხი გამეცი, როგორც ბრალდებულს, და მე თვითონ მოვიხდი ბოდიშს მედიის საშუალებით, რა დავაშავეთ, ვინ ჩაგაგონა, შენ ხომ იცნობ პოლიციელებს, გიო“.


Giorgi SosanaSvili 19.11.2014 20:42
გამარჯობა მე მგონი ბოდიში უნდა მოგვიხადო,მე და ჩემს მეგობრებს,ყველაზე არ მაქვს ლაპარაკი,რა დაგიშავე შენ ან ნებისმიერს,ესეთი სტატია რო დაწერე,მიცნობ საერთოდ,ვინ ვარ,რა გამიკეთებია ამ ქვეყნისთვის,რატო ქენი ეგ საქმე უბრალოდ შენ კი არა საერთოდ რა დავაშავე,მე ან ჩემმა მეგობრებმა რომლებსაც საერთოდ არ იცნობ,მე რო შენზე გლახა ვთქვა მართალი ვიქნები და საერთო ბოდიშის მოხდა ცუდი არაა,შე ნ ჩემს ადგილას სასამართლოში მიჩივლებდი უბრალოდ ჯობია გამიცნო დათო მელაპარაკა შენზე
2014 წლის 21 ნოემბერი
Giorgi SosanaSvili 21.11.2014 3:13
pasuxi gameci rogorc braldebuls da mew tviton movixdi bodihs medit ra davahavet vin chagagona hen xom icnob polcielebs gio
Giorgi SosanaSvili 21.11.2014 3:37
hen partielebtan hegxvdebi,bevrimegobari myavs ubralod mitxari rato dawere chemzeda chems megobrebze augi hen tu ggonia ver gichivleb hemcdarxar ar mogsveneb kanonierarad hen ar micnob vinvar me ki gicnob danahauli gamokvete icode gichivleb
2014 წლის 21 ნოემბერი
გიორგი ყუფარაძე 21.11.2014 13:45
რას მემუქრები?
სადაც გინდა ქ მიჩივლე.
მე მეგონა რო მართლა შეგეცდით თქვენს მიმართ. მაგრამ შენი ქმედებებით მიდასტურებ რო პირიქითაა საქმე. სადაც გინდა იქ მიხვე და იქ იჩივლე. სტატიის რაც შეეხება რედაქციის გასაუქმებელია.
გიორგი ყუფარაძე 21.11.2014 14:32
ძალიან ბევრი ინფორმაცია მიდის და და შენ იქ არ ფიგურირებ! და ჯობია შენს საქმეს მიხედო და შენ შეუშვა პოლიციელების მიერ ჩაგონებულის განხმაურებას.
სტატიაში ვიზეც გავაკეთე კონკრეტული აქცენტები შედეგი გამოიღო.
თუ მართლა არაფერ შუაში ხარ არ გინდა ამ საქმეში ჩარევას.
პოლიციელი ხარ და კი იცი, რომ ვინც ძალიან იმართლებს თავს სწორედ ის არ არის სუფთა.
პ.ს. ჩემთან მუქარით არასდროს არავის არაფერი გასვლია.

**— რატომ არ დაინტერესდა თქვენ მიერ გავრცელებული ინფორმაციით შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯერ კიდევ 2014 წლის ოქტომბერში?**

— ალბათ, დაინტერესდებოდნენ, მაგრამ **იმდენი ჩანერგილი თანამშრომელია შსს-ში, რომ ყველა ხერხით შეეცდებოდნენ ამ პირების, ასე ვთქვათ, „გაპრავებას“.**

**— იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავებისა და, საერთოდ, მამა-შვილ ვაზაგაშვილების მკვლელობის საქმეებთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ თქვენ მიმართ მუქარამ ხომ არ მოიმატა?**

— ჯერჯერობით არა და არც მგონია, ამ ამბების შემდეგ ვინმეს რისამე მცდელობის ინტერესი ჰქონდეს, მაგრამ **თავის დასაცავად ზომები მაინც მიღებული მაქვს.**

უნდა აღვნიშნო, რომ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ჩემს ინტერვიუს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, სადაც საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეკვეთილი ტექსტის წაკითხვა დამაბრალა. მინდა, განვაცხადო, რომ ტექსტს მართლაც ვკითხულობდი, მაგრამ ეს ტექსტი იყო ჩემი დაწერილი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა გამოუცდელი რესპონდენტისთვის.

აგრეთვე, მინდა, პასუხი გავცე კითხვას, საიდან მაქვს ეს ინფორმაცია:

2000-2006 წლებში ვირიცხებოდი პოლიციის აკადემიის რიგებში და, ამასთანავე — შს სამინისტროში, სადაც ჩამომიყალიბდა სანაცნობო წრე, რომელთანაც დღემდე ვინარჩუნებ მეგობრულ ურთიერთობას. სწორედ ამ კონტაქტების შედეგია ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

ამას გარდა, მინდა, გამოვეხმაურო ბატონ ზაზა ჭაიას — სამართალდამცავთა დაცვის ლიგის წარმომადგენელს, რომელიც პოლიციელების დისკრედიტაციაზე აპელირებს და პოლიტიკურ სარჩულს უდებს ამ ყველაფერს. ზაზა ჭაიას შევახსენებ ქალაქის პოლიციის სამმართველოსთან მიმდინარე აქციას, როდესაც ის და მის დაქვემდებარებაში მყოფი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები სკანდირებდნენ: „მიშა, მიშა“! ვსვამ კითხვას — იყო თუ არა ეს აქცია პოლიტიკრი კონტექსტით? ასე რომ, **თავი დაანებეთ, ბატონო ზაზა, ამ ყველაფრის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების უნიჭო კომენტარების გამეორებას!**

**— რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას?**

— რაც შეეხება ორგანიზაციის გეგმებს, მრავალ თემაზე მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ გაგიმხელთ. მე კი განვაგრძობ მუშაობას კონკრეტულ საკითხზე — ძალოვან სტრუქტურებში ჩანერგილების გამოაშკარავებასა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გამომზეურებაზე.

**დასასრულ, გაგაცნობთ ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ განცხადებას:**

**„თავისუფალმა თაობამ“ გადაწყვიტა, გაერკვია, რა ძალებთან ჰქონდათ ურთიერთობა საქართველოში „ნაციონალურ მოძრაობას“. ამ საქმის გარკვევა კონკრეტულად გიორგი ყუფარაძეს დაევალა. შარშან, ოქტომბერში, ამ გამოძიების შემდეგ, ჩვენ გამოვაქვეყნეთ სია, თუმცა მაშინ ჟურნალისტებს არ მიუქცევიათ ყურადღება, რადგან იმ პერიოდში ეს თემა არ იყო აქტუალური.**

სიაში მოხსენიებული ადამიანები მუშაობენ შსს-ში და ნებისმიერ მომენტში მზად არიან, მიიღონ მონაწილეობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ნაბრძანებ ყველა სახის გადატრიალებაში და ამით გამოიწვიონ საზოგადოებაში ქაოსი. ზაზა ჭაია, ირაკლი ქადაგიძე და ლევან გვაზავა ისეთივე კავშირში არიან ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმესთან, როგორც ირაკლი ფირცხალავა, მაგრამ რატომღაც ისინი დღემდე თავისუფლებით ტკბებიან. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება და პროკურატურა არ ცდილობენ მათ პასუხისგებაში მიცემას. ამასთანავე, ამ სიაში მოხსენიებულია ის პირები, რომლებიც დღემდე მუშაობენ შსს-ში და მზად არიან, სააკაშვილის ბრძანებით ჩაერთონ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებებში. ესენი არიან ჩანერგილები, რომლებიც სააკაშვილმა დაგვიტოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს დანარჩენი 17 ადამიანის სახელსა და გვარს, ვიდრე დროა და ვიდრე უარეს შედეგს არ მივიღებთ!“**

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადგილობრივი პროდასავლური ექსპერტები და „ენჯეოები“ არ იმჩნევენ იმას, რომ პრაქტიკულად სწორედ ეს არის ჰიბრიდული ომის გამოვლინება, როცა სახელმწიფოს სინამდვილეში, ფასადზე გამოფენილი პოლიტიკოსები კი არა, მათ ზურგსუკან მდგომი „მრჩევლები“ მართავენ. ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო, რომელიც ამგვარ ომს აწარმოებს, გარიგებულია არასახელმწიფოებრივ (თუ გნებავთ, არასამთავრობო) შემსრულებლებთან – „ბოევიკებთან“, ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან, რომლებთანაც კავშირს კატეგორიულად უარყოფს.**

# ჰიბრიდული ომი საქართველოში — ამერიკული დაფინანსებით

**საქართველოში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმა რუსული გავლენის გაძლიერებასა და „რუსეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მომრავლებაზე“, რომლებიც თითქოს დიდ საფრთხეს ქმნის. ამას ხშირად იმეორებდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია, მისი ცოლისდა და შეთავსებით — საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე, სხვა „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც ამგვარად ცდილობენ, დაარწმუნონ აშშ, რომ სწორედ ისინი არიან მათი ინტერესების ყველაზე თავგამოდებული დამცველები.
ახლა ამ რიტორიკას ექსპერტებიც შეუერთდნენ.**



„რუსული საინფორმაციო პროპაგანდისგან საქართველოს საინფორმაციო სივრცე სრულიად დაუცველია და ჩვენ, უკვე ორი წელია, ვიმყოფებით რუსული საინფორმაციო ნაკადის გავლენის ქვეშ, რომელიც, მოკლედ რომ ვთქვათ, გვაჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ერთადერთი გზა რუსეთია და იმავდროულად, როგორი უნაყოფო აღმოჩნდა საქართველოსთვის დასავლური გზა; ქვეყანაში ბოლო პერიოდში სოკოებივით მომრავლებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები აშკარად მუშაობენ საქართველოს რუსეთთან ინტეგრაციის განხრით“ **(ხათუნა ლაგაზიძე).**

„ტელეკომპანიები — Первый канал-ი, Russia Today, НТВ, Россия-24 და სხვები რუსული ხელისუფლების პროპაგანდისტულ ინტერესებს ატარებენ. ეს ერთგვარი ჰიბრიდული ომია, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება ქართველი საზოგადოების ინფორმაციულ ბლოკადაში მოქცევას ცდილობს. ეს არის იმისთვის, რომ ტვინების გამორეცხვა აწარმოოს, ეს არ არის მხოლოდ საინფორმაციო არხები, ეს რუსეთის თავდაცვისა და უშიშროების სისტემებთან მჭიდრო კავშირში მყოფი ორგანიზაციებია, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ლიტვა, ლატვია ესტონეთი, მოლდოვა და უკრაინა, ამათ აკრძალული აქვთ უკვე, ეს არხები არიან ტიპური პროპაგანდის მანქანები, ამას ინფორმაციასთან და ობიექტურობასთან საერთო არ აქვს, ამის გამოძიებას ვთხოვთ პროკურატურას, რისი დიდი იმედიც არ მაქვს, მაგრამ **ჩვენ ყველა სამართლებრივ ნაბიჯს გავივლით, რათა ეს არხები აიკრძალოს საქართველოში“ (ნიკა რურუა).**

**ახლა არ მკითხოთ, რისი ექსპერტია ყოფილი მხედრიონელი და ასევე ყოფილი კულტურის მინისტრი. იმავესი, რისიც სხვა „ექსპერტები“.**

**ავკრძალოთ, დავიჭიროთ, დავახალოთ „პირდაპირ ფეხებში“ — ეს ხომ უკვე გავიარეთ. ახლა ამ იდეოლოგიის ადეპტები იმავეს არასამთავრობო სექტორიდან და საექსპერტო წრეებიდან მოითხოვენ და ოკეანის გაღმიდან უკვე დამაიმედებელი შეტყობინებაც მიიღეს:**

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საბიუჯეტო განცხადებაში პირდაპირ გვამცნო, რომ ამერიკა გააძლიერებს მხარდაჭერას ნატოს წევრების, ევროპელი მოკავშირეებისა და იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რუსეთის მხრიდან ზეწოლას განიცდიან, კერძოდ, აშშ-ის ბიუჯეტიდან 117 მილიონი დოლარი იქნება გამოყოფილი რუსეთის აგრესიული მოქმედებების საწინააღმდეგოდ უკრაინაში, 51 მილიონი დოლარი კი — საქართველოსა და მოლდოვაში რუსეთის ზეწოლისა და მადესტაბილიზებელი საქმიანობის შესაჩერებლად. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია თანხები ევროპასა და აზიაში „რუსული პროპაგანდის“ საწინააღმდეგო მოქმედებებისთვის.

**ბოლო ხანს ჩატარებული ყველა კვლევა ადასტურებს, რომ დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ისა და ნატოს ავტორიტეტი მინიმუმამდე დავიდა, ხოლო 2008 წლის კატასტროფული ომის შემდეგაც კი რუსეთისგან მტრის ხატი? შექმნა ვერ მოხერხდა. ხალხი გამოფხიზლდა და დასავლურ პროპაგანდას აღარ „ჭამს“. ამიტომ აქ ისევ ამერიკული მილიონები უნდა ჩაიყაროს, რათა საქართველო საბოლოოდ არ მოვიდეს გონს და შავისა და თეთრის გარჩევა ვერ შეძლოს.**

ამას ემატება ისიც, რომ **ამერიკელ „მრჩეველთა“ კონტინგენტი იზრდება და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში გადაწყვეტილებები მხოლოდ მათი მითითებით მიიღება. ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ უკვე გვამცნო და თანაც დაგვამშვიდა, რომ „ნატოს მრჩევლების ყოფნა საზოგადოებისთვის თვალშისაცემი არ იქნება“(?!) აქამდეც ხომ ასე იყო: საზოგადოებამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ მიტინგებისა და აქციების დასარბევად ადგილობრივ ზონდერებს სწორედ ასეთი „მრჩევლები“ აძლევდნენ „რჩევებს“, ხოლო 26 მაისის აქციის სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც მსხვერპლი და უამრავი დასახიჩრებული მოჰყვა, სწორედ ამ „მრჩევლებმა“ „გაუპრავეს“ სააკაშვილს!**

**ამერიკელ «მრჩეველთა» კონტინგენტი იზრდება და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში გადაწყვეტილებები მხოლოდ მათი მითითებით მიიღება. ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ უკვე გვამცნო და თანაც დაგვამშვიდა, რომ «ნატოს მრჩევლების ყოფნა საზოგადოებისთვის თვალშისაცემი არ იქნება»(?! ) აქამდეც ხომ ასე იყო: საზოგადოებამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ მიტინგებისა და აქციების დასარბევად ადგილობრივ ზონდერებს სწორედ ასეთი «მრჩევლები» აძლევდნენ «რჩევებს», ხოლო 26 მაისის აქციის სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც მსხვერპლი და უამრავი დასახიჩრებული მოჰყვა, სწორედ ამ «მრჩევლებმა» «გაუპრავეს» სააკაშვილს!**

ადგილობრივი პროდასავლური ექსპერტები და „ენჯეოები“ არ იმჩნევენ იმას, რომ პრაქტიკულად სწორედ ეს არის ჰიბრიდული ომის გამოვლინება, როცა სახელმწიფოს სინამდვილეში, ფასადზე გამოფენილი პოლიტიკოსები კი არა, მათ ზურგსუკან მდგომი „მრჩევლები“ მართავენ. ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო, რომელიც ამგვარ ომს აწარმოებს, გარიგებულია არასახელმწიფოებრივ (თუ გნებავთ, არასამთავრობო) შემსრულებლებთან — „ბოევიკებთან“, ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან, რომლებთანაც კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

**განა ზუსტად ასე არ იქცევიან ამერიკელები ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში? მათი გავლენა ვრცელდებოდა და ვრცელდება მთავრობებზე, ოპოზიციაზე, მედიასა და არასამთავრობოებზე. ახლა გაუჭირდათ და აშშ-ის ელჩი უკვე იძულებულია, საჯაროდ გამოხატოს ხან ირაკლი ალასანიას, ხანაც მათ მიერ გამოზრდილი არასამთავრობოების ღია მხარდაჭერა.**

2014 წლის ოქტომბრის ბოლოს, თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრების შემდეგ, ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ განცხადებებს რიჩარდ ნორლანდმა ღიად დაუჭირა მხარი: „ვიცი, რომ მთელი რიგი კითხვებისა გაჩნდა ამ გამოძიებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ხაზს გავუსვამ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს სრული ნდობა საქართველოს, როგორც თავდაცვისა და სამხედრო სფეროში პარტნიორის მიმართ, იქნება ეს ნატოს ფარგლებში, თუ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებში. აშშ-ს აქვს სრული ნდობა მინისტრ ალასანიასა და თავდაცვის სამინისტროს გუნდისადმი“.

**2015 წლის იანვრის ბოლოს, როცა ბიძინა ივანიშვილმა კრიტიკული მოსაზრება გამოხატა კოჭორიძე-ლომჯარია-გიგაურის მიმართ, აშშ-ის ელჩმა ჩვეული პირდაპირობით (დიპლომატებს რომ არ სჩვევიათ, ისეთით!) განაცხადა: „ივანიშვილის მოსაზრება მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები — საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი“.**

ეს უკვე აღარც ჰიბრიდული ომია და აღარც „მრჩევლის“ ფუნქცია — ჩვენ დაუფარავად გვაფრთხილებენ, რომ მათ საყრდენებს არ უნდა შევეხოთ! რუსეთის ელჩს (რომელიც, კარგა ხანია, აღარ არის საქართველოში) ამგვარი რამ რომ გაებედა, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა „დემოკრატიულ“ სამყაროში? თუმცა ისინი ამბავს მაშინაც ტეხენ, როცა არაფერი ხდება. ახალი ხელისუფლება ამითაც ჰყავთ გამოჭერილი: ისე არიან დაშინებული ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან შეძახილებით, რომ ნაბიჯის გადადგმისაც კი ეშინიათ!

**„თავისუფალი ზონისა“ და მისი მსგავსი „მიუკერძოებელი“ არასამთავრობოებისა თუ ექსპერტების გააქტიურება ამერიკის ბიუჯეტიდან 51 მილიონი ლარის დაპირებითაცაა განპირობებული. მათ მიანიშნეს, რომ ახლა ფული ამაშიც იშოვება: „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ ხელ-ფეხი ხსნილი აქვთ! თუ სალი აზრი გამოთქვი და საკუთარ ქვეყანაზე გული გტკივა, ეს უკვე „რუსული პროპაგანდაა“ და ანგარიშსწორება ნებადართულია ნებისმიერი მეთოდით. აკი, აცხადებენ კიდეც „ნაციონალური სახეები“, რომ ტელეკომპანია „იბერიის“ დარბევა შეიძლებოდა, რადგან მას „სხვა იდეოლოგია“ ჰქონდა! ადამიანების დახოცვა და მალაზიის სახურავზე გვამების შემოწყობაც დასაშვებია, რადგან „ისინი რუსულ ტანკებს მოუძღვებოდნენ“! თითქოს რუსებმა მათ მიერვე გაყვანილი საქართველოს სამხედრო გზა არ იციან და მეგზური სჭირდებოდეთ!**

ყველაზე ობიექტური თვალსაზრისი მთელ ამ ბაკქანალიაზე ექსპერტ **ზაალ ანჯაფარიძეს** ეკუთვნის: „თუ ემოციებს დროებით გვერდზე გადავდებთ და საზოგადოების განწყობის ობიექტურ მაჩვენებლებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს არა იმდენად რუსული იდეოლოგიის მომძლავრებას, არამედ უფრო მის მცდელობას, კონკურენცია გაუწიოს საქართველოში ევროპულ და დასავლურ ღირებულებებს. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა ჩამოყალიბებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის ერთ-ერთი დედაბოძი პოლიტიკური პლურალიზმია, რომელიც გულისხმობს განსხვავებული აზრების, კულტურების, ღირებულებებისა და პოლიტიკური ორიენტაციების თანაცხოვრებასა და ცივილურ კონკურენციას. **„ცივი ომის“ ყველაზე უფრო მძაფრ პერიოდებშიც კი დასავლეთ ევროპაში არავის აუკრძალავს კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი ორგანიზაციები და მათი მედიასაშუალებები, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან ფინანსდებოდნენ.**

საქართველოში რუსული და ევროპული ფასეულობითი ორიენტირებისა და განვითარების მოდელებს შორის კონკურენციისგან არც ტრაგედიის შექმნაა საჭირო, არც პიარზე გათვლილი განგაშის ატეხვა და არც „კუდიანებზე ნადირობა“. ეს უკუშედეგს გამოიღებს. მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნული პრორუსული ორგანიზაციები კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებენ. მათ მიმართ რაიმე რეპრესიების დაწყება, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაში მოვიდოდა დემოკრატიის პრინციპებთან, მეორე მხრივ, რუსეთს დამატებით საბაბს მისცემდა დესტრუქციული ქმედებებისთვის“.

ცხადია, ამ მოსაზრებიდან ყველაფერს ვერ გავიზიარებ, მაგრამ ფასეულობათა კონკურენცია არის სწორედ მთავარი, რომელმაც ქართველ საზოგადოებაში თავსმოხვეული დასავლური ნორმების მიუღებლობა გაამძაფრა. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ჯანსაღი კონსერვატიზმი ჩვენთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ქართულ ეკრანებზე მომრავლებული კონჩიტები?

ჰიბრიდული ომისა და „რუსული პროპაგანდის“ ირგვლივ ატეხილ მთელ ამ აურზაურს მსახიობ მიშა გომიაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი ხსნის, რომელიც ▶

**„დასავლეთ უკრაინაში დასვეს თავიანთი დაზვერვის ოფიცრები, მინისტრებად კი დანიშნეს საქართველოს ამაოხრებელი „ნაციონალები“, რომლებსაც თავიანთ ქვეყანაში აღარ დაედგომებათ. ამაზე მეტი დაცინვა და აბუჩად აგდება რაღა უნდა იყოს ერისთვის?! ვერ გამიგია, რისთვის იბრძოდნენ უკრაინელები — იმისთვის, რომ კვიტაშვილი, ზღულაძე, ადეიშვილი და სააკაშვილი ჰყოლოდათ ხელისუფლებაში?! “**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართული ტელეარხების პროდუქციის სახეს ეძლ-ვნება. მართლაც, **განა უფრო იოლი არ არის, მაგალითად, რუსული არხების აკრძალვა, ვიდრე იმაზე დაფიქრება, რას გვთავაზობენ საყურებლად?** მიშა გომიაშვილი წერს: „არ მოგწონს ტელეგადაცემაო? პულტი გაქვს, ღილაკი აქვს ბევრიო, გადართეო, გადავრთე, კიდევ გადავრთე, კიდევ გადავრთე, გადავრთე, გადავრთე. გავგიჟდი! რამდენი უნდა გადავრთო, კაცო? სადაც არ გადავრთე, უსქესო, გადაკეთებულ-გადმოკეთებული, უჯიშო, გაუნათლებელი წამყვან-სტუმრიანი, გადაცემა „თოქ შოუ“ შემრჩა, გადავრთავ რუსულ არხზე და პრორუსული ხარო!

**არ მირჩევნია, პრორუსული ვიყო ვიდრე პროპიდარასტული?...დავიჯერო, რომ ეგენი უფრო საინტერესონი არიან ჩვენი ქვეყნის ტელეაუდიტორიისთვის, ვიდრე მხატვრების, მსახიობების, კინოსა თუ თეატრის, სპორტისა თუ მეცნიერების წარმომადგენლების ცქერა, მათი მართლა საინტერესო აზრებისა და ამბების მოსმენა, მუსიკოსების, მომღერლების მოსმენა?** ოღონდ მართლა მუსიკოსების და არა იმათი, ვინც ჯემალ ბაღაშვილს უტიფრად უმტკიცებენ, რომ ფონოგრამაზე „პირის აყოლება“ უფრო რთულია, ვიდრე ცოცხლად სიმღერა. გადააყოლეს ეს ტელევიზია რეიტინგებს. **ტრაკს თუ არ იძლევი, გადაკეთებული თუ არ ხარ, ძმაკაცის ცოლს თუ არ ხმარობ, თუ არავინ მოკალი, მდაბიო და ბანძი თუ არ ხარ, საინტერესო არ ხარ მაყურებლისა და მსმენელისთვის?**

არა, ბატონო, ეგრე არ არის. ეს უფრო ღრმად ჩაფიქრებული, უფრო სერიოზულად მოფიქრებულია; მიზანდასახულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემატურად, ტვინს გვირეცხავენ, ზომბებად გვხდიან და არ მგონია, რომ ჩვენს ტელევიზიებს ეს გაცნობიერებული ჰქონდეს, და თუ აქვს, მაშინ ამაზე დიდი დანაშაული თავის ერის წინაშე არავის ჩაუდენია. არის ასეთი პროპაგანდა, დიდი ხნის წინ სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული. ეს არ იყო, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის დასანგრევად შემუშავებული, მაგრამ დღეს ამას ჩვენ მიმართ მშვენივრად იყენებენ“.

ასეა ეს, ბატონებო, და მე, პირადად, მიშა გომიაშვილის პოhზიცია უფრო მომწონს, ვიდრე გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის (ახლა რომ „რუსთავი 2“-ს მართავს), პოლიციისა და უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსნების ცოლების (ახლა რომ შოუებს უძღვებიან იმავე ტელეკომპანიის ეთერში) და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების (ახლა რომ „ექსპერტები“ დაირქვეს და არასამთავრობო სექტორში უხვი დაფინანსებით დაივანეს!).

კი, მიშა გომიაშვილის პოზიცია უფრო მისაღებია ჩემთვის და რა — ეს არის „რუსული პროპაგანდა“? თქვენს ამერიკულ პროპაგანდას მიხედეთ, რომელიც აღარ იმალება, და ხალხს მიუგდეთ ყური, თორემ ეგ გადმოგდებული გრანტები ოხრად დაგრჩებათ!

**თამარ დავითულიანი**

# რისთვის გამოუყო ვაშინგტონმა საქართველოს 51 მილიონი?!

**გაისად საქართველო „რუსეთის ზეწოლისა და აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად“ ამერიკის შეერთებული შტატებისგან 51 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს ინფორმაცია წინა კვირას საინფორმაციო სააგენტო AFP-მა გაავრცელა. იმავე სააგენტოს ცნობით, აღნიშნულ დახმარებას ითვალისწინებს ამერიკის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პრეზიდენტმა ობამამ დასამტკიცებლად კონგრესს უკვე წარუდგინა. მოკლედ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „დემოკრატიულ დასავლეთში“ ბედკრულ საქართველოზე დარდობენ, დავრწმუნდით, რომ „თეთრი სახლის“ ტალანებში ჩვენს უსაფრთხოებაზე ფიქრით ღამეები არ ძინავთ.**



**ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რეალობა კი სულ სხვა რამეზე მიგვანიშნებს. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში ძმათამკვლელი ომია და იქ ამ კაენის ცოდვას, სახელად ევრომაიდანს, პროვოცირება სწორედ ამერიკულმა ფულმა გაუკეთა, იბადება შეკითხვა — რა მიზანს ემსახურება ზემოაღნიშნული ფინანსური დახმარება ჩვენს ქვეყანაში? შემთხვევითი, შესაძლოა, არც ამ „დახმარების“ თარიღი იყოს — 2016 წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება...**

**ფაქტია, რომ „ნაცები“ რევანშისთვის კბილებს ილესავენ და დღე ისე არ გავა, სააკაშვილმა ერთი-ორი მუქარის წერილი არ გაავრცელოს სოციალურ ქსელში. ამას წინათ ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხს პირდაპირ განუცხადა: ჩვენ, ყველანი, უნდა დავბრუნდეთ საქართველოში და რეფორმები გავაგრძელოთო. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, დიდი სამოქალაქო ვაი-ვიში არ აგვცდება. იმ 51 მილიონსაც აშკარად ჯანყის სუნი უდის და, რაც უნდა გვჯეროდეს ქართველებს ძმობისა და ერთსულოვნების, ნათქვამია, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო...**

**რეალურად რა მიზანს ემსახურება ამერიკული დაფინანსება, არსებობს თუ არა სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირების საფრთხე და შესაძლებლობა, რომ ხელისუფლებაში კვლავ „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდეს — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ თავმჯდომარე ზვიად ირემაძე.**

**— ბატონო ზვიად, როგორ ფიქრობთ, რა მიზნით შეიძლება უცხო სახელმწიფომ 51-მილიონიანი დახმარება გაგვიწიოს, რას ემსახურება ეს ყველაფერი?**

— დავიწყოთ იმით, რა შინაარსი დევს „დახმარების გამოყოფაში“, ეს სესხია, საჩუქარი თუ რა? როგორც ვიცით, ამერიკელთა მენტალიტეტი ისეთია, რომ მამა შვილს ათ დოლარსაც არ მისცემს ტყუილუბრალოდ. აქედან გამომდინარე, უნდა დაკონკრეტდეს, რას ჰქვია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა — ამაში იგულისხმება სამხედრო მოქმედებები, ცივი ომის პროპაგანდა თუ სხვა რამ.

საზოგადოდ, ეს ე. წ. დახმარება კარგ საქმეს რომ არ მოხმარდება, ამთავითვე ცხადია. ამდენ მილიონს აგზავნიან და რატომ არის ქვეყანაში ასეთი გაჭირვება, ასეთი სიღარიბე და მასობრივი უმუშევრობა?! ცხადია, **ეს ფულიც ვილაცის ჯიბეში წავა, ვილაცები ცხოვრებას აიწყობენ და დატკბებიან ძალაუფლებით.** ეს ჩვენ ვიკითხოთ, რიგითმა მოქალაქეებმა, რომ ამათი ბინძური პროპაგანდით ქვეყანა უფსკრულში მიექანება, თორემ, ომამდე რომ მივიდეს საქმე, ესენი ვირთხებივით დაიფანტებიან. ხომ გახსოვთ, 2008 წლის აგვისტოში რაც ქნეს „ნაციონალებმა“ — როგორც კი რუსის ჯარი საზღვარს მოადგა, უკვე წითელ ხიდთან იდგნენ. **ზუსტად ასე მოიქცევიან რესპუბლიკელებიც, თუ მათი მოღალატეობრივი პოლიტიკა, რომლისთვისაც უხდიან იმ მილიონებს, რუსულ ტანკებს ისევ დაძრავს საქართველოსკენ;** და დაზარალებული ვინ დარჩება? რა თქმა უნდა, ჩვენ — რიგითი მოქალაქეები...

**— საქართველოს გარდა, ვაშინგტონი ფინანსურად უკრაინასა და მოლდოვასაც დაეხმარება. „თეთრი სახლის“ გათვლებით, კონკრეტულად რაში შეიძლება გამოიხატოს ეს წინააღმდეგობა სამი სახელმწიფოს — საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის — მხრიდან?**

— დღეს ამერიკა დაინტერესებულია, მართვადი ქაოსის რაც შეიძლება მეტი კერა გაჩნდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში და ეს გათვლა რაზეც კეთდება, დღესავით ნათელია...

რაც შეეხება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, ხშირად გვესმის მოწოდება, გავერთიანდეთ ტირანიის წინააღმდეგ, ერთად დავამარცხოთ უსამართლობა და ა. შ. სამოქალაქო ომი რაც არის, ხომ ყველამ ვიცით, ეს არის ძმათამკვლელი ომი, რომელშიც გამარჯვებული მხარე არ არსებობს. ჰოდა, ვსვამ მარტივ შეკითხვას — **მესამე ძალა — უცხო სახელმწიფო, რომელიც ძმათამკვლელ ომში ერევა და ყველაფერს აკეთებს, რათა დაპირისპირება გამწვავდეს, შეიძლება, რომელიმე მხარისთვის მოკეთე იყოს?** ის არის მტერი იმიტომ, რომ, თუ შენთვის სიკეთე სურს, ცეცხლზე ნავთს კი არ უნდა გისხამდეს, უნდა გარიგებდეს და გეხმარებოდეს საერთო ენის გამონახვაში დაპირისპირებულ მხარესთან. ამ ხნის განმავლობაში კი ამის მცდელობაც არ ჰქონია ამერიკას, პირიქით — დასავლეთ უკრაინაში დასვეს თავიანთი დაზვერვის ოფიცრები, მინისტრებად კი დანიშნეს საქართველოს ამაოხრებელი „ნაციონალები“, რომლებსაც თავიანთ ქვეყანაში აღარ დაედგომებათ. ამაზე მეტი დაცინვა და აბუჩად აგდება რაღა უნდა იყოს ერისთვის?! **ვერ გამიგია, რისთვის იბრძოდნენ უკრაინელები — იმისთვის, რომ კვიტაშვილი, ზღულაძე, ადეიშვილი და სააკაშვილი ჰყოლოდათ ხელისუფლებაში?!**

**— ისე, საინტერესოა, რატომ ვერ მოძებნეს პროფესიონალი კადრები თითქმის 50-მილიონიან უკრაინაში...**

— მართლა ძალიან მეცოდებიან უკრაინელები. ეს ქვეყანა დღეს ისეთი ექსპერიმენტის მსხვერპლია, ფაქტობრივად, ათწლეულებით უკან ბრუნდებიან. ისე, არც ჩვენ ვართ უკეთეს დღეში, შეიძლება, იმათი წურბელები ხვალზეგ ჩვენ დაგვინიშნონ მინისტრებად. ეს ერთი სქემაა, ერთი სცენარით გვმართავენ, უკვე ოცი წელია; მეტიც, ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი — XXI საუკუნეში სახეცვლილი. უბრალოდ, ხელზე სვასტიკები არ აქვთ გამოსახული და არ გაჰყვირიან ბოროტ განზრახვებს, სხვა დანარჩენი, **ნახეთ, რა ხდება დონბასსა და ლუგანსკში — ეკლესიებს ანგრევენ და 3-4 წლის ბავშვების ცხედრები ყრია ქუჩებში. აი, ამას აფინანსებს „დემოკრატიული დასავლეთი“.**

**— თქვით, რომ დასავლურ ძალებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელს აძლევს ე. წ. მართვადი ქაოსის ახალ-ახალი კერების გაჩენა. არსებობს საფრთხე, რომ უკრაინის მსგავსი მოვლენები საქართველოშიც განვითარდეს?**

— ეს საფრთხე რომ არსებობს, ბევრი გათვლა არ სჭირდება, მაგრამ აქ ერთი მომენტიცაა — თუკი ქვეყანაში რომელიმე გარე ძალას სურს, რამე მოაწყოს, იმ ქვეყანაში ჯერ პოლიტიკური ნიადაგი უნდა მოამზადოს. საქართველოში ეს ნიადაგი, საუბედუროდ, უკვე დიდი ხანია, მზადაა, ამიტომ, **ნებისმიერ დროს, როცა გადაწყვეტს დასავლეთი, დიდი-დიდი ერთი თვის ინტერვალში, ევრომაიდანს კი არა, ისეთ ამბავს მოგვიწყობს, უკრაინა მონაგონი იქნება...**

**— მოდი, ვერსიის სახით განვიხილოთ, რა პარალელების გავლება შეიძლება უკრაინაში ევრომაიდნამდე არსებულ ვითარებასა და ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას შორის.**

— პირდაპირი პარალელებია, მაგალითად, მათ ჰყავდათ სათავეში ვითომ პრორუსული იანუკოვიჩი და მისი მთავრობა (ვითომ იმიტომ, რომ, რისი თავიც ჰქონდა, დავინახეთ — სამასკაციან ევრომაიდანს ვერ მიხედა), პარალელურად, ეს ე. წ. პრორუსული მთავრობა და პრეზიდენტი მხარს უჭერდნენ ქვეყნის ევროინტეგრაციას, მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მათ მუდმივად ადანაშაულებდა კრემლის ინტერესების გატარებაში. ახლა რა ხდება ჩვენთან — ხელისუფლების სათავეში გვიზის დასავლეთიდან მართული ძალა, მისი კურსი და ორიენტაცია არის ერთმნიშვნელოვნად პროამერიკული, მაგრამ მთავარ ოპოზიციად წოდებული „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც სინამდვილეში არის კრიმინალების ბანდა, გაიძახის, ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ემსახურებაო. ახლა განსაჯეთ: არის თუ არა მსგავსება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობასა და უკრაინაში ევრომაიდნამდე არსებულ პოლიტიკურ ვითარებას შორის.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, რისთვის უნდა სჭირდებოდეს დასავლეთს საქართველოში ევრომაიდნის მოწყობა, თუკი აქ პროდასავლური ძალა უზის?**

— დასავლეთის უმთავრესი მიზანი არ არის საქართველოს ინტეგრაცია მის გეოპოლიტიკურ ოჯახში; მისი მიზანია, რაც შეიძლება დიდხანს და ზუსტად გამოგიყენოს საპირისპირო ბანაკის წინააღმდეგ. აი, სწორედ ამიტომაა მის გეგმაში მართვადი ქაოსი...

რაც შეეხება ევრომაიდნის საჭიროებას საქართველოში, ამ ეტაპზე დასავლეთს ეს ნამდვილად არ სჭირდება, რადგან **რესპუბლიკური პარტია იგივე „ნაცმოძრაობაა“ და ამ ძალის წარმომადგენლები არანაკლებ სანდო რეზიდენტები არიან ამერიკისთვის.** ისე, თუ ევრომაიდნის ალბათობას განვიხილავთ, ისიც უნდა ითქვას, რომ **ვაშინგტონი უკვე აქტიურად მუშაობს „ქართული ოცნების“ ჩამნაცვლებელ ძალაზეც.** რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ (დაკონკრეტება არ მინდა, გამგები გაიგებს), თბილისში აქცია გამართა. მერე შეფასებები გაკეთდა, აი, დაიწყო სამართლიანობისთვის ბრძოლა, აი, ჭეშმარიტი პატრიოტები და ა. შ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! საუბედუროდ, ქართველი საზოგადოება წინ ვერ მიდის. 22 წელია, ერთი და იმავე ბლეფით, ერთი და იმავე ფარსით ვტყუვდებით და გვათამაშებენ ცირკის ძაღლებივით...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ზვიად ირემაძე:

## ვაშინგტონი უკვე აქტიურად მუშაობს «ქართული ოცნების» ჩამნაცვლებელ ძალაზე!

**P.S. დასავლეთის ბნელ ძალებს დაკაბალებული რომ ვყავართ, კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება: 27 იანვარს ევროკავშირმა საქართველოს გრანტის სახით 13 მილიონი ევრო გამოუყო. ოფიციალური ინფორმაციით, ეს თანხა ჩვენთვის განსაზღვრული 46 მილიონი ევროს მიკროსაფინანსო დახმარების პირველი ტრანშის ნაწილია. ამ დახმარების შესახებ ევროკავშირმა გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერში მიიღო და 2013 წლის აგვისტოში უკვე ოფიციალურად დაამტკიცა.**

**მოკლედ, ყველაფერი ნათელია — „ქოცნებისტები“ წინამორბედთა გამოცდილებას ჯეროვნად იყენებენ და ქვეყანას არანაკლებ წარმატებით აყოფინებენ თავს ეკონომიკურ ყულფში. ისე, ამის ფონზე რა გასაკვირია, რომ კანონშიც ათასგვარ ანტისახელმწიფოებრივ მზაკვრობას გვაპარებენ, მიწას გადამთიელებზე ყიდიან და ქართველ გლეხს, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ წირავენ...**

ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჯერ „ნარინჯისფერმა“ ჩაისვარა, შემდეგ კი „ვარდებს“ უარესი დაემართა, ახლა უკვე გაერთიანებული ნარინჯისფერი ვარდებით სურთ, შემოგვიტიონ... თუმცა, ჩვენა და ჩვენნაირები ვინ ვაგდივართ, ეგენი ხომ პირდაპირ მოსკოვს უტევენ „ჯეველინებით“! თანაც, ვინმე ფილარეტის ლოცვა-კურთხევით, რომლის „პატრიარქობა“ მხოლოდ აი, ამ „ძია სემის“ ნაბიჭვარ „ეროვნულ-ნაციონალისტებს“ აქვთ მხოლოდ აღიარებული!**

# ნარინჯისფერი ვარდები, ანუ «ნაციონალური» ჯოჯოხეთი

**საკმაოდ რთულია, წერო ომზე და იყო ირონიული. შეუძლებელია, ეს ირონია იმ უბრალო, გამბედავი, მაგრამ ხშირად მოტყუებული და ვილაცის პირად ინტერესს შეწირული ადამიანებისკენ მიმართო, რომლებიც ომში მიდიან იმ ურყევი რწმენით, რომ სამშობლოსთვის წირავენ თავს... თუმცა, მეორე მხრივ, ასევე შეუძლებელია, მწარე ირონია არ გამოიწვიოს იმ ყველაფრის კარგად გააზრებამ, რაც დაგვემართა და რაც დღესაც გვემართება რუსული იმპერიის ორ განაპირა „გუბერნიას“, რომელთა მოქალაქეებიც, სულ რაღაც, ოცდახუთი წლის წინათ „ყველაზე უფრო ნაციონალურად განწყობილ მოსახლეობად“ მონათლეს საერთაშორისო ექსპერტებმა.**

დიახ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნგრევის პერიოდში უკრაინა და საქართველო აღიარეს რესპუბლიკებად, რომლებშიც ყველაზე მაღალი იყო ეროვნული, ანუ ნაციონალური მუხტი...

ამ „აღიარებიდან“ 25 წლის შემდეგ, ანუ რამდენიმე დღის წინათ, უკრაინის **თვითმარქვია პატრიარქმა ფილარეტმა** ასეთი სიტყვებით მიმართა საქართველოს ყოფილ უზურპატორ პერზიდენტს:

**„თქვენ მედგრად დაიცავით თქვენი მიწა-წყალი რუსეთის აგრესიისა და შემოტევისგან. ვისურვებდი, უკრაინელებმაც შეძლონ ასევე მამაცურად დადგომა და თავისი მიწის დაცვა რუსეთისგან, როგორც ეს თქვენ გააკეთეთ“.**

თუ კარგად ჩავუკვირდებით ამ ფრაზას, მხოლოდ ორადორი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

**„პატრიარქრი“ ფილარეტი ან იწყევლება, ან, უბრალოდ, კაიფობს.**

და სადაც ფილარეტი ეკაიფება საკუთარ მრევლს, იქ ცოტა ჩვენც რომ ვიირონიოთ, მგონი, არაფეჩრი დაშავდება, მით უფრო, თუკი ჩვენი ირონია მიმართული იქნება არა უბრალო მებრძოლების, არამედ სწორედ იმ „პატივცემული გვამების“ მიმართ, რომლებიც მხოლოდ სიტყვით „გმირობენ“ და რეალურად, თვითმფრინავის გუგუნის გაგონებაზე ელეთმელეთი ემართებათ...

სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „ელეთმელეთა გმირები“ არც „კაიფში“ ჩამოგვრჩებიან და დაუზარებლად ეკაიფებიან ხალხს.

ასე მაგალითად:

**„დარწმუნებული ვარ, თუკი უკრაინის არმიას მოამარაგებენ რაკეტა „ჯეველინით“ და სხვა შესაბამისი შეიარაღებით, უკრაინელი ჯარისკაცები შეძლებენ, მარშით აიღონ მოსკოვი!“** — განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა** იმ ამბიდან ზუსტად 7 წლის თავზე, როცა „რუსული ჟანგიანი ტანკების“ განადგურების გზით, მოსკოვს ტრიუმფით „იღებდნენ“ დავით კეზერაშვილის დანაყოფები...

**ფილარეტის „კეთილი სურვილის“ მიხედვით კი, თუ უკრაინელებმაც ისევე „დაიცვეს“ თავიანთი მიწა, როგორც ეს 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა, პროცენტული გაანგარიშებით, უკრაინელებმა, ფაქტობრივად, უკვე დათმობილი ყირიმის, დონბასისა და ლუგანსკის გარდა, დნეპროპეტროვსკიც უნდა ჩააბარონ რუსებს და დარჩნენ ზუსტად ისეთივე „გამარჯვებულები“, როგორიც ჩვენ ვიყავით 2008-ში და ვართ დღემდე.**

ამ გახსენებაზე, მინდა, მივმართო **ქართულ ტელევიზიებსა და მედიასაშუალებებს:**

**პატივცემულებო!**

**თქვენი მხრიდან ფილარეტის „უკრაინის პატრიარქად“ მოხსენიება არის მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა! რადგან უკრაინის ეკლესიას არასოდეს ჰქონია ავტოკეფალია და, შესაბამისად, მას არც პატრიარქი ჰყავს!**

როგორც ჩანს, უვიცობამ ისე გაიდგა ფესვი ჟურნალისტებშიც, რომ ამ „ზედმეტად პატრიოტმა ნაცებმა“ ძალიან იოლად დაგაჯერეს: ფილარეტი რუსეთის, კრემლისა და პუტინისგან არის დაჩაგრული და ამიტომ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ.

სინამდვილეში კი, პატივცემულო (მიმძიმს ამ სიტყვის თქვენი მისამართით წარმოთქმა) კოლეგებო — **უკრაინის ეკლესიას და, აქედან გამომდინარე, მის პატრიარქს არ ცნობს კონსტანტინოპოლი! ანუ არ ცნობს მსოფლიო!**

**და თქვენ, მაპატიეთ და, ვისი ტიკი-ტომარა ხართ, ასე ხელაღებით რომ სცანით უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაცა და მისი თვითმარქვია პატრიარქი ფილარეტიც?**

რა შუაშია აქ კრემლი, პუტინი და ვ. ი. ლენინი?

თუმცა, დასაწყისშიც ვთქვი: საქართველო და უკრაინა ხომ 15 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ყველაზე გამოკვეთილი და ყველაზე მონდომებული „ეროვნული“, „ნაციონალური“, „თავისუფლებისმოყვარე“ მოქალაქეებით იყო დასახლებული!

ჰოდა, მივიღეთ კიდეც შედეგი: **ჩვენი მიწების 25 პროცენტი რუსეთს რჩება, დანარჩენ 75 პროცენტზე კი, რასაც ამერიკის ელჩი გვეტყვის, იმას ვაკეთებთ... და ისეთი პირი**



**ფილარეტის «კეთილი სურვილის» მიხედვით, თუ უკრაინელებმაც ისევე «დაიცვეს» თავიანთი მიწა, როგორც ეს 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა, პროცენტული გაანგარიშებით, უკრაინელებმა, ფაქტობრივად, უკვე დათმობილი ყირიმის, დონბასისა და ლუგანსკის გარდა, დნეპროპეტროვსკიც უნდა დაუთმონ რუსებს და დარჩნენ ზუსტად ისეთივე «გამარჯვებულები», როგორიც ჩვენ ვიყავით 2008-ში და ვართ დღემდე**




**უჩანს, თუნდაც იმ 75 პროცენტის ნატოში მიღებაზეც კი აღარავინ ფიქრობს უკვე...**

ვიღაც შეიძლება შემომედავოს, — ეს მსოფლიოში განვითარებული ზოგადი გლობალური პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგიაო. კი, ბატონო, მაგრამ ამ კატაკლიზმებსა და ცვლილებებს ხომ სწორედ კონკრეტული ადამიანები იწვევენ?!

ხოლო აგრერიგად „ნაციონალურად“ და „ეროვნულად“ განწყობილ რესპუბლიკებში კი, წესით, ისეთი ადამიანები უნდა მოეყვანა ხალხს ქვეყნის სათავეში, რომლებიც სწორად, ცივი გონებით განსჯიდნენ და განსაზღვრავდნენ, რა იქნებოდა უმჯობესი ერისთვის (ნაციისთვის), ქვეყნისა და საბოლოო შედეგისთვის!

ანუ ისეთ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ეროვნული, ტრადიციული, ჯანსაღი მისწრაფებებით გამოირჩევიან!

და ახლა მე **რომ ჩამოვთვალო საქართველოს ყოფილი და თუნდაც უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების წევრები (მათ შორის კი არსებითი განსხვავება, მგონი, კონკრეტულ გვარ-სახელებშიც აღარ არის), ვინმეს შეუძლია, რომელიმეზე თქვას, რომ ის ეროვნული მოღვაწეა და რამე სცხია ან ჭეშმარიტი ქართველის ან ჭეშმარიტი უკრაინელის?**

რომ ის აფასებს ამ კონკრეტული ერის ტრადიციებს და ცხოვრობს ამ ტრადიციებით?

მგონი, გონებაში გაიხსენეთ კიდეც მათი სახეები, მათი აზრები, მათი საქციელი და მათი „ტრადიციულობა-ეროვნულობის“ წარმოდგენაზე ღიმილიც კი მოგერიათ, არა?

მაშ, **რა არის „ეროვნულობა“ და „ნაციონალისტობა“ („ნაციზმში“ ნუ აგვერევა) — მხოლოდ სიტყვები და ლოზუნგები?**

სხვა მხრივ, **ამ „ბანდის“ წევრები (გინდა — უკრაინელი და გინდა — ქართველი) გამომეტყველებითაც კი ერთმანეთისგან ძნელად განირჩევიან და ძალიან ჰგვანან „ძია სემის“ მიერ „გაკეთებულ“ უკანონო შვილებს!**

ისევე, როგორც „ნარინჯისფერი“ და „ვარდების“ რევოლუცია ჰგავდა ერთ დროს ერთმანეთს და, რადგან **ჯერ „ნარინჯისფერმა“ ჩაისვარა, შემდეგ კი „ვარდებს“ უარესი დაემართა, ახლა უკვე გაერთიანებული ნარინჯისფერი ვარდებით სურთ, შემოგვიტიონ... თუმცა, ჩვენა და ჩვენნაირები ვინ ვაგდივართ, ეგენი ხომ პირდაპირ მოსკოვს უტევენ „ჯეველინებით“! თანაც ვინმე ფილარეტის ლოცვა-კურთხევით, რომლის „პატრიარქობა“ მხოლოდ აი, ამ „ძია სემის“ ნაბიჭვარ „ეროვნულ-ნაციონალისტებს“ აქვთ მხოლოდ აღიარებული!**

არა, ძალიან გადავეკიდე და ხშირად ვუბრუნდები, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხო: რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „ნაციონალიზმი“?

დავიჯერო, **ქართული „ნაციონალიზმი“ იმას ნიშნავს, რომ ათასი ჯურის ვიგინდარამ თავის ჭკუაზე გვატაროს და შედეგად მთავარი საგზაო მაგისტრალიდან ოროდე კილომეტრში „სასაზღვრო მავთულხლართი“ მივიღოთ?**

ან უკრაინული ნაციონალიზმი იმას ნიშნავს, რომ მათ ქვეყნის სათავეში საკუთარი ქვეყნის ამ დღეში ჩამგდები „გრუზინები“ დანიშნონ და ათასგვარი სისულელე აკეთონ?

რა ვიცი, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ქართველმა და უკრაინელმა თვითმარქვია (პატრიარქ ფილარეტივით) „ნაციონალისტებმა“ ბოროტად გამოიყენეს ჩვენი, ანუ უბრალო ხალხის ეროვნულ-ნაციონალისტური განწყობები და, საბოლოო ჯამში, ისევ და ისევ „ძია სემის“ მითითებით, ყველაფერს, რასაც საკუთარი ინტერესებისთვის ცდილობდნენ, „ნაციონალურის“ სახელით ფუთავდნენ?

ვფიქრობ, მოაზროვნე ადამიანი შედეგების მიხედვით უნდა მსჯელობდეს და არა იმით, ვინ რა ლოზუნგებს ღრიალებს.

ან, იქნებ, მართლა **ისეთი უტვინო საზოგადოება ვართ, რომ ოღონდ კი „ნაციონალური“ დაარქვას ვინმემ სახელად და ჯოჯოხეთშიც კი სიამოვნებით შევალთ?**

მახსოვს, თავის დროზე უგონოდ გადაჭარბებული პატრიოტულ-პოპულისტური ლოზუნგი: „მთავარია, ეროვნული ინტერესები დავიცვათ და ქართველი კაცი, ბოლოსბოლო, ბალახს შეჭამს და „ბორჯომს“ დააყოლებს!“

დღეს თუკი ოთხფეხა რქოსანი საქონლის გამოსაკვებად ვარგისი იონჯა-ბალახის ფასს გავიკითხავთ და მერე „სუპერმარკეტებში“ ერთი ლიტრი „ბორჯომის“ ფასსაც გავიხსენებთ, მივხვდებით, რაც ვჭამეთ...

აი, ჯოჯოხეთი კი სრულიად უფასოდ, უკვე 25 წელიწადია, ტრიალებს საქართველოში და დასასრული არ უჩანს... ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს ჯოჯოხეთი ჩვენვე ავირჩიეთ!

რატომ?

როგორ გითხრათ...

ჩემი ბავშვობისდროინდელი ანეკდოტია ასეთი:

კაცი მოკვდება და სამოთხეში შეახედებენ, სადაც კარგი ბუნებაა. თეთრებში გამოწყობილი ადამიანები სხედან და ტკბილად საუბრობენ.

აუ, აქ მოწყენილობააო, — იტყვის კაცი.

მერე შეახედებენ ჯოჯოხეთში. მაგარი „ნაშები“, მაგარი მუსიკა, მაგარი „მოსაწევი“, მაგარი სასმელები და მიდის ჯაგა-ჯუგი!

აუ, აქ მინდაო! — დაუფიქრებლად იყვირებს კაცი...

კრავენ ხელს და შეაგდებენ ჯოჯოხეთში. უცებ, ბახ და მოხვდება მდუღარე კუპრით სავსე ქვაბში. თავზე სატანა დასტრიალებს, დიდი ციცხვით კუპრს ურევს და უყვირის: „ჰა! რას იტყვი, ხომ მაგარი რეკლამა გვაქვს ჯოჯოხეთს?“

ვერაფერს იტყვი — ზოგი ანეკდოტი ზუსტად ასახავს რეალობას და „ძია სემსაც“, მართლაც, შესანიშნავად ეხერხება რეკლამების დამზადება...

**„საკითხავია, გამოყოფილი გრანტებით რომელ გაჭირვებულ მოქალაქეს დაეხმარა ან „ნაცმოძრაობა“, ან „ქართული ოცნება“? ცხადია, ეს დახმარება არ არის, ეს არის 30 ვერცხლი, რომელსაც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმს უხდიდნენ საქართველოს დაქცევისთვის, ახლა კი უხდიან „ქართულ ოცნებას“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა გიორგი (რაზმაძე):

# მართლა ჰარამხანად და სამეძაო სახლად გინდათ, ეს ქვეყანა გადააქციოთ?!



**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**«დასავლეთმა 60 მილიონი რომ გამოყო განათლების სისტემის რეფორმისთვის, ყველამ ვნახეთ, რაც მივიღეთ: «რეფორმატორმა» ლომაიამ, რომელიც კანალიზაციის მილებში უკეთ ერკვეოდა, ვიდრე განათლების სისტემაში, ყველაფერი თავდაყირა დააყენა: «შუშანიკის წამება», «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება» მკვდარ ტექსტებად გამოაცხადეს; ხატები, ჯვრები გააქრეს სკოლებიდან... სამაგიეროდ ჩამოიყვანეს უცხოელი მასწავლებლები და, ფაქტობრივად, ინგლისური გამოგვიცხადეს მეორე სახელმწიფო ენად, ანუ სისტემა მოშალეს მთლიანად, დაანგრიეს და მოსპეს საგანმანათლებლო დაწესებულებები»**

**— მამა გიორგი, რამდენიმე დღის წინათ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო“ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც მუდმივად აფინანსებს ე. წ. ნეოლიბერალთა პროპაგანდისტულ კამპანიას, მათ იდეებსა თუ პროგრამებს. მცირე ხნის წინათ ამავე ორგანიზაციის თანადაფინანსებით გამოვიდა პირველი ქართული გეიჟურნალი... როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს მინისტრის განცხადება, რომ აღნიშნული ორგანიზაცია სახელმწიფოს მთავარი პარტნიორია?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და პირდაპირ გვეუბნება, რა ძალებიც დგას რეალურად მის უკან. სხვათა შორის, მოვიძიე ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე „ქართულ ოცნებას“ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან სამ მილიონ-ნახევარ დოლარზე მეტი აქვს მიღებული. მათ ოფიციალურ საიტზე წერია, რომ ეს თანხები გაჭირვებულ ადამიანებს ხმარდება, მაგრამ **საკითხავია, გამოყოფილი გრანტებით რომელ გაჭირვებულ მოქალაქეს დაეხმარა ან „ნაცმოძრაობა“, ან „ქართული ოცნება“? ცხადია, ეს დახმარება არ არის, ეს არის 30 ვერცხლი, რომელსაც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმს უხდიდნენ საქართველოს დაქცევისთვის, ახლა კი უხდიან „ქართულ ოცნებას“.**

რაც შეეხება წულუკიანის განცხადებას, ვურჩევდი, თავი დაანებოს მეხუთე კოლონის ქება-დიდებას და ყურადღება მიაქციოს იმ 100 ათასი ქართველის ხელმოწერას, რომელიც ალტერნატიული პირადობის მოწმობების დაშვებას ითხოვს.

**— მეხუთე კოლონა რადგან ახსენეთ,ეროვნული ცნობიერების დანგრევაში განსაკუთრებულ როლს დღეს მედიასაშუალებები, კერძოდ ე. წ. ნაციონალური ტელეარხები ასრულებენ. მეტიც, ამ პროცესის მედროშე არის ტელეკომპანია „იმედი“, რომლის დასაცავადაც ხალხი ოთხი წლის განმავლობაში ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს. რა ინტერესი აქვთ ამ ტელევიზიების მფლობელებს, რა ინტერესი აქვს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, როცა მათ არხზე დღისითა და ღამით გარყვნილების პროპაგანდა მიმდინარეობს — ხან შიშველ ქალებს აჩვენებენ ეთერში, ხან გამოჰყავთ ე. წ. სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები და ათასგვარ გულისამრევ ისტორიებს აყოლებენ?**

— ჯერ კიდევ როდის ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტე, ხუთ გაზეთს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე 100 ათას კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცსო. რა თქმა უნდა, ამ ტელევიზიების მფარველებმა კარგად იციან, რა ძალა აქვს პროპაგანდას, მათ კარგად იციან, რომ ერის გარყვნა და წაბილწვა იწყება სულიერი დაცემით. ის, რასაც დღეს ტელევიზორში ვხედავთ, სწორედ სულიერი დაცემაა, ეს არის ტახტის სამზადისი ანტიქრისტესთვის და, ვინც ამას ემსახურება, გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად კი არა, სრულიად შეგნებულად მოქმედებს.

რაც შეეხება კონკრეტულ ტელევიზიებს, **„რუსთავი 2“ რა არხიცაა, ყველამ ვიცით და მისგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს; მე მაწუხებს პირველი არხი იმიტომ, რომ ეს ტელევიზია თითოეული ჩვენგანის ფულით ფინანსდება. ხანდახან გულზე ვსკდები, ამ მარაზმს რომ ვუყურებ! წარმოიდგინეთ, შენვე აფინანსებ და ასაზრდოებ იმას, რამაც მომავალი უნდა გაგინადგუროს, შვილები უნდა დაგიღუპოს და გაგიუბედუროს.** ან ამ შიშველი ქალების ალლუმი პირდაპირ ეთერში რა უბედურებაა, ტელევიზიაა თუ ჰარამხანა? კაი, მორალი და ზნეობა არ აქვთ, მაგრამ კანონმდებლობა მაინც არ არეგულირებს ამგვარ რაღაცებს?! შეიძლება, დღისით, მზისით, სატელევიზიო ეთერში პორნოგრაფია გადიოდეს? რა ხდება? ვეკითხები ხელისუფლებას: **მართლა ჰარამხანად და სამეძაო სახლად, გინდათ, ეს ქვეყანა გადააქციოთ?!**

**— ერთადერთი ძალა, რომელსაც რეალურად შეუძლია და ვალდებულიცაა ამ ე. წ. გლობალიზაციის პროცესს დაუპირისპირდეს, ეკლესიაა, მაგრამ ისმის შეკითხვა: რატომ არ არის სამღვდელოება უფრო აქტიური?**

— ეკლესიის წინააღმდეგ, უკვე ოცი წელია, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს, ბინძური მეთოდებით ცდილობენ მის შერყევას, მაგრამ არაფერი გამოსდით. დარწმუნებული ვარ, არც მომავალში გამოუვათ, იმიტომ, რომ, ვიდრე თუნდაც ერთი ადამიანი არსებობს ჭეშმარიტების მქადაგებელი, ღმერთი მას მარტო არ დატოვებს. ამასთანავე, **მათ არ აქვთ რეალური არგუმენტები სამღვდელოების წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ მართლმადიდებლობა თურმე ადამიანს თავისუფლებას უზღუდავს; მერწმუნეთ, ჩვენ წინააღმდეგ რამე რეალური ფაქტი, მადისკრედიტებელი გარემოება რომ ჰქონდეთ, ყველას სათითაოდ დაგვხვრეტდნენ.** ამას, პირველ რიგში, გააკეთებდა სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო ეკლესიების ნგრევა. საბედნიეროდ, მათ არ აქვთ და არც არასოდეს ექნებათ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლის მორალური საფუძველი...

**— მაგალითად, უკრაინაში ეკლესია და სახელმწიფო ისეა გამიჯნული, სამღვდელოება, ფაქტობრივად, გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ჩვენთანაც დაახლოებით ანალოგიურ მცდელობას ვხედავთ — ხშირად გვესმის განცხადებები, პატრიარქი და საპატრიარქო არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკაშიო...**

— ჰო, **მერე რესპუბლიკელები უფრო თავისუფლად გააჩანაგებენ ქვეყანას, უფრო უშიშრად შეუდგებიან ეროვნული ცნობიერების ნგრევასა და განადგურებას...** რა თქმა უნდა, რა სჯობს, როცა მოწინააღმდეგე არ გყავს, როცა ბურთი და მოედანი შენია... აი, ზუსტად ასეთმა წურბელებმა დაამკვიდრეს ხალხში თვალსაზრისი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა. სწორედაც რომ ბინძურია და მას გაწმენდა სჭირდება... **დიახ, საქართველოს პატრიარქია ის ადამიანი, რომელსაც ყველანი უნდა გავყვეთ ამ პოლიტიკური პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად, სწორედ სამღვდელოებაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია საზოგადოების, სრულიად ერის დარაზმვა.**

მათ ეს ძალიან კარგად იციან და დღედაღამ იმაზე ფიქრობენ, როგორ განაიარაღონ ეკლესია, როგორ წაართვან მას ავტორიტეტი და დააკნინონ, მორალურად მოკლან ხალხის თვალში. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ ამ სატანისტების გასაგონად: რაც უფრო მეტს ურტყამთ მართლმადიდებლობას, მით უფრო ძლიერდება იგი, რაც უფრო აქტიურად და გულის ამრევი მეთოდებით ცდილობთ მის დამცრობას, მით უფრო იკრებს ძალას. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეს სატანისტური ძალები ვერაფერს დააკლებენ. ასე რომ, გეშინოდეთ ღვთის რისხვის, რომელსაც აუცილებლად მოგიწევთ, ადრე თუ გვიან...

რაც შეეხება უკრაინის ეკლესიას, რომელიც თქვენ ახსენეთ, იქ საკითხი სხვანაირად დგას: უკრაინაში შეიქმნა უნიატური მიმართულების ეკლესია, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გამოეყო რუსულ ეკლესიას. მათ ჰყავთ თავიანთი პატრიარქი, რომელიც არაკანონიკურად ითვლება, ანუ ეს არის განხეთქილებაში მყოფი ე. წ. სამღვდელოება და ამ „სამღვდელოების“ წარმომადგენლები, სადაც კი მართლმადიდებლური ეკლესიებია დასავლეთ უკრაინაში, ძალის გამოყენებით იკავებენ. რამდენიმე ტაძარი სასულიერო პირებმა არ დატოვეს და დახვრიტეს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა ფსევდორელიგიურ მიმდინარეობასთან, სინამდვილეში — ექსტრემიზმთან და ე. წ. დემოკრატიული დასავლეთი ცდილობს, ეს ექსტრემისტული „სამღვდელოება“ გაუთანაბროს რუსულ ეკლესიას...

**— რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობებს რუსეთ-საქართველოს შორისაც ვხედავთ. სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიების ერთ-ერთი მთავარი საქილიკო თემა ორი ქვეყნის ერთმორწმუნეობის საკითხია.**

— ჰო, ჩერგოლეიშვილის ტელევიზია რომ არის — „ტაბულა“, სრული მარაზმი და სიმახინჯე, იქ ლაპარაკობენ ამაზე 24 საათის განმავლობაში. ისე, ეს ლოგიკურია, — ჩერგოლეიშვილი არის იმ ძალების რეზიდენტი საქართველოში, რომლებიც მსოფლიოში მართლმადიდებლობის მტრები არიან...

**— 27 იანვარს ევროკავშირმა საქართველოს გრანტის სახით 13 მილიონი ევრო გამოუყო და მომავალში კიდევ 46 მილიონის გამოყოფას გეგმავს. ოფიციალური ინფორმაციით, ეს დახმარება ქვეყნის მიკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას უნდა მოხმარდეს. როგორ ფიქრობთ, აინტერესებს დასავლეთს ჩვენი ეკონომიკური სტაბილურობა?**

— თავის დროზე **იმავე დასავლეთმა 60 მილიონი რომ გამოყო განათლების სისტემის რეფორმისთვის, ყველამ ვნახეთ, რაც მივიღეთ, — „რეფორმატორმა“ ლომაიამ, რომელიც კანალიზაციის მილებში უკეთ ერკვეოდა, ვიდრე განათლების სისტემაში, ყველაფერი თავდაყირა დააყენა: „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მკვდარ ტექსტებად გამოაცხადეს; ხატები, ჯვრები გააქრეს სკოლებიდან... სამაგიეროდ ჩამოიყვანეს უცხოელი მასწავლებლები და, ფაქტობრივად, ინგლისური გამოგვიცხადეს მეორე სახელმწიფო ენად, ანუ სისტემა მოშალეს მთლიანად, დაანგრიეს და მოსპეს საგანმანათლებლო დაწესებულებები.**

ახლა რას უნდა ველოდოთ ახალ-ახალი დაფინანსებებისგან. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მიზანი არის იმ დამანგრეველი „რეფორმების“ გაგრძელება და ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: რამდენი მილიონიც უნდა დახარჯონ, რაც განგებისგან არ უწერია საქართველოს, იმას ვერ გააკეთებენ.

ისე, მაინტერესებს, **ამხელა დაფინანსებებს იღებენ და ეკლესიას გაზი რომ გაუძვირეს, რატომ არავინ არაფერს ამბობს?! მანამდეც გაძვირებული ტარიფი გვქონდა, კუბური მეტრი 50 თეთრი ღირდა და ჩვენ 75-ს ვიხდიდით, ახლა 90 თეთრი რომ გაგვიხადეს, ენერგეტიკის მინისტრი რატომ არის ჩუმად?!** ან რა ჰქვია იმას, როდესაც მოდის „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენელი და გვეუბნება, ამის შემდეგ ეკლესია ჩვენთვის კომერციული საზოგადოებაა და 90 თეთრი უნდა გადაიხადოთო? როდის აქეთაა საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია კომერციული საზოგადოება?!

**— ალბათ, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა სხვა კონფესიებს იურიდიული სტატუსი მიანიჭა. ყოველ შემთხვევაში, იმ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მართლმადიდებლობას აღარ აქვს გამორჩეული მდგომარეობა.**

— ეს იყო პირველი ეტაპი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დანარჩენს აწი ვნახავთ. სხვათა შორის, ერთი ათონელი მამა ამბობდა: სკოლებიდან, ინსტიტუტებიდან გაიტანეთ რელიგია, ხატები და ჯვრები და მიიღებთ დემონების მოსავალსო. აი, ზუსტად ასეა — **დღეს ჩვენ ვიღებთ დემონების მოსავალს, ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშეა!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცებმა" ალბომი რომ გამოაქვეყნეს და ტრაბახობდნენ, აი, რა ავაშენეთო, ახალ ხელისუფლებას კეთილი ენება და გამოეკვლია, რა დაჯდა ეს მშენებლობები და ვინ მიიღო გადაწყვეტილება ამ მარაზმული შენობების აშენებაზე. აი, მაშინ სალაპარაკოც ექნებოდათ და „ნაცებისთვის" პასუხის გაცემასაც შეძლებდნენ".**



პეტრე მამრაძე:

# «ნაცმოძრაობამ» 4 წელიწადში შეძლო, ქვეყნისთვის 13 მილიარდი ვალი დაედო!

**2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ არჩევნებიდან ორი წლის თავზე ხმამაღლა და თითისქნევით მოლაპარაკე „ნაციონალს" იხილავდა, მაგრამ, როგორც დღეს პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები ამბობენ, „ოცნების" უნიათობამ, არაპროფესიონალიზმმა თუ საქმისადმი ინერტულმა დამოკიდებულებამ ქართველი საზოგადოება ხელისუფლებაში „ნაცების" დაბრუნების საფრთხის წინაშე დააყენა.**

**დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებული „ნაციონალები" ამჟამინდელ ხელისუფლებას ამუნათებენ, — ჩვენი მმართველობის პერიოდში უამრავი რამ გავაკეთეთ, ბიუჯეტი გავზარდეთ, რეფორმები ჩავატარეთ, ეს ავაშენეთ და ის ავაშენეთო... მაგრამ რა დაუჯდა ეს ქართველ ხალხს, რომლის შთამომავლობამაც „ნაციონალების" მიერ აღებული ვალები უნდა იხადოს?**

**შევეცადეთ, ანალიტიკოს პეტრე მამრაძესთან ერთად კიდევ ერთხელ გადაგვეხედა საქართველოს „ნაციონალური" წარსულისთვის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის.**

— ყოველთვის, სადაც კი შევძლებ, მოსახლეობას სააკაშვილის დანაშაულებს შევახსენებ, მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ, რაც დღეს ხდება, „განაცებული" „ქოცების" დამსახურებაა. **„ნაცებმა" 2008 წელს სამშობლოს უღალატეს, ამ ღალატს წინ უძღვოდა ავანტიურისტული პოლიტიკა, მაგრამ ამ ღალატის დეტალებს ამჟამინდელი ხელისუფლება არ იძიებს — ეს უკვე დანაშაულია.** დანაშაულია, როცა ექსტრადირებულ კანონიერ ქურდებს ხელს აფარებ... **ძნელია, ეს ხელისუფლება დაიცვა. თქვენ იცით, რომ უხამსი სიტყვების თქმა არ მიყვარს, მაგრამ ახლა თავს ვერ ვიკავებ — უდამპლესი ხელისუფლება გვყავს!** რა გააჩერებდა მანანა კობახიძეს წინა ხელისუფლების პერიოდში, პროკურორ ფარცხალაძის ამბავი რომ მომხდარიყო — ციხიდან პატიმარ მერაბიშვილის გაყვანას ვგულისხმობ, რაც „ნაცებისთვის" ხელჩასაჭიდი აღმოჩნდა, ან კანონიერი ქურდი, ვინმე ბარბაქაძე რომ გაეპარებინათ?! მშვენივრად თქვა პოლიტოლოგმა ზაალ ანჯაფარიძემ: **„ნაცები" გახდნენ „ქოცების" სამაშველო რგოლი".**

2003 წლის შემდეგ, 2007 წლამდე, ვიდრე 7 ნოემბრის ამბები მოხდებოდა, ვგულისხმობ, ხალხისა და ტელეკომპანია „იმედის" დარბევას, „ნაცებმა" მართლაც ჩაატარეს საჭირო რეფორმები, რომელთაც ყველა ობიექტური ექსპერტი აღიარებს. აღმოიფხვრა ტოტალური, მასობრივი კორუფცია, გაჩნდა ეფექტიანად მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურები, გამოსწორდა საბაჟო სამსახური, რომელშიც წვლილი ბიძინა ივანიშვილს შეუტანია, სწრაფად აშენდა ნატოს სტანდარტის ყაზარმები, გაიზარდა ბიუჯეტი, ეკონომიკა, ქვეყანაში 2 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა, ამან მთლიანი შიგა პროდუქტის 20% შეადგინა...

ახლა კი მნიშვნელოვან ნაწილზე გადავალ. **„ნაცები" სააკაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ პრინციპით — მიზანი ამართლებს საშუალებას, ოღონდ საშუალების ქვეშ გულისხმობდნენ ნებისმიერ რამეს, იქნებოდა ეს კანონდარღვევა თუ ადამიანის ლიკვიდაცია. უსამართლობასთან უსამართლო მეთოდებით ბრძოლას, რაც „ნაცებმა" გააკეთეს, ერთი შედეგი აქვს — უფრო დიდი უსამართლობა.**

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხალხს აპატიმრებდნენ საჯაროდ, პირდაპირ ეთერში, ეს მოსახლეობაში ენთუზიაზმს იწვევდა და ნდობით განაწყობდა ხელისუფლებისადმი. **დაპატიმრებული ადამიანები მილიონებს იხდიდნენ. ამ გადახდით ასაბუთებდნენ, რომ დანაშაული ჩადენილი ჰქონდათ, მაგრამ, ვინმეს მათი საქმეები რომ შეესწავლა, გაოცდებოდა — დაპატიმრებულთა უდიდესი ნაწილის მიმართ დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები არ იდო, რომელთაც იმ პერიოდში პროკურატურის თანამშრომლებიც აღიარებდნენ და ბევრმა მათგანმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებაც დაწერა.** ანალოგიური რამ ხდებოდა სხვა სფეროებშიც. ახალდანიშნული მინისტრი სრულ მანდატს იღებდა იმისთვის, რომ შედეგის მისაღწევად ნებისმიერი რამ მოემოქმედა. უწყებებში სამსახურები კანონდარღვევით დაატოვებინეს ყველა თანამშრომელს. „ნაციონალების" პერიოდში უკანონობა თანდათან გროვდებოდა, ამასთანავე, იზრდებოდა ცენტრალიზებული, კარგად აწყობილი ელიტური კორუფცია. იმ პერიოდში უცხოელი სტუმრები ამბობდნენ, სააკაშვილმა კორუფციას პრივატიზაცია გაუკეთაო. ზუსტად ციტირებას ვერ შევძლებ, მაგრამ, ალბათ, გახსოვთ სააკაშვილის ხუმრობა: „კანონიერი ქურდები აღარ არიან ქვეყანაში, მხოლოდ მე დავრჩი".

ხელისუფლებაში „ნაციონალების" მოსვლის პირველივე დღეებიდან ნადგურდებოდა სოფლის მეურნეობა, ამ სფეროს განვითარების დინამიკა წელიწადში 9-10%-ით იკლებდა.

**— ბატონო პეტრე, ახლა ვალებზე ვისაუბროთ. რამდენი აქვს საქართველოს საგარეო ვალი?**

— თავდაპირველად, „ნაცები" ვალებს არ იღებდნენ, მხოლოდ ძველ და მცირე ვალებს იხდიდნენ, ეს იყო 2007 წლამდე... **2008 წლის აპრილში ლონდონის ბირჟაზე 500 მილიონი დოლარი აიღეს. ეს „ნაცებისთვის" ნარკოტიკი აღმოჩნდა, ნარკოტიკი, რომელიც პირველად გასინჯეს... მახსოვს, „ნაცები" პარლამენტის დარბაზში ჩუმად უხსნიდნენ დეპუტატებს, — ამ ფულის აღებას ხმა მივცეთ, რადგან აფხაზეთში ომი დაიწყება და ფული დაგვჭირდებაო. დღემდე აზრად არავის მოსვლია, გამოძიოს, სად წავიდა ეს ფული.**

2008 წელს მსოფლიოს პრესა წერდა, რომ სააკაშვილმა რუსეთს ლანგრით მიართვა საქართველოს ტერიტორიების ნაწილი.

ვალების დაანგარიშება აგვისტოს ომის შემდეგ იწყება. ყველაფერი ცენტრალიზებული იყო და თვითონ წყვეტდნენ, რომელ კერძო ბანკს აიძულებდნენ ვალის აღებას. საქართველოს რკინიგზასაც ააღებინეს ვალი, რომელიც თითქოს სახელმწიფო ვალად არ ითვლება. საქართველოს ვალის ოდენობა დღეს 13,4 მილიარდი დოლარია. „ნაცმოძრაობამ" 4 წელიწადში შეძლო, ეს ვალი ქვეყნისთვის დაედო.

**— ახლა აქ „ნაციონალი" რომ იჯდეს, გეტყოდათ, რომ აშენებდნენ სახლებს, სასტუმროებს, აგებდნენ გზებს...**

— მათივე მაფიოზი ბოსის, სააკაშვილის, სიტყვებით ვუპასუხებდი — ნურას უკაცრავად!

გადავხედოთ მშენებლობებს, აშენებულია ძალიან ცოტა და საოცრად ძვირად. თუნდაც მხოლოდ **დავით ბაქრაძის მამას რამდენმილიონიანი ტენდერი „მიართვეს" დასავლეთ საქართველოში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად? ხშირ შემთხვევაში სამუშაოები არც კი დაწყებულა. ისინი ფულს თავისიანებს აძლევდნენ, რათა ეს თანხა „ობშიაკში" დაბრუნებულიყო.**

აშენებდნენ მარაზულ შენობებს, რომლებიც თავიდანვე წამგებიანი იყო და თანაც კანონსაწინააღმდეგოდ შენდებოდა. **სააკაშვილს შიზოფრენია შუაღამისას ეწყებოდა ხოლმე და, ერთხელაც რომ დაემართა და პრომეთეს ძეგლის დადგმა გადაწყვიტა, იცით, რა მოხდა? შუაღამისას შეკრიბეს საკრებულოს წევრები და ისე მიაღებინეს გადაწყვეტილება ძეგლის დადგმაზე.**

გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციას რომ შევხვდი, მითხრეს, თქვენგან ინფორმაციის მოწოდება არც გვჭირდება, შეხედეთ ბროლის ხიდს, ადმინისტრაციის შენობას, ანძას... ეს მხოლოდ ავტორიტარული, დიქტატორული რეჟიმების დროს კეთდება, ყველაზე მდიდარ ქვეყანაშიც კი ქალაქის მმართველობა ხმას არ მისცემს, ბიუჯეტიდან ასეთი მშენებლობა დაფინანსდესო.

მიშას ყველა შენობა წარუმატებელი იყო — ბათუმშიც კი, რომელსაც დედამისისთვის აშენებდა.

„ნაცებმა" ალბომი რომ გამოაქვეყნეს და ტრაბახობდნენ, აი, რა ავაშენეთო, ახალ ხელისუფლებას კეთილი ენება და გამოეკვლია, რა დაჯდა ეს მშენებლობები და ვინ მიიღო გადაწყვეტილება ამ მარაზმული შენობების ასაშენებლად. აი, მაშინ სალაპარაკოც ექნებოდათ და „ნაცებისთვის" პასუხის გაცემასაც შეძლებდნენ.

**— რამდენი ფული შემოვიდა საქართველოში ომის შემდეგ და რისთვის იყო განკუთვნილი?**

— ციფრები ცნობილია. **2008 წლის ომის შემდეგ ევროპამ და ამერიკამ ერთობლივად 4,4 მილიარდი დოლარი გამოუყვეს საქართველოს, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, გაწერილი იყო თუ არა, თანხა რაში უნდა დახარჯულიყო. 1 მილიარდი დოლარი ამერიკიდან უცბადვე ჩამოვიდა. ეს მილიარდები „ნაცებისთვის" აღმოჩნდა ის ნარკოტიკი, რომელზეც „შეჯდნენ" და რომელმაც მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულება შეამცირებინა.**

დასავლური პრესა წერდა: „სააკაშვილმა დახმარება თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა, რომლითაც სადისტური რეჟიმი მოირგო". **გაოგნებულები იყვნენ უცხოელები, რატომ აშენებდა ხელისუფლება „გეტოებს" იქ, სადაც სამუშაო ადგილები არ არის და ცხოვრება შეუძლებელია, მაშინ, როცა ოჯახებისთვის ფულის გადაცემით გაცილებით მოგებული დარჩებოდა; სახლების ყიდვა, ბინებისა და მიწების ფასს გაზრდიდა.**

**«გაოგნებულები იყვნენ უცხოელები, რატომ აშენებდა ხელისუფლება «გეტოებს» იქ, სადაც სამუშაო ადგილები არ არის და ცხოვრება შეუძლებელია, მაშინ, როცა ოჯახებისთვის ფულის გადაცემით გაცილებით მოგებული დარჩებოდა; სახლების ყიდვა ბინებისა და მიწების ფასს გაზრდიდა»**

არავის არასდროს უფიქრია, რომ ახალგორი კონფლიქტის ზონად იქცეოდა, ამის გაკეთება სააკაშვილმა შეძლო.

**— როდიდან დაიწყეს სტრატეგიული ობიექტების გასხვისება?**

— თავიდანვე. სტრატეგიული ობიექტების გასხვისების საქმეში ჩარეულნი იყვნენ ეკონომიკის იმდროინდელი მინისტრი კახა ბენდუქიძე და სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. ამ ადამიანებს ფირმები ჩამოჰყავდათ ტენდერში მონაწილეობისთვის, შემდეგ კი დიდ წილს იღებდნენ „ატკატებისგან". **„წყალკანალი" რომ სხვისდებოდა, ბრიტანულმა კომპანიამ შეიტანა განაცხადი, მას 7-მილიარდიანი ბრუნვა ჰქონდა წელიწადში, მაგრამ ტენდერი გაურკვეველი წარმოშობის კომპანიამ მოიგო.** დიდი ამბავი ატყდა **ფოთის პორტის** გასხვისებაზე, ყიდულობდა ყალბი „რაკიინი". სააკაშვილს ეს ამბავი რომ უთხრეს, უპასუხა, ჩემი გადაწყვეტილება იყოო. „ომი რომ მოხდება, ყველა გაიქცევა, ასეთი ფირმები კი დარჩებიან", — ეს იყო სააკაშვილის ბოლო სიტყვა. გაიხსენეთ ოფშორები, გაიხსენეთ, ტელევიზიის მეპატრონეების ვინაობას რომ ვერ ადგენდნენ.

2009 წელს ამერიკელმა დიპლომატმა მითხრა; ახლა ძლივს შევაკავეთ სააკაშვილი, გაზსადენი რომ არ გაეყიდა. გაზსადენი, რომელიც რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთში შედის და ამერიკელებმა გავარემონტეთ, თანაც კონტრაქტში ჩავუწერეთ, რომ ეს არ უნდა გაიყიდოს. ისე სჭირდება ამ უბედურს ფული, მზად არის, ყველაფერი გაყიდოსო.

რკინიგზა გასაყიდად ლონდონის ბირჟაზე გაიტანეს, ამერიკელები და ევროპელები ამბობდნენ: **„როდესაც რუსეთი ფლობს სომხეთის რკინიგზას, აღადგინა მონაკვეთი აფხაზეთში, სააკაშვილმა ტანკები თქვენი რკინიგზიდან 20 კილომეტრში მოიყვანა, როგორ ფიქრობთ, ლონდონის ბირჟაზე რკინიგზას ვინ იყიდის? ახალი ზელანდია?".** იმხანად ეს საჯაროდ ვთქვი.

**— „ნაცების" მიერ ჩადენილი დანაშაულების ჩამოთვლას გაზეთის ფორმატი არ ეყოფა. აქვთ თუ არა მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება?**

— როდესაც „ნაცებზე" ვსაუბრობთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, სამშობლოს მოღალატეებთან... **მათ ჩადენილი დანაშაულების ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, ყველას სამუდამო პატიმრობა ემუქრება.**

იმის გამო, რომ დანაშაული დაეფარათ, „ნაციონალები" გზის დაგებას აპროტესტებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, მაშინ, როცა დავით აღმაშენებლის ძეგლიდან 20 კილომეტრში ტანკები იდგა.

„განაცებული" „ქოცები" პირველობისთვის ხალხის თავზე „პინგ-პონგს" თამაშობენ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**შტეფან შენახმა ერთობ საქმიანი რჩევა მოგვცა ქართველებს და უკრაინელებს: „უნდა იფიქრონ იმაზე, რომ გაძლიერდნენ ალიანსის წევრობის გარეშე და მზად იყვნენ ურთიერთობებისთვის როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან, ღია იყვნენ როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ევრაზიული კავშირისთვის“. მაგრამ ჩვენი სიმბოლური პოლიტიკური ელიტა მხოლოდ მაშინ უგდებს ყურს დასავლეთს, როცა ეს თვითონ მას აძლევს ხელს და არა — ქვეყანას!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმბოლური სუვერენიტეტი და სიმბოლური პოლიტიკა

**რუსეთი იზოლაციაშია. სწორედ ამიტომ მის წინააღმდეგ სანქციების გამომცხადებელი ევროკავშირის ორი ბურჯის — გერმანიისა და საფრანგეთის პირველი პირები — ანგელა მერკელი და ფრანსუა ოლანდი სასწრაფოდ ჩაფრინდნენ მოსკოვში და 5 საათის განმავლობაში ესაუბრნენ პრეზიდენტ პუტინს. პრესასთან არ გასულან, ისე გაფრინდნენ. შეხვედრას არ ესწრებოდა ჯონ კერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. ანგელა მერკელი ობამასთან შესახვედრად გაფრინდა, მათ უკრაინის კრიზისზე ისაუბრეს და ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ აშშ უკრაინას იარაღს არ მიაწოდებბდა.**



**როგორც ჩანს, გამოფხიზლების პროცესი დაიწყო. უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის, ჩაატაროს რეფერენდუმი ფედერალიზაციასა და სახელმწიფო ენის შესახებ, აგრეთვე, გამოაცხადოს ცეცხლის შეწყვეტა**

რუსეთი აღარ ენდობა უკრაინას, რადგან მინსკის შეთანხმება დაირღვა. მოლაპარაკების ახალი, „ნორმანდიული ფორმატი,“ რუსეთისა და უკრაინის გარდა, გერმანიისა და საფრანგეთის პირველი პირების მონაწილეობას ითვალისწინებს. სამშვიდობო ინიციატივის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმცა **ოლანდმა პრესას განუცხადა, რომ კონფლიქტის მხარეებს შორის 50-70-კილომეტრიანი დემილიტარიზებული ზონა უნდა შეიქმნას. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებს კი ფართო ავტონომია უნდა მიენიჭოს**. „ეს ადამიანები ახლახან ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთად ცხოვრება იოლი არ იქნება“, – დასძინა ოლანდმა. მან ისიც განაცხადა, რომ საფრანგეთი უკრაინას იარაღს არ მიაწვდის.

**მერკელი უკრაინისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგია**. არც არის გასაკვირი: **BILD-ის ინფორმაციით, გერმანიაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ გამოკითხულთა 81% უკრაინისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგია და მხოლოდ 12%-ია მომხრე; 49% დარწმუნებულია, რომ უკრაინის კრიზისი რუსეთისა და ნატოს სამხედრო დაპირისპირებას გამოიწვევს.**

გერმანიის კანცლერმა პირდაპირ განაცხადა, ვერ წარმომიდგენია უკრაინისთვის თანამედროვე ტექნიკის მიწოდებამ დაარწმუნოს პუტინი, რომ იგი სამხედრო კონფლიქტში დამარცხდებაო. **არ ტყუის მერკელი, ის ხომ სწორედ იმ სახელმწიფოს კანცლერია, რომელმაც, ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, სამარცხვინო მარცხი იწვნია რუსეთისგან** (ჩვენ კი ვიცით, რომ ის რუსეთი კი არა, საბჭოთა კავშირი იყო, მაგრამ ევროპელების ცნობიერებაში იგი რუსეთი იყო და რუსეთად რჩება). **ოლანდიც იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომელმაც თავისი ქვეყნის დედაქალაქში უმასპინძლა გამარჯვებულ რუსულ არმიას.**

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ფილიპ ჰემონდი** ევროპელ კოლეგებს შეუერთდა: **„უკრაინელები ვერ შეძლებენ რუსული არმიის დამარცხებას. პრაქტიკულად, აზრი არ აქვს ამაზე სერიოზულ მსჯელობას. საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილება“.**

ამასობაში შეერთებულ შტატებში უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე კამათი არ წყდება. **სენატორი მაკკეინი აცხადებს: „უკრაინელებს ხოცავენ, ჩვენ კი მათ პლედებს და საკვებს ვუგზავნით. პლედით რუსული ტანკების შეჩერება შეუძლებელია“. წყლითა და პამპერსებითაც შეუძლებელი იყო 2008-ში, მაგრამ...**

აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯონ კერის** განცხადებით, უკრაინა შეერთებული შტატებისგან დამატებით ეკონომიკურ და სხვა სახის დახმარებას მიიღებს. ამის შესახებ კერიმ ტელეკომპანია NBC-სთან საუბარში, კიევისთვის შეიარაღების შესაძლო მიწოდების საკითხის კომენტირებისას განაცხადა. „ეჭვი არ მეპარება, რომ უკრაინა ეკონომიკურ და სხვა სახის დახმარებას მიიღებს. ჩვენ ასე ვიქცევით, რადგან გვესმის, რომ პრობლემას სამხედრო გზით ვერ გადავწყვეტთ. ის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ჭრილშია“.

**ერთადერთი, ვინც ჯიუტად მოუწოდებს უკრაინელებს ომისკენ, ხოლო ამერიკელებს მათი შეიარაღებისკენ, მაკკეინის გულითადი მეგობარი სააკაშვილია: „უკრაინის მთავარი პრობლემა მოძველებული ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებაა. უახლესი აქვს აშშ-ს და, თუ ისინი მათ გადასცემენ და უკრაინა ააფეთქებს პირველ 50 რუსულ ტანკს, ყველაფერი სულ სხვაგვარად წავა. ამერიკელები მზად არიან გადასცენ ეს, მზად არიან, მისცენ უპილოტოები და არტილერია. ჩვენი ოფიცრები, რომლებსაც ამერიკელები ამზადებდნენ, ახლა თქვენს სამხედროებს ამზადებენ** (2008 წლის სამარცხვინო მარცხი აღარ ახსოვს, როგორც ჩანს! — ნ. დ.).

**ისინი ყვებიან, რომ უკრაინელ მეომრებს მსოფლიოში ყველაზე მებრძოლი სული აქვთ და, თუ მათ მიეცემათ აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და შეიარაღება, შეუძლიათ, მთელი რუსეთი დაიპყრონ** (აქ იგი ხვდება, რომ მეტისმეტი მოუვიდა და სასწრაფოდ ასწორებს შეცდომას — ნ. დ.)... **რა თქმა უნდა, რუსეთის დაპყრობა არაა საჭირო, საჭიროა აქედან მათი განდევნა**“.

მაკკეინსა და სააკაშვილს უკვე უკრაინის პრეზიდენტი **პეტრო პოროშენკოც** აღარ უჯერებს. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა: „შეტევაზე გადასასვლელად უკრაინას ძალა არ აქვს. სამხედრო გზით დონბასში არსებული კონფლიქტი ვერ გადაწყდება. არსებობს გეგმა, რომელიც, შესაძლია, განხორციელდეს. ეს არის მშვიდობის გეგმა... სამხედრო გეგმა არის თავდასხმა. მე ვერ გეტყვით, რამდენი ადამიანია უკრაინისა და რუსეთის მხარეს დონბასში. თავდასხმისთვის ძალა არ გვაქვს“.

უკრაინის შეიარაღებაზე მომართული მაკკეინი ცუდად იცნობს ვითარებას: ნატოსა და ევროკავშირის წევრ ბულგარეთს მწყობრში მხოლოდ ორი გამანადგურებელი ჰყავს და ისიც — რუსული МиГ-29. ისინი მრავალი წელია, არ შეკეთებულა და ახლა, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო, სსათადარიგო ნაწილებსაც ვერ ყიდულობენ. ბულგარეთის სამხედრო საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი **რუმენ რადევი** ამბობს, რომ იძულებულია, საბერძნეთს და თურქეთს სთხოვოს თავისი ქვეყნის საჰაერო სივრცის დაცვა. თუმცა ამისთვის ფულია გადასახდელი, რის საშუალებაც ბულგარეთს არა აქვს. რჩება ერთი ვარიანტი: ბალტიის ქვეყნების მსგავსად, ბულგარეთის საჰაერო სივრცის დაცვა ნატოს პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს. არადა, რამდენს უნდა გაწვდეს ეს ერთი ალიანსი?

**როგორც ჩანს, გამოფხიზლების პროცესი დაიწყო. უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის, ჩაატაროს რეფერენდუმი ფედერალიზაციასა და სახელმწიფო ენის შესახებ, აგრეთვე, გამოაცხადოს ცეცხლის შეწყვეტა.**

აქ შევჩერდეთ და **გავიხსენოთ, რით იწყებოდა ყველაფერი:** რუსეთი ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალებამდე ითხოვდა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე მოლაპარაკებებში ჩართულიყო, რადგან მისი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები უკრაინასთან კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ევროპამ უარი განაცხადა. **სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ** (ჩვენი არ იყოს, იქაც ყველა ძველია, ოღონდ ახალი კონფიგურაციით) **პირველი, რაც გააკეთა, რუსული ენის სტატუსის შესახებ კანონი გააუქმა. „რეგიონული ენების ქარტიის“ ავტორი ევროპა ამას ოდნავაც არ შეუშფოთებია. დონეცკმა და ლუგანსკმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ყირიმი ისე „თავაზიანად“ შეუერთდა რუსეთს, რომ ევროპამ შეშფოთებაც ვერ მოასწრო. კონფლიქტი სისხლიან ფაზაში გადავიდა და დღეს უკვე ადრინდელი ფარგლებიდან გასვლის რეალური კონტურებიც ჩანს.**

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი **პაველ კლიმკინი** ამბობს: **„დღეს ბევრს საუბრობენ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე. მაგრამ არავინ ამბობს, როგორ დაგვეხმარება ეს, მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემთხვევაში მოლაპარაკებები მხოლოდ შუამავლების საშუალებით წარიმართება. ვეჭვობ, რომ ვითარება, როდესაც „ჩვენს შესახებ“ საკითხი გადაწყდება „ჩვენ გარეშე“, საუკეთესო გამოსავალი იყოს. ვინ დაეხმარება მილიონობით ჩვენს თანამემამულეს, რომლებიც რუსეთში იმყოფებიან?.. ვინ იზრუნებს რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებზე, როდესაც ეს კავშირები არსებითად კი დასუსტდა, მაგრამ ამ უაღრესად რთულ დროს ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინის ეკონომიკის მრავალი საწარმოსათვის?“**

ქართული დიპლომატია კი ამ ფონზე არათუ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის უნაყოფობაზე, აბაშიძე-კარასინის დიალოგის შეწყვეტაზე დაფიქრდა. **ქართული პოლიტიკური ელიტა კვლავაც ჯიუტად მიუყვება გატკეპნილ გზას და ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნის გამო ხზოს აღტყინებას ვერ მალავს.** 5 თებერვალს ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** განაცხადა: „დღეს ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას ჩვენი რეაგირების ძალებისა და მისი მოწინავე ჯგუფის გაფართოების შესახებ. გარდა ამისა, ვაცხადებთ ექვსი სამეთაურო ცენტრის შექმნის შესახებ ჩვენი აღმოსავლელი პარტნიორების ტერიტორიებზე“. ეს არის პოლონეთი, ბულგარეთი (საჰაერო სივრცე რომ ვერ დაუცავს, ის ქვეყანა), რუმინეთი, ლიტვა ლატვია და ესტონეთი. **მათ „თავი უკვე ქუდში“ აქვთ — ნატოს წევრები არიან, ჩვენ რატომ გამოვიდეთ თავი ან რა უსაფრთხოების გარანტიებს გვაძლევს ეს ბაზა?**

**პასუხი მარტივია: ეს ბაზაც და ნატოს ერთგულების რეგულარული დემონსტრირებაც მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ ელიტას უქმნის უსაფრთხოების გარანტიას. ზოგს ხელისუფლებაში დარჩენის, ზოგს — დაბრუნების, ზოგს კი მთავრობაში მოსვლის სახით. და კიდევ — ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ დაუსჯელობის გარანტიას აძლევს მათ, ვინც ნატოსკენ სწრაფვის ნიღაბს ამოფარებული, ურცხვად ატერორებს საკუთარ ხალხს. მათი გასამართლება დაუშვებელია, რადგან ისინი ნატოს ერთგული “ჯარისკაცები” არიან!**

ნატოში არავინ გვიღებს — ამის შესახებ უკვე ყველამ განაცხადა, ვისაც ნატოს ახლომახლო ჩაუვლია. სულ ბოლოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარემ, **შტეფან შენახმა** გვითხრა: „ჩვენ მოლაპარაკების მაგიდას უნდა დავუბრუნდეთ — სხვა გამოსავალი არ არსებობს. თანაც უკრაინამაც უნდა გაითავისოს, რომ ერთობ უჩვეულო გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია. იგივე ითქმის საქართველოზეც: ნატოში გაწევრების მოთხოვნა კონფლიქტის გაღვივებას ნიშნავს. ამავე მიზეზით ნატოც არ შეიფარებს არც საქართველოს და არც უკრაინას, რადგან ბრიუსელში იციან, რომ ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრის. ასეთი ტიპის სიმბოლური პოლიტიკა არაფერში გამოადგებათ“.

**სიმბოლურია ჩვენი პოლიტიკა, განსაკუთრებით, საგარეო. სიმბოლურია ჩვენი პოლიტიკური ელიტაც და ჩვენი სუვერენიტეტიც. ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ რიტორიკა უცვლელია.**

შტეფან შენახმა ერთობ საქმიანი რჩევა მოგვცა ქართველებს და უკრაინელებს: „უნდა იფიქრონ იმაზე, რომ გაძლიერდნენ ალიანსის წევრობის გარეშე და მზად იყვნენ ურთიერთობებისთვის როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან, ღია იყვნენ როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ევრაზიული კავშირისთვის“.

მაგრამ **ჩვენი სიმბოლური პოლიტიკური ელიტა მხოლოდ მაშინ უგდებს ყურს დასავლეთს, როცა ეს თვითონ მას აძლევს ხელს და არა — ქვეყანას!**

დემოკრატიის ნილბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომელთაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია. ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა“.**

# გენოციდის შეერთებული შტატები

## წერილი პირველი

ბევრი მკვლევარი და ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომელთაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს. აი, რა განაცხადა ამ საკითხზე ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.** ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომლებსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი. მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ **ეგვიპტე, ტუნისი, იემენი,** სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

**ბოლო ათწლეულებში ამერიკა მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.**

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“.

**ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ამ შეფასებას ეხმაურება ციკლი წერილებისა სათაურით — „გენოციდის შეერთებული შტატები“, რომელთა გამოქვეყნებასაც დღეიდან ვიწყებთ.**



უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი, აბვერის კაპიტანი ივან გინიოხი (ცენტრში), სტეპან ბანდერას უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ჰიტლერული გერმანიის სპეცსამსახურების აგენტი მიკოლა ლებედი (ბერეტით) და ინგლისური სადაზვერვო სკოლის კურსანტები — „ბოგდანი“, „სლავკო“ და „სემენკო“ საბჭოთა კავშირში გადმოყვანის წინ, 1951 წლის 24 სექტემბერს.

### უკრაინა. 1948 წელი. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პირველი დივერსიული ოპერაცია

ოპერაცია „აეროდინამიკი“ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მკაცრად გასაიდუმლოებული ოპერაციებიდან ერთ-ერთია. ეს ოპერაცია ცსს-მ დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეცსამსახურებთან ერთად ჩაატარა. მასში ჩართული იყვნენ პირები, რომლებიც ადრე ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ. ოპერაცია, კოდური სახელწოდებით CARTEL, 1948 წელს დაიწყო, ძირითად პარტნიორად არჩეული იყო **სტეპან ბანდერას** უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია უნო (ბ), ძირითად საკონტაქტო პირად — უნო(ბ)-ს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი **მიკოლა ლებედი.**

**კოდური სახელწოდება უკრაინული რაზმისა, რომელსაც სტალინის წინააღმდეგ საიდუმლო ომი უნდა ეწარმოებინა, იყო „სოლოვეი“. ამ რაზმის ლიდერთა შორის იყვნენ ნაცისტების დამქაშები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომში ათასობით ადამიანის სისხლში ჰქონდათ ხელი გასვრილი.**

ცსს-ს დოსიეში უკრაინული ფრაქცია, ლებედის მეთაურობით, აღწერილი იყო, როგორც „ტერორისტული ორგანიზაცია“. **თვითონ ლებედი 1936 წელს პოლონეთის საგარეო მინისტრის მკვლელობისთვის გაასამართლეს. პატიმრობის ადგილიდან კი სამი წლის შემდეგ გაიქცა, — როცა გერმანია თავს დაესხა პოლონეთს.** ლებედი ნაცისტებში თავის ბუნებრივ მოკავშირეებს ხედავდა. მისი თანამოაზრეებისგან გერმანელებმა ჩამოაყალიბეს ორი ბატალიონი, მათ შორის, „სოლოვეი“, რომელიც კარპატებში იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე. **აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ლებედს მიიჩნევდა დამნაშავედ, რომელიც უკრაინელებს, პოლონელებსა და ებრაელებს ხოცავდა, მაგრამ მისი სსრკ-ში დეპორტაციის ყველა მცდელობა შეწყდა მას შემდეგ, რაც ცსს-ს შეფმა ალენ დალესმა პირადად მისწერა წერილი საიმიგრაციო სამსახურის ფედერალურ კომისარს, რომ ლებედი „ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ცსს-ს და აქტიურად ეხმარება მას „განსაკუთრებული მნიშვნელობის ოპერაციებში“.**

აშშ-ის ნაციონალური არქივის მასალები ნაცისტებისა და ამერიკის სპეცსამსახურების ურთიერთობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა მიკოლა ლებედის მოღვაწეობაზე.

1947 წელს კონტრდაზვერვის კორპუსის (CIC) მოხსენებაში ლებედს „სადისტი და გერმანელი ფაშისტების დამქაში“ უწოდეს. ასეთი შეფასება კანონზომიერი იყო.

როგორც წიგნ „ჰიტლერის აჩრდილის“ თანაავტორი ნორმან გოუდა ამბობს, ლებედი გაწვრთნეს ზაკოპანეში (პოლონეთი) მოქმედ გერმანულ ცენტრში და მისი რაზმი მონაწილეობდა უკრაინაში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდაში.

„უკრაინელი ნაციონალისტების არმიის მიერ ვოლინსა და გალიციაში პოლონელთა ეთნიკური წმენდა 1943-1944 წლებში ხორციელდებოდა — იქ საბჭოთა არმიის შესვლამდე. თუმცა ისინი, პოლონელთა გარდა, ხოცავდნენ ებრაელებს, ჩეხებს, მადიარებს, სომხებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. „გაუმარჯოს დამოუკიდებელ უკრაინას ებრაელების, პოლონელებისა და გერმანელების გარეშე. პოლონელები გაეთრიონ, გერმანელები — ბერლინში, ებრაელები კი — სახრჩობელაზე!“ — ასეთი იყო უკრაინელი ნაცისტების ერთ-ერთი ლოზუნგი 1941 წელს“, — წერს **ფრანცისკა ბრუდერი** — უკრაინელი ნაციონალისტების მოღვაწეობაზე ყველაზე დეტალური ნაშრომის ავტორი.

ცსს-ს ოპერაცია ლებედის ჯგუფთან 1948 წელს დაიწყო კრიპტონიმით CARTEL, მაგრამ სახელწოდება მალე შეიცვალა AERODYNAMIC-ით. ლებედი ნიუ-იორკში გადაბარგდა და აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო. ეს სტატუსი მას უკრაინელ ემიგრანტებთან ურთიერთობის საშუალებას აძლევდა. გარდა ამისა, გახდა ცსს-სა და AERODYNAMIC-ის კონტაქტების ხელმძღვანელი. **ცსს-ს წარმომადგენლები ლებედს ახასიათებენ, როგორც ეშმაკ და დაუნდობელ პიროვნებას, რომელმაც მომზადება გესტაპოში გაიარა.**

AERODYNAMIC-ის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა უკრაინაში შეღწევას, შემდეგ კი ცსს-ს მიერ მომზადებული უკრაინელი აგენტების ფილტრაციას. 1950 წლის იანვარში ოპერაციაში მონაწილეობდნენ ცსს-ს საიდუმლო დაზვერვისა (OSO) და საიდუმლო ოპერაციების (OPC) ქვედანაყოფები, რომლებმაც უკრაინაში კარგად ორგანიზებული და საიმედო იატაკქვეშა ორგანიზაციები შექმნეს.

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 10 წლის განმავლობაში, აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით უკრაინელმა ნაციონალისტებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 14 ათასზე მეტი აქცია მოაწყვეს, მას შორის, 195 დივერსია, 4912 ტერაქტი და 457 თავდასხმა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე.** იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა ტაქტიკის შეცვლას და ძალების შენახვას „ჭირის“ აფეთქებამდე — ასე იყო დაშიფრული დოკუმენტებში დასავლეთისა და სსრკ-ს შორის შეიარაღებული კონფლიქ- ▶




პისტოლეტი, რომლითაც მოკლეს სტეპან ბანდერა

# მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 10 წლის განმავლობაში, აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით უკრაინელმა ნაციონალისტებმა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ 14 ათასზე მეტი აქცია მოაწყვეს, მას შორის, 195 დივერსია, 4912 ტერაქტი და 457 თავდასხმა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე.

დემოკრატიის ნილბით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტის დაწყება. მაგრამ **საბჭოთა კავშირმა მხოლოდ 1950 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში უკრაინელი ნაციონალისტების 335 ახალგაზრდული ჯგუფი გაანადგურა, რომლებშიც 2488 შეიარაღებული ადამიანი იყო გაწევრებული.** მიუხედავად ამისა, ცსს ძალიან აფასებდა უკრაინელი ნაციონალისტების მოღვაწეობას. ცსს-ს საიდუმლო ოპერაციების ქვედანაყოფების შეფის — **ფრენკ ვისნერის** მონაცემით, **1945-1951 წლებში უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციამ 35 ათასი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე და კომუნისტური პარტიის წევრი გაანადგურა, ამიტომ მათ მხარდასაჭერად ამერიკელი ორგანიზაციები ფინანსებს არ იშურებდნენ.**

1951-59 წლებში უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 33 აგენტი გამოავლინეს და გააუვნებლეს,** მათ შორის, 18 მოკლეს ან თავი მოიკლეს წინააღმდეგობის გაწევისას, რამდენიმე მათგანი კი გადაიბირეს. თვითონ **სტეპან ბანდერა 1959 წლის 15 ოქტომბერს მიუნხენში გამოასალმა სიცოცხლეს კაგე-ბეს თანამშრომელმა ბოგდან სტაშინსკიმ, რომელმაც მას სახეში პისტოლეტი-შპრიციდან ციანიდის შხამიანი კაფსულა ესროლა.**

რაც შეეხება მიკოლა ლებედს, ის 1998 წელს პიტსბურგში (აშშ) გარდაიცვლა. 1991 წელს კი, როცა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საბოლოოდ გადაწყვიტა ლებედის პროგრამის დახურვა, ლებედი მაკომპრომეტებელი დოკუმენტების გამოქვეყნებით დაიმუქრა, თუმცა ეს პრობლემა ცსს-ს მიერ გაღებულმა 1,75 მლნ დოლარმა მოაგვარა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: **ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ ფაშიზმის ესტაფეტის ჯოხი აიღო აშშ-ის ცენტრალურმა სამმართველომ, რომელმაც ფაშისტური ძალების გამოყენებით მსოფლიოში ათეულობით ოპერაცია ჩაატარა. ამ ოპერაციებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

***1960-1070 წლები.** ამ პერიოდში აშშ ომს აწარმოებდა ინდოჩინეთსა (ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ინდონეზია და სხვ.) და ლათინურ ამერიკაში (კუბა) 1960-იანი წლების ბოლოს, როცა, აშშ-ის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, კომუნისტური მოძრაობა გაძლიერდა, აშშ-მა სსრკ-თან ბრძოლის მეთოდები შეცვალა და ფსონი ჩინეთთან დაახლოებასა და ჰენრი კისინჯერის მონაწილეობით დიპლომატიურ ტრიუკებზე დადო. ტაქტიკის შეცვლის პირველი ნიშნები იყო 1969 წელს სამხედრო ინციდენტების სერია სსრკ-ჩინეთის საზღვარზე (კუნძული დამანსკი, კონფლიქტი ტბა ჟალანაშკოლთან).

***1970-1980 წლები. ამ პერიოდში აშშ-ის პოლიტიკამ სსრკ-თან დაახლოების კონტურები შეიძინა. საბჭოთა კავშირმა და აშშ-მა 60-ზე მეტ ორმხრივ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, მაგრამ ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა — პარალელურად აშშ-მა „ფერადი რევოლუციების" მომზადება დაიწყო. ირანში მარიონეტული მთავრობაც კი ჩამოაყალიბეს, მაგრამ ირანელთა მოთმინების ფიალა აივსო და...**

***1980-1985 წლები.** 1979 წელს ავღანეთში კონფლიქტი დაიწყო. აშშ-მა კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვია საერთაშორისო შეთანხმებები და სეპარატისტებს იარაღი მიაწოდა. ავღანეთის ხელისუფლებამ კი დახმარებისთვის საბჭოთა კავშირს მიმართა. პარალელურად მოხდა ირანის ისლამური რევოლუცია. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო არა ამერიკელთა ბანდიტური მეთოდები, არამედ სსრკ-ის ინტერვენცია ავღანეთში. 1980 წელს აშშ-მა და კიდევ 50-მდე ქვეყანამ უარი განაცხადეს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე, 1983 წელს კი სსრკ „ბოროტების იმპერიად" გამოაცხადეს და ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტები განალაგეს, ნავთობის ფასი კი უცებ დაეცა.

***1985-1990 წლები. სსრკ-ის კუბოს ბოლო ლურსმანი მიხეილ გორბაჩოვმა დააჭედა, როდესაც ანტისაბჭოთა გამოსვლები დააკანონა. 1991 წელს სსრკ-მა არსებობა შეწყვიტა.**

***1990-2000 წლები.** აშშ-მა რუსეთის დანგრევა-დანაწევრება დაგეგმა. დაიწყო ჩეჩნეთის ომი, რომელშიც ავღანელი „ბოევიკებიც" მონაწილეობდნენ. რუსეთის ეროვნული მრეწველობა და რესურსების ამერიკული ბიზნესტრუქტურები უნდა დაპატრონებოდნენ ან თუნდაც გაეკონტროლებინათ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

*** 2000 წლიდან დღემდე. რუსეთის დამოუკიდებლობა და გაძლიერება ხელს არ აძლევს აშშ-ს, ამიტომ შემდეგი ეტაპია დაძაბულობის გამოწვევა უკრაინა-ბელარუს-ბალტიისპირეთ-სამხრეთ კავკასია-რუსეთის ხაზზე.**

## ირანი. 1953 წ. ოპერაცია „აიაქსი" – „პანდურის ამორტყმა"

1953 წელს დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურებმა ირანში ჩაატარეს სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც ირანის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება დაემხო. ოპერაციას ძველბერძნული მოთოსიის ორი პერსონაჟის (დიდი და პატარა აიაქსი) პატივსაცემად „აიაქსი" უწოდეს. ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებმა ოპერაციას Boot დაარქვეს, რაც „პანდურის ამორტყმას" ნიშნავდა. ეს იყო ირანის პრემიერმინისტრის — მოჰამედ მოსადიკის დამხობის გეგმა ირანული ნავთობის დაუფლების მიზნით.

**ოპერაციის ხელმძღვანელი — კერმიტ რუზველტი** (მეტსახელად კიმი), პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის შვილიშვილი და ცსს-ს ოფიცერი. **კერმიტ რუზველტი ირანში ჯეიმს ლოკრიჯის სახელით ჩავიდა, დაამყარა კავშირი ბრიტანულ სადაზვერვო ცენტრთან თეირანში და დაიწყო ირანელი პოლიტიკოსების, გაზეთების რე-**



ოპერაცია „აიაქსი", ანუ „პანდურის ამორტყმა"



მოჰამედ მოსადიკი — ირანის პრემიერმინისტრი




ირანში ამერიკელებისა და ინგლისელების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის მთავარი შედეგი: ინგლისურ-ირანული კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმად" გადაკეთდა. 1954 წ.

**დაქტორების, გამომცემლების, ჟურნალისტების, სასულიერო პირების, გენერლებისა და ბანდიტების მოსყიდვა.** ოპერაცია „აიაქსში" მოსყიდვა მთავარი მიმართულება იყო. ამ მიზნისთვის კერმიტ რუზველტს იმ პერიოდისთვის დიდძალი თანხა გამოუყვეს — მილიარდი დოლარი.

**კონფლიქტი:** დაპირისპირება დაიწყო 1951 წლის 15 მარტს, როდესაც ირანის მეჯლისმა (პარლამენტმა) ბრიტანეთის კონტროლს დაქვემდებარებული ირანის ნავთობმრეწველობის დენაციონალიზაციის შესახებ გამოაცხადა. 1952 წელს ირანმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა დიდ ბრიტანეთთან, რომელმაც საერთაშორისო სასამართლოს მიმართა, შემდეგ საჩივრით — გაეროს უშიშროების საბჭოს.

ირანისთვის სანქციების დაწესებას შეეწინააღმდეგნენ საბჭოთა კავშირი და ინდოეთი. საპასუხოდ ინგლისურ-ირანულმა სანავთობე კომპანიამ ირანული ნავთობპროდუქტების მიმართ საერთაშორისო ბოიკოტის მექანიზმი აამოქმედა.

ირანმა ვერ შეძლო თავისი ნავთობპროდუქტების გაყიდვა. იმით **შეშფოთებულებმა, რომ ირანი სსრკ-ის გავლენის სფეროში გადავიდოდა და ირანის ნავთობზე კონტროლს დაკარგავდნენ, ინგლისელებმა და ამერიკელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაემხოთ ირანის პრემიერი მოსადიკი.**

## საინფორმაციო ომის მეთოდიკა

კერმიტ რუზველტმა მოკლე ხანში კოლოსალური სამუშაო ჩაატარა ირანის მეჯლისის წევრების, გამომცემლების, რედაქტორებისა და ჟურნალისტების მისასყიდად. **პუტჩის წინ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თეირანის გაზეთებისა და ჟურნალების 80%-ს აფინანსებდა.** პრესა გაივსო პრემიერ მოსადიკის მუშაობით უკმაყოფილო დეპუტატების ინტერვიუებით. ჟურნალისტები ამხელდნენ „კორუფციაში ჩაფლულ პრემიერმინისტრსა და მის მთავრობას". ეს იყო საინფორმაციო ომი, რომელიც აშშ-ისთვის მიუღებელი ხელისუფლების დასამხობად, ლენგლიში — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინაში დაგეგმეს.

## პროვოკაციის მეთოდიკა პუტჩის ორგანიზების მიზნით

თეირანის ქუჩებში გამოსული დემონსტრანტები (ვითომ ირანის სახალხო პარტიიდან) გაჰყვიროდნენ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს მოჰამედ მოსადიკს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! კომუნიზმი გაიმარჯვებს!" **დაქირავებული პროვოკატორები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აფეთქებდნენ მეჩეთებს, რომელთა ნანგრევებზეც ტოვებდნენ საბჭოთა კავშირთან და კომუნიზმთან დამაკავშირებელ სამხილებს.** პროვოკაციის დამგეგმავებმა და შემსრულებლებმა მიზანს მიაღწიეს: ირანის უმაღლესმა სასულიერო პირებმა პრემიერმინისტრი მოჰამედ მოსადიკი კომუნისტ-ათეისტებთან კავშირში დაადანაშაულეს და ანათემას გადასცეს. პარალელურად ლონდონსა და ნიუ იორკში ბეჭდავდნენ ყალბ ირანულ ბანკნოტებს, გაჰქონდათ ბაზარზე და ამით ხელი შეუწყვეს ჰიპერინფლაციას, რომელმაც, უკვე დაწესებულ სანქციებთან ერთად, საბოლოოდ გააჩანაგა ირანის ეკონომიკა.

## პირველი მაიდანი, რომელიც გენოციდის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო

კერმიტ რუზველტის ფულით „ბოევიკები" დაიქირავეს. 15 აგვისტოს ბანდიტების პირველმა ჯგუფმა დაიწყო მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა, ქუჩაში გამვლელების ცემა, მეჩეთებში მუსლიმანების დახვრეტა ლოზუნგით: „ჩვენ გვიყვარს მოსადიკი და კომუნიზმი!"; **მეორე ჯგუფი რამდენიმე საათის შემდეგ ამოქმედდა და ყველაფერი გეგმის მიხედვით დასრულდა: მრავალსაათიანი ხოცვა-ჟლეტა სროლებითა და ხანძრებით. მეორე დღეს გაზეთებმა მოსადიკი დაადანაშაულეს, რომ მას უნარი არ შესწევს, გააკონტროლოს ვითარება ქალაქში და უზრუნველყოს მოქალაქეების უსაფრთხოება.** 16, 17 და 18 აგვისტოს კიმ რუზველტმა ოპერაცია ფინიშამდე მიიყვანა. თეირანის ქუჩებში მშრომელები გამოიყვანეს. თითოეულს დღიური ხელფასის შესაბამისი თანხა მისცეს. ბევრი ვერ ხვდებოდა მანიფესტაციის აზრს და უხაროდა, რომ გამოსასვლელი დღე აუნაზღაურეს. **მასების მანიპულირების ამერიკელმა სპეციალისტებმა ხალხი თეირანის რადიოს შენობასთან მიიყვანეს, სადაც სიტყვა წარმოთქვა გენერალმა ფაზლოლა ზაჰედიმ.** ამ მომენტისთვის თეირანისკენ უკვე მიემართებოდა ზაჰედის მომხრე სამხედრო ქვედანაყოფები. აღსანიშნავია, რომ ზაჰედი მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელებთან თანამშრომლობდა, რის გამოც ინგლისელებმა დააპატიმრეს, შემდეგ კი ირანიდან გაასახლეს. 1949 წელს დაბრუნდა ირანში და ჯერ პოლიციის უფროსი გახდა, შემდეგ — 1951 წელს — შინაგან საქმეთა მინისტრი. ამერიკელი კარმიტ რუზველტი დარწმუნებული იყო, რომ ნაცისტი ზაჰედისგან სარგებელს მიიღებდა, ამიტომაც დანიშნა 1953 წელს „აგვისტოს პუტჩის" ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

## ოპერაციის შედეგი

ირანის ხელისუფლების სათავეში მოვიდა გენერალ ფაზლოლა ზაჰედის ხელისუფლება. მოსადიკის მომხრეთა გამოსვლები სამხედროებმა აღკვეთეს. 19 აგვისტოს მოსადიკის რეზიდენციის გარშემო ასზე მეტი გვამი ეყარა. თეირანის ქუჩები სავსე იყო დაღუპულთა ცხედრებით. პრემიერმინისტრის სახლი კი ცეცხლის ალში იყო გახვეული. **ოპერაცია „აიაქსი" — „პანდურის ამორტყმა" დასრულდა. სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო ხალხის მიერ არჩეული მოჰამედ მოსადიკის რეჟიმი. ირანის პრემიერმინისტრის სავარძელში ამერიკელებმა ნაცისტი ფაზლოლა ზაჰედი დასვეს.**

1953 წლის 5 დეკემბერს ირანმა აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან. 1954 წლის 10 აპრილს გაფორმდა შეთანხმება ირანის ნავთობის მოსაპოვებლად და დასამუშავებლად საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, **კონსორციუმში წილების 40% ერგო ინგლისურ-ირანულ კომპანიას, 40% — ამერიკული კომპანიების ხუთეულს — Culf oil, Socal, Esso, Socony** და **Texaco, 14% —კომპანია Shells, 6% — ფრანგულ კომპანიას.** 1954 წელს კონსორციუმმა ხელშეკრულება გააფორმა ირანის ხელისუფლებასთან. **1 ნოემბერს კი ინგლისურ-ირანულ კომპანიას სახელი შეეცვალა და დაერქვა BRITISH PETROLEUM COMPANY.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

პარალელები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოროშენკომ, რომელიც 7 თებერვალს მიუნხენის კონფერენციის ტრიბუნაზე ავიდა, დამსწრეთ რამდენიმე რუსული პასპორტი და ერთი სამხედრო ბილეთი წარუდგინა იმის დასამტკიცებლად, რომ დონბასში უკრაინის წინააღმდეგ რუსი სამხედროები იბრძვიან. სააგენტო „რია ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე საღამოს უკრაინელ კოლეგებს მიმართა ოფიციალური თხოვნით, გადაეგზავნათ მათთვის ამ დოკუმენტების ასლები. უკრაინის მხარემ „ვერ მოახერხა“ ამ თხოვნის შესრულება.**

# როცა დიდი ომის ზღვარზე დადგა ევროპა

## „ჰორმონული სარკის“ რეციდივები

**კოლეგა ჟურნალისტები ზოგჯერ ისეთ მოულოდნელ პარალელს გაავლებენ ბობოქარ პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადამიანის მოღვაწეობის უმშვიდეს დარგებს შორის, გაოცდები.**

შეგშურდება ან გაგიხარდება.

მით უფრო, როცა ოქროს გასაღები დასამუშავებელ თემას მოერგება.

**და გახსნის ჩარაზულ კარს.**

ამჯერად ასეა.

**„ჰორმონული სარკის“ დაავადების პრინციპით შეეცადნენ კოლეგები იმ უკიდურესად უარყოფითი პროცესების ახსნას, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ტექტონიკური ძვრები გამოიწვია ევროპაში და მის „მიმდებარე ტერიტორიაზე“.**

„ჰორმონულ სარკეს“ მედიკოსები უწოდებენ ჰორმონების თანაფარდობას, რომელიც ადამიანის ორგანიზმში მუდმივად მიმდინარე პროცესებს არეგულირებს.

დადგენილია, რომ „ჰორმონების თანაფარდობის რაიმე მიზეზით შეცვლა ორგანიზმის ჯანმრთელობის (ნორმალური მდგომარეობის) სერიოზული აშლილობის მიზეზი ხდება. ადამიანს, მაგალითად, შეიძლება გაუჩნდეს სექსუალური ორიენტაციის ან სქესის შეცვლის მოთხოვნა“.

და ნუ დავაბრალებთ ამას მაინცდამაინც ნეოლიბერალური თავაშვებულობის პრინციპების მასირებულ შეტევას ევროპის საზოგადოებრიობის აზროვნებაზე.

**ნორმიდან გადახვევის ავადმყოფობამ იძალა ევროპაში, რომელმაც ოქროს გასაღებიც დაკარგა და ელ-გე-ბე-ტე დროშასაც ეამბორა.**

წაკუზული.

არაერთ ევროპულ გამოცემაში წაიკითხავთ ანალიტიკოსების გულწრფელ წუხილს არსებული მდგომარეობის გამო: გეიაღლუმების მონაწილეთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ელ-გე-ბე-ტე თანამეგობრობის წევრები სახელმწიფო სტრუქტურებში უმრავლესობით მკვიდრდებიან...

შოუბიზნესი ხომ მათი საძოვარია და საკუნტრუშო.

**სპეციალისტების არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ „ჰორმონული სარკით“ გამოწვეული პრობლემები თავს იჩენს თანამედროვე ევროპის ყველა სოციალურ ჯგუფსა და ფენაში, რისი შედეგიცაა (დამტკიცებულია) აგრესიულობის გაძლიერება და სინამდვილის არაადეკვატური აღქმა.**

„მე შარლი ვარ!“ — ამ სლოგანის საწინააღმდეგო აქციებისთვის ძლიერი მუხტის მიმცემი, გარკვეულწილად, ამ ნიადაგზე აფეთქებული ყოვლისწამლეკავი ემოციის ტალღაც იყო.

ვინ დააზუსტებს, რომელ „ჰორმონულ სარკეში“ იმზირებოდა ცნობილი პოლონელი ტრანსსექსუალი **ანა გროდსკა**, **ყოფილი კშიშტოფ გრონსკი**, რომელმაც წარმატებით განვლო გზა სეიმის დეპუტატობისკენ და პოლონეთის პრეზიდენტობაზე აცხადებს პრეტენზიას მწვანეთა პარტიიდან. საქმეში ჩახედული პოლონელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ამ ყოფილ მამაკაცს, როცა 56 წლისა გახდა, სწორედ იმ ჯადოსნურმა სარკემ უკარნახა, რომ იყო პანი ანა და არა ერთი, ჩვეულებრივი შლიახტიჩი კშიშტოფი, რომელიც პრეზიდენტობას უმიზნებს. და თუ აქაც გაუმართლა, მაშინ ხომ დედა ეტირებათ გერმანელ ბიურგერებს, რომელთა ქვეყანაში ჰომოსექსუალმა **გიდო ვესტერველემ** მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილის დაკავება შეძლო.

თანაფარდობაარეული ჰორმონების ბრალი უნდა იყოს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — **გჟეგოჟ სხეტინას** არაადეკვატურობის გამოვლენის ფაქტები, რომელიც ხან ოსვენციმის ბანაკის გათავისუფლებას უკრაინელებს მიაწერს, ხან პოლონეთის პრეზიდენტის მიბაძვით წამოაყენებს იდეას „ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლის საიუბილეო თარილის მოსკოვიდან რომელიმე სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, მაგალითად, ლონდონში, ბერლინში ან გდანსკის მახლობლად ნახევარკუნძულ ვესტერპლატეზე“.

**პოლონელ პოლიტიკოსებს არ ეუხერხულებათ ისტორიული სიმართლის გაყალბება. მათთვის მთავარია, მიითვისონ დღესასწაული და ფაშიზმზე გამარჯვება თავიანთ დამსახურებად გაასაღონ.**

ხომ არ ნიშნავსო ასეთი დამოკიდებულება, ეჭვობენ მიმომხილველები, რომ პოლონეთის ელიტას ძვალსა და რბილში გაუჯდა ამერიკელებისადმი უსიტყვო მორჩილების განწყობილება? **ხომ ფაქტია, რომ სწორედ ამერიკელები ცდილობენ მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის, თავიანთ თარგზე მორგებას?!**

ასე სურთ!

პოლონელი მედროვენიც კუდს უწევენ.

ევროპულ პრესაში იქედნურად შენიშნავენ, რომ ამერიკელებისადმი ამგვარი მორჩილების შეფასებისას, უნებურად ახსენდებათ პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — **სიკორსკის** განცხადება, რომელმაც „შარშან ისეთი რამ თქვა, გასამეორებლად ენა არ მოგიბრუნდება“. მისი გამონათქვამის აზრი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **ამერიკელები პოლონეთს ყველა გაუკუღმართებული სექსუალური ფორმით ხმარობენ. პოლონელები კი, მიუხედავად იმისა, რომ მიჩვეულები არიან, იტანჯებიან. ასეთი არატრადიციული ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია.**

**დახვეწილი ცინიზმი, რომელიც ეთიკის საზღვარზე გადის.**

სერიოზული პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის ზეგავლენის შედეგად ევროპაში გაჩნდნენ თვითმკვლელი სახელმწიფოები და მათ შორის პოლონეთი პირველია.


ბერლინი, 1945 წლის მაისი

**ჯეფრი პაიეტმა თქვა, რა და როდის უნდა გააკეთოს უკრაინის მთავრობამ — სამოქმედო პროგრამა ჩამოუყალიბა. ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, ამაში ახალი არაფერია: ჩვენც (ჩვენს მთავრობასაც) სიბრძნის ლამპრით უნათებენ გასავლელ გზას აშშ-დან მოვლენილი მაღალჩინოსნები ყველა რანგისა. მაგრამ უკრაინის მთავრობა მაინც სხვაა, «სხვა მასალიდან ნაგები». ამ მთავრობაში ჩანერგილი ქართველი, ლიტველი და ამერიკელი მოჯამაგირეებით დაკომპლექტებული მინისტრთა კაბინეტი ელჩმა შეაფასა, როგორც «მსოფლიო კლასის მთავრობა», რომელსაც უკრაინელი ხალხი დიდხანს ელოდა**


ლუგანსკი, 2015 წლის თებერვალი

## „სარკეს“ გააჩნია

**ჰორმონულში ასე თუ ისე გავერკვიეთ. „კვირის სარკე“ კი ჟურნალია, რომელსაც კიევში გამოსცემენ. სწორედ ამ ყოველკვირეულის მიერ უკრაინაში აშშ-ის ელჩ პაიეტისთვის ჩამორთმეულმა ინტერვიუმ აპოვნინა მიმომხილველებს საინტერესო პარალელი პოლიტიკასა და ბიზნესს შორის.**

კიდევ ერთი ჟურნალისტური მიგნება — **პოლიტიკოსი-ბროკერები.**

ბროკერი — (მაკლერი, შუამავალი) იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც საშუამავლო ფუნქციას ასრულებს გამყიდველსა და მყიდველს შორის.

ახლა — სახელმწიფოც, პოლიტსაქონლის გამსაღებელი, ორგანიზატორი ვაჭრობის ბიზნესის.

პოლიტიკოსი ბროკერი აგიტატორია და პროპაგანდისტი, „შავი მუშაც“, რომელსაც ავალებენ იმ დებულებების გაშიფვრას და მასებში გატანას, რომლებზეც ხელმძღვანელები ზოგადად მიგვანიშნებენ.

**ბითუმად და ცალობითობის პრინციპის მაგვარი მეთოდია.**

მაგალითი: 1 თებერვალს ბარაკ ჰუსეინ ობამას ინტერვიუ ჩამოართვა CNN-მა. რაც ამ ინტერვიუში აშშ პრეზიდენტმა „ფრჩხილებში მოაქცია“, აშშ ელჩმა უკრაინაში, ბატონმა პაიეტმა მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა, „კვირის სარკეში“ ობამას ინტერვიუს ეთერში გასვლამდე ერთი დღით ადრე.

ობამას არ უთქვამს, **ჯეფრი პაიეტმა თქვა, რა და როდის უნდა გააკეთოს უკრაინის მთავრობამ — სამოქმედო პროგრამა ჩამოუყალიბა. ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, ამაში ახალი არაფერია: ჩვენც (ჩვენს მთავრობასაც) სიბრძნის ლამპრით უნათებენ გასავლელ გზას აშშ-დან მოვლენილი მაღალჩინოსნები ყველა რანგისა.**

მაგრამ **უკრაინის მთავრობა მაინც სხვაა, „სხვა მასალიდან ნაგები“. ამ მთავრობაში ჩანერგილი ქართველი, ლიტველი და ამერიკელი მოჯამაგირეებით დაკომპლექტებული მინისტრთა კაბინეტი აშშ-ის ელჩმა შეაფასა, როგორც „მსოფლიო კლასის მთავრობა“, რომელსაც უკრაინელი ხალხი დიდხანს ელოდა.**

ე. ი. მიიღო ის, რისი ღირსიც იყო, მაგრამ სხვა ქვეყნის ელჩი რა შუაშია?!

გავიკვირვოთ და დავრჩეთ გაოცებულები.

**მიმომხილველები კი, რომელთა ქვეყანასაც „მსოფლიო კლასის ეს მთავრობა“ თავს მოახვიეს, პირდაპირ აცხადებენ, რატომ გახდაო უკრაინა საქართველოდან ფეხაკვეთილი დამნაშავე ელემენტების სალექარი (отстойник)?!**

ელჩი უხსნის — რეფორმების განსახორციელებლადო. თუნდაც ისეთების, რომლებიც დაჩემებული აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდს და რომელთა რეალიზაციისთვის კიევში დააფუძნეს აშშ-ის მოქალაქე ნატალია იარესნკო — უკრაინის ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე.

**რეფორმები, რომლებიც სოციალურ პრობლემებს მოაგვარებს?! არა! პაიეტის თქმით, ეს რეფორმები იქნება „უმძლავრესი იარაღი ვლადიმერ პუტინისთვის წინააღმდეგობის გასაწევად“.**

რასაც სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი შესწირა.

**ანალიტიკოსებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ბატონ ჯეფრი პაიეტის გამონათქვამი სხვა არაფერია, თუ არა ვაშინგტონის ოფიციალური** ▶

**ნორმიდან გადახვევის ავადმყოფობამ იძალა ევროპაში, რომელმაც ოქროს გასაღებიც დაკარგა და ელ-გე-ბე-ტე დროშასაც ეამბორა. წაკუზული. არაერთ ევროპულ გამოცემაში წაიკითხავთ ანალიტიკოსების გულწრფელ წუხილს არსებული მდგომარეობის გამო: გეიაღლუმების მონაწილეთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ელ-გე-ბე-ტე თანამეგობრობის წევრები სახელმწიფო სტრუქტურებში უმრავლესობით მკვიდრდებიან... შოუბიზნესი ხომ მათი საძოვარია და საკუნტრუშო.**

პარალელები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იალტის კონფერენციისადმი მიძღვნილი ზურაბ წერეთლის სკულპტურული კომპოზიცია

## უკრაინის მთავრობა მაინც სხვაა, «სხვა მასალიდან ნაგები». ამ მთავრობაში ჩანერგილი ქართველი, ლიტველი და ამერიკელი მოჯამაგირეებით დაკომპლექტებული მინისტრთა კაბინეტი აშშ-ის ელჩმა შეაფასა, როგორც «მსოფლიო კლასის მთავრობა», რომელსაც უკრაინელი ხალხი დიდხანს ელოდა

**პოზიცია.** სად და როდის იყო, ელჩები საკუთარ აზრს ასაჯაროებდნენ, მით უფრო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით?!

არ ყოფილა ასეთი რამ.

**პაიეტმა დაადასტურა, გვეუბნებიან ექსპერტები, რომ მხოლოდ აშშ-ს შეიძლება ჰქონდეს „განსაკუთრებული უფლებები" უკრაინის არჩევანის განსაზღვრის: „კიევში თავისი საელჩოს, აგრეთვე, ამ საელჩოს დამხმარე „მსოფლიო კლასის მთავრობის" მეშვეობით აშშ თავისი „განსაკუთრებული უფლებების" განხორციელებით არის დაკავებული".**

**საქართველოში აშშ-ის საელჩომ თავის პარტნიორებად სამი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოაცხადა. თუ ერთ ქვეყანაში „განსაკუთრებული უფლებების სარეალიზაციოდ „მსოფლიო კლასის მთავრობას" იყენებენ ამერიკელები, მეორეში ანალოგიური მიზნისთვის არასამთავრობოები ჰყავთ.**

CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის პრეზიდენტმა უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებასთან აშშ-ის უშუალო კავშირს ნეიტრალური „ხელისუფლების შეცვლა" უწოდა, ე. ი. კავშირი იყო, ოღონდ — ნეიტრალური.

რა მოუტანა უკრაინას ამ „ნეიტრალიტეტმა", განმარტებას არ საჭიროებს. მხოლოდ ერთი მაგალითი ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბის საილუსტრაციოდ. გერმანული **Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung** იტყობინება, რომ **გერმანიის დაზვერვის გაანგარიშებით, უკრაინის კონფლიქტის დროს 50 ათასი ადამიანი დაიღუპა.** ეს ოდენობა თითქმის ათჯერ აჭარბებს კიევისა და გაეროს მონაცემებს. მაგრამ გერმანიაში დარწმუნებულები არიან, რომ ოფიციალური მონაცემები „ძალიან შემცირებულია და ნდობას არ იმსახურებს."

**„სათუოა, აშშ პრეზიდენტმა თავის ნათქვამს, აშშ-მა „ბროკერის" როლი ითამაშა კიევში ძალაუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადაცემის საქმეშიო („We had brokered a deal to transition power in Ukrain"), დაუმატოს, რომ ეს, ფრიად თავისებური „ბროკერური მომსახურება" ვაშინგტონმა განახორციელა იმ იმედით, რომ შეერთებული შტატები უკრაინის „ღირსების რევოლუციის" მთავარი სარგებლის მიმღები გახდებოდა".**

კუთვნილი საკომისიოსი.

და შემდეგ:

**„თუ ბროკერი, რომელიც შუამავლობს გარიგებაში, ანაზღაურებას პროცენტის სახით იღებს, მაშინ აშშ-ს უკრაინაში ყველაფრის ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებს... უკრაინა (აშშ ადმინისტრაციისთვის) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც საყრდენი ტერიტორია ევრაზიის დიდ თამაშში... ამერიკა მზად არის, განაგრძოს თავისი თამაში: დებიუტი გადადის მიტელშპილში".**

### მომდევნო სვლა ევროპისა

და აქ ხდება სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: დასავლეთის ბლოკის ორი მთავარი სახელმწიფოს მეთაურები — საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი და გერმანიის კანცლერი მერკელი — ამერიკასთან კონსულტაციების გაუვლელად და აშშ-ის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად ჩადიან ჯერ კიევში, ხვდებიან პოროშენკოს, მეორე დღეს კი მოსკოვში პუტინთან მართავენ მოლაპარაკებას.

მიზანი — უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

დასავლეთის ლიდერების შეხვედრები უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებთან დახურულ ფორმატში გაიმართა.

ინფორმაციამ მაინც გამოჟონა.

გაირკვა, რომ **ბერლინი და პარიზი შეაშფოთა ამერიკის მიერ ლეტალური იარაღით კიევის მომარაგების თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მერკელმა და ოლანდმა შეიმუშავეს გეგმა, რომელიც მინსკის ოქმს ეფუძნება და მისი იმპლემენტაციისთვისაა მოწოდებული. იმპლემენტაცია განხორციელებას, შესრულებას, პრაქტიკულ რეალიზაციას ნიშნავს.**

მასმედიის რეაქციაც შესაბამისი იყო: „თუ რუსეთი ჩათვლის, რომ აშშ ემზადება კიევისთვის იარაღის მისაწოდებლად, დიდი სტრატეგობა არ არის აუცილებელი იმის მისახვედრად, რა უბედურებაც შეიძლება დატრიალდეს, — აღნიშნავდა ბრიტანული **The Independet** და დასძენდა, — **ეს ვიზიტი შეიძლება გახდეს „განწირულთა ჟესტი", თუ ევროპის პირველი მცდელობა — მიაღწიოს დაზავებას უკრაინაში, წარუმატებელი გამოდგება.**

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ **ვალერი ჩალიმ** ჟურნალისტებს განუცხადა:

„ჩვენ უარს ვერ ვიტყვით მინსკის მოლაპარაკებებზე, რადგან ისინი მოიცავს საკითხებს, რომლებიც გვაწუხებს... ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავიდეთ ურთიერთშეხების ხაზზე, რომელიც აღნიშნულია მემორანდუმში, დამთავრდეს შეიარაღების მიწოდება, გადაიკეტოს საზღვარი და შეწყდეს ცეცხლი".

**მაკკეინმაც** კი, ამერიკელი ქორების ამ თავდადებულმა ლიდერმა, რომელიც აშშ-ის კონგრესის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტს ხელმძღვანელობს და, როგორც ერთმა პუბლიცისტმა თქვა, ამ დღეებში ეკრანზე ისე ხშირად აჩვენებენ, თითქოს მერლინ მონრო იყოსო, გამოცემა **Sputmik**-ს განუცხადა: **„ვფიქრობ, მათთვის (უკრაინელებისთვის) რომ მიგვეწოდებინა იარაღი, რომელიც სჭირდებათ, ისინი არ გამოიყენებდნენ კასეტურ ბომბებს. ამიტომ ეს ნაწილობრივ ჩვენი ბრალიცაა".**

**ირიბი დამოწმებაა, რომ უკრაინის ძალოვნები იყენებენ ამ აკრძალულ იარაღს.**

კასეტური ბომბების გამოყენება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობის წინააღმდეგ დაადასტურეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიცაა **„ჰუმან რაითს ვოჩი"** და **ეუთოს მისია**. იგივე აღნიშნა **გაერომ** თავის მოხსენებაში და ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ფაქტი არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევა და შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც სამხედრო დანაშაული.

კიევში ჩავიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი**, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ მზადაა, უკრაინაში მშვიდობის გარანტის როლი იტვირთოს. ეს ვიზიტი იმდენად მოსალოდნელ მოვლენასთან მიტმასვნის სურვილით კი არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც მომენტის სერიოზულობიდან გამომდინარეობდა, და ნურც მეთვალყურისა და გამკონტროლებლის ფუნქციას გამოვრიცხავთ.

ვინმე დაიჯერებს, რომ უბრალო დამთხვევა იყო?!

### მოსკოვი. 2015 წლის 6 თებერვალი

70 წლის წინათ იალტაში მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყნების მეთაურების ისტორიული შეხვედრა გაიმართა. იმხანად სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ომისშემდგომი მსოფლიოს მშვიდობიან მოწყობაზე ბჭობდნენ.

2015 წლის 6 თებერვლის შეხვედრის დღის წესრიგში ევროპაში დიდი ომის თავიდან აცილების პრობლემა იდგა.

პუტინთან მოლაპარაკების წინ **სააგენტო „ბლუმბერგმა"** გაავრცელა ანგელა მერკელის პოზიცია, რომლის მიხედვით, უკრაინის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება შეიძლება იყოს შეთანხმება მოლაპარაკების გზით.

**ყირიმის კონფერენციის 70-ე წლისთავზე ევროპა ფართომასშტაბიანი ომის საშიშროების წინაშე დადგა...**

მოსკოვი, კრემლი. პუტინი, მერკელი, ოლანდი მრგვალ მაგიდას მიუსხდებიან — რამდენიმეწამიანი პროტოკოლური გადაღება.

მხოლოდ სამნი.

თარჯიმნები არ ჩანან: თარგმანს ყურსასმენებით მიაწვდიან ლიდერებს.

მოლაპარაკება 5 საათს გრძელდება. კიევში 4 საათს საუბრობდნენ.

გვიან ღამით (უფრო დილისკენ) პუტინის პრესმდივანი პესკოვი გამოდის ჟურნალისტებთან.

მისი ინფორმაცია წმინდა ტექნიკური ხასიათისაა: მოლაპარაკება გაგრძელდება სატელეფონო ურთიერთობის რეჟიმში, მომდევნო კვირას კი — ნორმანდიის ფორმატში.

სულ ესაა.

კანცლერი ანგელა მერკელი მიუნჰენში იტყვის, რომ არ იცის, მიაღწიეს თუ არა წარმატებას, მაგრამ შეხვედრას მაინც სასარგებლოს უწოდებს.

მოკლე იყო საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდის კომენტარიც:

— ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი. თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ მტკიცე, მშვიდობიან შეთანხმებას, შესანიშნავად შეგვეძლება წარმოვიდგინოთ შემდგომი სცენარი, რომელსაც სახელად ჰქვია ომი.

**ევროპაში არ დავიწყებიათ მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი. ეს ერთი. და მეორე, რასაც ზოგიერთი ანალიტიკოსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს: დიდი ომი ევროკავშირის კრახს გამოიწვევს.**

**დიდი ომის შიშმა აამოძრავა მერკელი და ოლანდი.**

ოლანდი უკრაინის აღმოსავლეთი რეგიონებისადმი მეტი ავტონომიის მიცემის წინადადებასაც წამოაყენებს. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, 50-70-კილომეტრიანი დემილიტარიზებული ზონის შექმნას, რაც გათვალისწინებულია მერკელთან ერთად შემუშავებულ დარეგულირების გეგმაში.

ხოლო უკრაინის პრეზიდენტმა **პოროშენკომ, რომელიც 7 თებერვალს მიუნჰენის კონფერენციის ტრიბუნაზე ავიდა, დამსწრეთ რამდენიმე რუსული პასპორტი და ერთი სამხედრო ბილეთი წარუდგინა იმის დასამტკიცებლად, რომ დონბასში უკრაინის წინააღმდეგ რუსი სამხედროები იბრძვიან. სააგენტო „რია ნოვოსტის" ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე საღამოს უკრაინელ კოლეგებს მიმართა ოფიციალური თხოვნით, გადაეგზავნათ მათთვის ამ დოკუმენტების ასლები. უკრაინის მხარემ, „ვერ მოახერხა" ამ თხოვნის შესრულება.**

რუსები დონბასში რომ იბრძვიან, ცნობილია, მაგრამ არა რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების შემადგენლობაში, არამედ — საკუთარი ნებითა და რწმენის კარნახით.

ზემოთ დასახელებული პერფომანსი კი ბატონ პოროშენკოს დასჭირდა იმისთვის, რათა დაერწმუნებინა დასავლეთი, თუ რამდენად აუცილებელია უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდების დაჩქარება.

**7 თებერვალს მიუნჰენში გადმოსხდნენ ამერიკელების პოლიტიკური დესანტი: ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და სენატორების დელეგაცია ჯონ მაკკეინთან ერთად.**

**მაკკეინი — მთავარი დამრტყმელი ძალა.**

**ამერიკელთა ამ დესანტმა შეუტია კანცლერ მერკელს, რატომ ეწინააღმდეგებაო გერმანია უკრაინის იარაღით მომარაგებას?**

— მესმის, რასაც გადაკვრით მეუბნებით, — უპასუხა მერკელმა, — უკრაინას სჭირდება პროგრესი, რომელსაც ვერ მივაღწევთ შეიარაღების მიწოდების გზით. რეგიონში ისედაც ბევრი იარაღია. **დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონფლიქტის ომით მოგვარება შეუძლებელია, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი ძალისხმევა დიპლომატიურ მეთოდებისკენ მივმართოთ.**

**მან თქვა ისიც, რომ ამ საკითხში უკრაინის პრეზიდენტისგან განსხვავებული შეხედულება აქვს.**

პოროშენკომ კი, როგორც პრესა იტყობინება, ჯო ბაიდენთან კამერების წინ დემონსტრაციული ხვევნა-კოცნის ტელეგადაღების სესია გამართა.

მერკელის მორიგ განცხადებას უკრაინის შეიარაღებაზე უარის თქმის შესახებ დარბაზმა აპლოდისმენტებით უპასუხა, პოროშენკომ კი ძლივს მოახერხა საკუთარი იმედგაცრუების დაფარვა. და „იჯდა გაქვავებული სახით, როცა კანცლერი თავის მშვიდობიან დიპლომატიაზე ლაპარაკობდა". ჟურნალისტებს არც ეს გამოეპარვიათ მხედველობიდან.

ხოლო ბაიდენი რუსეთს სრული იზოლაციით დაემუქრა, თუ მისი (რუსეთის) პოლიტიკა უკრაინის მიმართ არ შეიცვლება. მაგრამ რა იზოლაციაა ისეთი, როცა ევროპის ორი წამყვანი ქვეყნის ლიდერები — მერკელი და ოლანდი თვითონ ჩადიან რუსეთის დედაქალაქში ნებისმიერ საკითხზე მოსალაპარაკებლად?!

ბაიდენის სიტყვით გამოსვლისას იქვე, ქუჩაში ანტინატოური დემონსტრაცია ტარდებოდა.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მოსკოვის მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, არ იყო 1945 წლის იალტის კონფერენციის რანგის ისტორიული მოვლენა, მაგრამ გარკვეულწილად იმ პრინციპების დასაცავად გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს (მცდელობად მაინც), რომლებზეც 70 წლის წინათ იალტაში შეთანხმდნენ XX საუკუნის პოლიტიკის კოლოსები და რომლებზეც აშენდა ომისშემდგომი მსოფლიო, შეიქმნა გლობალური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა.**

**იალტის (ყირიმის) კონფერენციის 70 წლისთავთან დაკავშირებით, ლივადიის სასახლის მახლობლად საზეიმოდ გაიხსნა მეორე მსოფლიო ომში სამი მოკავშირე სახელმწიფოს ლიდერების — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის სკულპტურული კომპოზიცია, რომლის ავტორი ზურაბ წერეთელია.**

**სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?!**

**ეს ათტონიანი ძეგლი ჯერ კიდევ ათი წლის წინათ უნდა დაედგათ, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ უკრაინის იმჟამინდელი ხელისუფალნი და იქაური პოლიტიკური პარტიები, ასევე — ყირიმელი თათრების მეჯლისის ხელმძღვანელობა(!).**

**დღეს ეს პრობლემა მოხსნილია: ისტორიული სიმართლე, რომლის დამახინჯება ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის დონემდეა აღზევებული, გზას იკვლევს.**

**11 თებერვალს, ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღეს, გაიმართება უკრაინის კრიზისის გადაწყვეტისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების ბოლო რაუნდი: ე. წ. ნორმანდიულ ფორმატში ერთმანეთს შეხვდებიან ვლადიმერ პუტინი, პეტრო პოროშენკო, ანგელა მერკელი და ფრანსუა ოლანდი.**

**70 წლის წინათ, 1945 წლის 11თებერვალს დაიხურა იალტის (ყირიმის) კონფერენცია.**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამართლის აღდგენა და ნაცრეჟიმის გასამართლება „ქართულ ოცნებას“, მის მამოძრავებელ ბირთვს, თავიდანვე არ ჰქონდა დაგეგმილი, თორემ საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ისეთი მხარდაჭერა ჰქონდა, რომ ნებისმიერ წინააღმდეგობას დაძლევდა. დღევანდელი გადასახედიდან, 28 თვის თავზე, „ქართული ოცნების“ მიერ „ნაცების“ მიმართ გატარებული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი გასაშიფრი და გასაანალიზებელი გახდა, რადგანაც, ფაქტობრივად, ყველაფერი გაცხადდა — „ოცნებამ“ კი მალა, მაგრამ „ჭირმა თავი არ დამალა“!**

# ოცნება და რეალობა,

## ანუ ხელისუფლების უუნარობა თუ სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა

**ხმამაღალი და ემოციური გამოსვლები სამართლიანობის აღდგენის (გნებავთ, დამკვიდრების) თაობაზე ნანატრი „ქართული ოცნების“ ხელშიც არ მთავრდება და ისეთი პირი უჩანს, არც არასოდეს დასრულდება. სამართლიანობის აღდგენა სამართლებრივი გზით დღევანდელ საქართველოში, პრაქტიკულად, მიუღწეველია (არასამართლებრივი გზისგან კი ქართველი ხალხი, მიუხედავად „ნაციონალური“ რეჟიმის მხრიდან მრავალწლიანი გაწამებისა, საბედნიეროდ, მაინც თავს იკავებს).**




რა უშლის ხელს, რატომ იგვიანებს დიდის ამბით დაპირებული სამართლიანობა?! განა თვითონ ივანიშვილი არ შეგვპირდა საჯაროდ, — მართალია, ეკონომიკურად უცებ ვერ აგაყვავებთ, მხოლოდ მესამე წლიდან შეიგრძნობთ უკეთესობას, მაგრამ სამართლიანობის აღდგენას ბევრი დრო არ სჭირდება, ამისთვის კეთილი ნებაც საკმარისიაო. მესამე წელი, კარგა ხანია, დაიწყო, მაგრამ არც ეკონომიკურად უგრძვნია საქართველოს მოსახლეობას თავი უკეთ და არც სამართლებრივად. ერთი სიტყვით, 2012 წლის დაპირებებზე დამყარებული იმედები დაიმსხვრა! **ჯერ საყდრისის აფეთქებით და ახლა კიდევ მოკლული შვილის საფლავზე მისული, სამართლის მაძიებელი მამის აფეთქებით (მსგავსი დანაშაული კრიმინალურ სამყაროს არ ახსოვს) საბოლოოდ დასამარდა ყოველგვარი ოცნება უკეთეს, სამართლიან მომავალზე. ეს ტრაგედია „ნაცრეჟიმის“ გასამართლებაზე უარის თქმამ გამოიწვია (უარის თქმამ და არა — უუნარობამ), ამიტომ იური ვაზაგაშვილის სიკვდილი ხელისუფლების სინდისზეცაა!**

ყველაფრის მიზეზი თავშია, რომელსაც ხელისუფლება ჰქვია და პარლამენტ-მთავრობას მოიცავს (შემდეგ — სასამართლოსაც) და მას უკვე ყველანი, მომხრეებიც კი, ისე ახასიათებენ, როგორც უუნაროსა და უნიათოს. უფრო დამამცირებელ ეპითეტებსაც არ იშურებენ, მაგრამ ახლა მხოლოდ ხელისუფლების „უნარჩვევებზე“ შევჩერდები. ვიდრე ხელისუფლების უუნარობაზე ვიტყოდე რამეს, თვითონ სამართლიანობაზე მოგახსენებთ.

**რას ვგულისხმობდით სამართლიანობის აღდგენაში, ანუ რას ვითხოვდით ხელისუფლებისგან?**

პირველ რიგში, **იმ მკვლელების გასამართლებას, რომლებმაც ცხრა წლის განმავლობაში (2004-2012 წლებში) უმოწყალოდ, გაუგონარი სისასტიკით დახოცეს ასობით ადამიანი ქუჩაში, ციხეებში, პოლიციის შენობებში თუ საკუთარ ბინებში (ახალგაზრდებიდან დაწყებული, მომიტინგეებით, ბიზნესმენებით, სამხედრო პირებით, მეცნიერებით, დიპლომატებით გაგრძელებული და პრემიერმინისტრით დამთავრებული).** ვითხოვდით არამხოლოდ შემსრულებლების, არამედ, უპირველესად, **იმ თანამდებობის პირების დასჯას, რომელთა უშუალო ბრძანებითაც ეს მკვლელობები ხორციელდებოდა** (ასეთი უკანონო ბრძანებების გამცემთა სიას, პირადი საჯარო აღიარების საფუძველზე, ექსპრეზიდენტი სააკაშვილი უდგას სათავეში), და იმ **რეჟიმის გასამართლებას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ერქვა და რომელმაც სახელმწიფო ტერორი დაამკვიდრა**, ციხეებში კი ყოვლად ამაზრზენი წამების მეთოდები დანერგა;

**პოლიტიკაში ჩართვა მხოლოდ ივანიშვილის გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, იგი თავისი ნებით უსუფაშვილსა და ალასანიას არ დაიყენებდა გვერდით, არც სახელმწიფოს მართვის სადავეებს გაუშვებდა ხელიდან, ვიდრე ფეხზე არ წამოაყენებდა ქვეყანას, არც «ნაციონალების», რესპუბლიკელებისა და «თავისუფალი დემოკრატების» ტრიუმვირატის შექმნას შეუწყობდა ხელს! მას საფრთხე იმიტომ არ ემუქრებოდა, რომ ყველაფერი ოკეანის გაღმა იყო შეთანხმებული და სააკაშვილი ბუზის აფრენასაც ვერ გაუბედავდა პირადად მას და მის ოჯახს. ეს რომ არა, ივანიშვილის დაცვა შეაჩერებდა ყველაფრის მკადრებელი «ნაცების» ლიდერს?!**

ვითხოვდით **სახელმწიფოს მიერ დაყაჩაღებული 22 ათასი ქონებაწართმეულისთვის ქონების დაბრუნებას** (ან შესაბამის კომპენსაციას წამრთმევი პირების ქონების კონფისკაციის ხარჯზე და არა — სახელმწიფო ბიუჯეტიდან) და, ცხადია, **უკანონობის ჩამდენი დამნაშავე პირების (სახელმწიფო მოხელეებისა და მოსამართლეების) დასჯას.**

დასასრულ, ვითხოვდით **უკანონო განაჩენებით ციხეებში ჩაყრილი (პოლიტიკური ნიშნით, ბიზნესის წართმევის თუ მოსახლეობის დაშინების მიზნით) ათასობით ადამიანის გამოშვებას** (ნათელია, რომ ამ შემთხვევაშიც, უმკაცრესი პასუხი უნდა ეგოთ იმ გამომძიებელ-პროკურორებსა და მოსამართლეებსაც, რომელთა მიერ გაყალბებულ საქმეებსა და უსაფუძვლო განაჩენებს ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა) და **ჯანმრთელობაშერყეული ამ უკანონო პატიმრების რეაბილიტაციას, მათზე სათანადო კომპენსაციის გაცემით** (ეს შეიძლება მომხდარიყო ბიუჯეტიდანაც, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „ნაცების“ მიერ მოქალაქეების მიტაცებული ქონება და ბიუჯეტიდან მითვისებული მილიონები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა). რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი სხვაც იყო გამოსასწორებელი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი უმთავრესი იყო.

**როგორ უნდა განხორციელებულიყო ყველაფერი ეს სამართლებრივ ჩარჩოებში?** ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. მაგრამ ისიც ცხადია, რომ **მოსამართლეთა მიერ ამ ცხრა წლის განმავლობაში გამოტანილი განაჩენების მართებულობა უნდა შეესწავლა სპეციალურ, პარლამენტს დაქვემდებარებულ (ან სულაც დამოუკიდებელ) კომისიას და არა იმავე, სავარაუდოდ, დანაშაულის ჩამდენ მოსამართლეებს.** ასეც იყო დაგეგმილი 2012 წელს, არჩევნებში გამარჯვებისთანავე, მაგრამ იგი არ შეიქმნა. ერთადერთი, რაც გაკეთდა ოპერატიულად, ეს იყო ქალბატონი ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით შექმნილი საპარლამენტო კომისია, რომელმაც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საქმეები შეისწავლა და **220 პირს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა,** მათგან ციხეებში მყოფი 180 ადამიანი კი გაათავისუფლა; ამნისტიის საფუძველზე ციხეებიდან გამოშვებულ იქნა, აგრეთვე, **10 ათასზე მეტი პატიმარი;** და კიდევ — **ივანიშვილის „ქართუ ბანკს“ მყისიერად დაუბრუნდა უკანონოდ წართმეული 80 მილიონი.** ეს იყო და ეს, რაც პირველ თვეებში გაკეთდა. შემდგომ ორ წელიწადში, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, შეიძლება ითქვას, არაფერი გაკეთებულა.

ახლა, ხელისუფლების უუნარობას რაც შეეხება: ვის უწოდებენ ხოლმე უუნაროს? უუნაროს მასზე იტყვიან, ვისაც მრავალი პრობლემიდან უბრალოს გადაჭრაც არ შეუძლია.

ალბათ, ბევრი შემომედავება — სამართლებრივ ჩარჩოებში თუ გვინდა ცხოვრება, არ შეიძლება, ყველა სავარაუდო დამნაშავეს ციხეში ვუკრათ თავი, ყველაფერს ხომ სათანადო გამოძიება და შესწავლა სჭირდებაო. ცხადია, სჭირდება და, მაშასადამე, — შესაბამისი დროც, მაგრამ ორ ათეულ ათასზე მეტი საქმიდან ორი წლის განმავლობაში ორი ასეულიც რომ არ იქნა მიყვანილი ბოლომდე, ამაზეა ლაპარაკი. ეს ერთი. მეორე — დაჩქარებული წესით განაჩენის გამოტანა და ადამიანების ციხეებში გამწესება არ შეიძლება, თორემ, როდესაც ხელთა გვაქვს აშკარა სამხილები – პირადი აღიარებები, ფაქტობრივი მასალის ტომები, ათასობით საჩივარი და მოწმის ჩვენება, პროკურატურის მიერ შეთითხნილი ბრალდებები და მოსამართლეების მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენები, მათი სამსახურეობრივი საქმიანობის შეჩერება მათივე საქმეების შესწავლამდე ვითომ კანონის დარღვევა იქნებოდა? რა თქმა უნდა, არა! **კანონი და სამართლიანობა მაშინ დაირღვა, როცა ისევ იმ პროკურო-**

▶

მსოფლიო

### ჯონ კერი: კიევმა დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებისა და ადგილობრივი არჩევნების ჩატარების პირობა დადო

**უკრაინა აშშ-ის დაჰპირდა, დონბასს განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭოს და რეგიონში ადგილობრივი არჩევნები ჩაატაროს. განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კიევში ვიზიტისას უკრაინის პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკთან ერთად გამართულ ბრიფინგზე.**

კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად ჯონ კერიმ დიპლომატიური გზა დაასახელა. მისი თქმით, კონფლიქტი ომის გზით არ გადაწყდება. ამისთვის, სახელმწიფო მდივნის აზრით, ყველა მხარემ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა.

**„უკრაინამ დაადასტურა, რომ ვალდებულებას იღებს, რეგიონს განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს, რათა დონბასის მუნიციპალიტეტებს უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდეთ. ეს ძალაში რჩება ისევე, როგორც ვალდებულება საკონსტიტუციო რეფორმების გატარების შესახებ. ასევე ძალაშია ვალდებულება, დონბასში ჩატარდეს თავისუფალი ადგილობრივი არჩევნები. ეს ყველაფერი ის ეტაპებია, რომლებიც ორივე მხარემ აუცილებლად უნდა განახორციელოს“,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.



## როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს, რომლებზეც (თითოეულზე!) ათეულობით საჩივარია შესული, ისევ პროკურორებად და მოსამართლეებად ტოვებ და თანაც რიხიანად აცხადებ, — სასამართლო თავისუფალია და დამოუკიდებელი, ხელისუფლება სასამართლოს საქმიანობაში არ ერევაო, ალბათ, გვარიანად მწყრალად უნდა იყო საღ აზროვნებასთან! ამას უკვე არც უნიათობა ჰქვია და არც უუნარობა, ეს მიზანმიმართული დანაშაულია!

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რებსა და მოსამართლეებს მიანდეს იმ საჩივრების განხილვა, როცა მათ ხელს ადებდნენ დაზარალებულები! გავიხსენოთ ყოფილი მთავარი პროკურორის — არჩილ კბილაშვილის განცხადება: 333 პროკურორიდან მხოლოდ ერთ(!) პროკურორზე არ არის საჩივარი შემოსული, დანარჩენებზე კი არაერთიო;** ახლახან ადვოკატმა, ქალბატონმა ირმა ჭკადუამაც ანალოგიური რამ განაცხადა მოსამართლეებზე, როცა პოლიტპატიმრებზე საუბრობდა: 200-ზე მეტი პოლიტპატიმრის განაჩენში დაახლოებით 100 მოსამართლის ხელი ურევიაო (რამდენი მოსამართლის ხელი იქნება გასვრილი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში „ნაცების" 9-წლიანი რეჟიმის პირობებში 300 ათასზე მეტი ადამიანი იქნა მსჯავრდებული?!).

**ასეთი სამართალდამცველი პროკურორ-მოსამართლეების წინააღმდეგ არათუ საქმეები აღძრა „ოცნების" ხელისუფლებამ, არათუ უფლებამოსილება შეუჩერა მათ, არამედ სამუშაო ადგილებზე დატოვა და ზოგიერთი დააწინაურა კიდეც. როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს, რომლებზეც (თითოეულზე!) ათეულობით საჩივარია შესული, ისევ პროკურორებად და მოსამართლეებად ტოვებ და თანაც რიხიანად აცხადებ, სასამართლო თავისუფალია და დამოუკიდებელი, ხელისუფლება სასამართლოს საქმიანობაში არ ერევაო, ალბათ, გვარიანად მწყრალად უნდა იყო საღ აზროვნებასთან! ამას უკვე არც უნიათობა ჰქვია და არც უუნარობა, ეს მიზანმიმართული დანაშაულია!** ამიტომ ხელისუფლებისგან, რომელიც ასე იწყებს სამართლიანობის აღდგენას, რაც უნდა ახალი, დამაიმედებელი დაპირებები მოვისმინოთ ამ კუთხით, **რაიმეს დაჯერება ძალიან გაჭირდება.**

როგორც ზემოთ ვთქვი, **სამართლიანობა სასამართლოს გზით უნდა დამყარდეს, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელ სინამდვილეში ეს გამორიცხულია! როცა მრავალცოდვაჩადენილი, ნამუსგარეცხილი მოსამართლეები (პროკურორები, გამომძიებლები) ისევ ადგილებზე არიან და თანაც თავის ჭკუაზე, უფრო სწორად, კუბლაშვილ-„ნაცების" ჭკუაზე მიშვებულნი, სამართალს ვერაფრით მიაღწევ.** ისინი ძველ საქმეებს ობიექტურად რომ არ გამოიძიებენ, ცხადზე უცხადესია, ამიტომ პატიოსანი კაცისთვის გაუგებარია, რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ეშმაკთან ასჯერ შეკრული მოსამართლე, რომელსაც ხელშეუხებლობის გარანტიაც უბოძეს, უცებ უმწიკვლო ადამიანად, ფრთიან ანგელოზად გარდაიქმნება?! ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ასეთი ტრანსფორმაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. **ეს კარგად გამოჩნდა, როცა კოდორის ხეობის გმირულად დამცველ კვიციანს კოდორის ხეობის ჩამბარებელი „ნაცების" რეჟიმისდროინდელმა (და „ქოცების" მიერ ისევ თავის ადგილზე დატოვებულმა) მოსამართლემ 16 წელი შეუფარდა! ეს კარგად გამოჩნდა იქიდანაც, როგორი მოუმზადებელი დოკუმენტაცია გაგზავნა პროკურატურამ საფრანგეთსა და საბერძნეთში კეზერაშვილისა და ახალაიას ექსტრადიციის მოთხოვნით.** ხელისუფლების ასეთი ნაბიჯების ახსნა უუნარობით უკვე ჩვენი მიუხვედრელობის, ჩვენი უგუნურების მაჩვენებელი იქნება და მეტი არაფერი.

**ხელისუფლებისთვის უუნაროს წოდება მაშინ იქნებოდა სწორი, თუ იგი სამართლებრივ პრობლემებს შეეჭიდებოდა, ვერ მოერეოდა და ხელებს ჩამოუშვებდა. მაგრამ პრობლემებთან შეჭიდების მცდელობაც კი არ ჰქონია ხელისუფლებას, ხელები მან პირველივე დღეს ჩამოუშვა და ეს არჩევნებში გამარჯვებისთანავე, 2012 წლის ოქტომბრიდანვე გამოჩნდა.** სამართლის აღდგენა და „ნაცრეჟიმის" გასამართლება „ქართულ ოცნებას", მის მამოძრავებელ ბირთვს თავიდანვე არ ჰქონდა დაგეგმილი, თორემ საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ისეთი მხარდაჭერა ჰქონდა, რომ ნებისმიერ წინააღმდეგობას დაძლევდა. დღევანდელი გადასახედიდან, 28 თვის თავზე, „ქართული ოცნების" მიერ „ნაცების" მიმართ გატარებული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი გასაშიფრი და გასაანალიზებელი გახდა, რადგანაც, ფაქტობრივად, ყველაფერი გაცხადდა – „ოცნებამ" კი მალა, მაგრამ „ჭირმა თავი არ დამალა"!

ქრონოლოგიურად მივყვეთ მთავარ მოვლენებს:

***„ნაცებთან" შეთანხმება საპარლამენტო არჩევნების პირველ დღესვე – ბევრი გაყალბებული საარჩევნო უბნის გასაჩივრების გადაფიქრება („ნაცების" სასარგებლოდ) და პარლამენტში დეპუტატთა ადგილების ერთმანეთში მოლაპარაკებით (!) განაწილება პროპორციით 60/40-ზე (სინამდვილეში არა 40%, არამედ 43.33 % „გაუპრავა" „ქართულმა ოცნებამ" „ნაცმოძრაობას", რითაც „ნაცებს", დამატებით, კიდევ ხუთი დეპუტატის გაყვანის საშუალება მისცა);**

*მიუხედავად ხელმოწერებით დამოწმებული მილიონზე მეტი ამომრჩევლის მოთხოვნისა, ხელისუფლებამ არც სააკაშვილის მიერ საკუთარი პრეზიდენტობის ვადის 10 თვით თვითნებურად გაგრძელება გააპროტესტა და არც მისი იმპიჩმენტის საკითხი დააყენა;

***პარლამენტის პირველივე სხდომამაც დაადასტურა „ნაც-ქოცებს" შორის დაწყებული კოჰაბიტაცია, როცა „ქართული ოცნება" აფრასიძეების ოჯახის ამომწყვეტი (სააკაშვილის ბრძანებით) გია ბარამიძის ვიცესპიკერად არჩევას დათანხმდა და უფრო მეტი ხმითაც კი გაიყვანა იგი, ვიდრე საკუთარი კოალიციის წევრი უსუფაშვილი – სპიკერად;**

*გახმაურებულ საქმეთა შემსწავლელი, ანუ „ნაცების" მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა გამომძიებელი კომისია (თინათინ ხიდაშელის ხელმძღვანელობით) თითიდან გამოწოვილი მიზეზებით აღარ შეიქმნა. ანდა როგორ უნდა შექმნილიყო მსგავსი კომისია, როცა ამ ქალბატონის მეუღლემ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, პარალელურ რეჟიმში, სრულიად საპირისპირო(!) შინაარსის პროექტის განხორციელება — „ნაცების" ამნისტირება(!) განიზრახა. თითქოს „ნაცმოძრაობის" გადარჩენა, მისთვის მაშველი რგოლის გადაგდება და „ნაცებთან" ჩახუტება-კოჰაბიტაციაც ამომრჩევლის მოთხოვნა იყო! ამაზე დიდი ცინიზმი და ხალხის მასხრად აგდება წარმოუდგენელია;

***სხვადასხვა კომისიას უნდა შეესწავლა „ნაცების" მიერ დადგმული განმუხურის ინციდენტი, გახმაურებული მუხროვანის „ამბოხი", ლაფანყურის ოპერაცია, 7 ნოემბრის, 26 მაისის, 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგედიები, კოდორის ხეობის უბრძოლველად მიტოვება და კიდევ ბევრი სხვა გახმაურებული დანაშაული, მაგრამ არც ერთი იქნა ბოლომდე მიყვანილი და არც იქნება, რადგან ხელისუფლება არც ცდილობს. რომ ცდილობდეს და ვერ ახერხებდეს, ვიტყოდით, რომ უუნაროა, მაგრამ, როცა შეგნებულად აფერხებს, უუნარობა არაფერ შუაშია;**

*დამნაშავე „ნაცების" ქონების კონფისკაციის გზით დაზარალებული ხალხისთვის ზარალის ანაზღაურებას „ქოცების" ნაწილმა ამჯობინა „ნაცების" მიერ მიტაცებული (ან ამ გზით ნაშოვნი ფულით წამოწყებული) ბიზნესების წილში ჩაჯდომა (აბა, სხვანაირად, პარლამენტარის ხელფასით მილიონებს როგორ იშოვიდნენ — ზოგიერთმა დეპუტატმა მთავარ მიზნად ხომ მილიონის შოვნა დაისახა და არა სამართლიანობის დამყარება), ქონებაწართმეულებს, 22 ათას კაცს კი, გამოუცხადეს (ზარალის დაუთვლელად): თქვენს კომპენსაციას შვიდი მილიარდი სჭირდება და ამის გასტუმრების თავი სახელმწიფოს არ აქვსო. ახლახან კი ისევ დააიმედეს: ბიუჯეტიდან (ანუ ხალხის ჯიბიდან) გადაგიხდით ცოტასო! უუნარო ჰქვია ასეთ ხელისუფლებას?! თუ სხვა, უფრო ტევადი სახელი მოუხდება?!



**თუ «ქართული ოცნება» იძულებული შეიქნა, დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, თუკი მან პირველი დღეებიდანვე არ დაიწყო საკადრო წმენდა სასამართლო სისტემაში, პროკურატურაში, საერთოდ, ძალოვან სტრუქტურებში და, ამის ნაცვლად, კოსმეტიკური გადაადგილებებით, გათავისუფლებებით, თუნდაც ერთეული დაჭერებით მოინდომა ხალხის გულისწყრომის ჩაცხრობა, და ისევ გავიგონეთ — «ვაცალოთ», «100 დღე ვაცალოთ», «ერთი წელი ვაცალოთ», უკვე დღის წესრიგში დადგება არა ახალი რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა, არამედ საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობა, რომლის უფლებაც მოტყუებულ ხალხს კონსტიტუციით აქვს!**

კიდევ უამრავი მსგავსი „უუნარობის" ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ რაოდენობრივი ზრდა ხელისუფლების იმიჯს უკვე თვისობრივად აღარ შეცვლის და მათ, რა თქმა უნდა, ვერც საგაზეთო წერილი დაიტევს.

სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების სპექტრში ძირეული ცვლილებების შეტანა ძნელი წარმოსადგენია. **თუ გავითვალისწინებთ უვარგის მოქმედ საარჩევნო კოდექსს (რომელიც, როგორც გამოჩნდა, „ქართულ ოცნებასაც" აძლევს ხელს), დაპყრობილ ტელესივრცესა და ადმინისტრაციულ რესურსებს (ფინანსებთან ერთად), რომლებიც საკმარისზე მეტი აქვთ „ნაცებს", რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს", რომლებიც ერთ იდეოლოგიას დამორჩილებულ პოლიტიკურ ძალად შეიძლება განვიხილოთ, პატრიოტულ და ეროვნულ ძალებს გაუჭირდებათ მათთან გამკლავება.** საქმეს არ უშველის არც ივანიშვილის დაბრუნება (რისი იმედიც ბევრს აქვს), რადგანაც იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუკი ამას სახელმწიფო დეპარტამენტი „სთხოვს" ელჩის პირით. და, **თუ ივანიშვილი დაბრუნდა, შედეგი, დიდი ალბათობით, ისეთივე იქნება, როგორიც 2012-ში, ანუ მას კვლავ რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების" მსგავსი ხალხის „გაქაჩვა" მოუწევს — ამერიკის მიერ შემოთავაზებული პარლამენტარ-მინისტრების კანდიდატურების წინააღმდეგ ივანიშვილი (და, დიდი ალბათობით, არც სხვა) წამსვლელი არ არის. იმ ზღაპრებს, რომ ივანიშვილმა 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე (პოლიტიკაში ჩართვის დროიდან არჩევნებში გამარჯვებამდე) თითქოს საფრთხეში ჩააგდო საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლე, უკვე ცოტა ვინმე თუ იჯერებს.** არ იჯერებს იმიტომ, რომ, **პოლიტიკაში ჩართვა მხოლოდ ივანიშვილის გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, იგი თავისი ნებით უსუფაშვილსა და ალასანიას არ დაიყენებდა გვერდით, არც სახელმწიფოს მართვის სადავეებს გაუშვებდა ხელიდან, ვიდრე ფეხზე არ წამოაყენებდა ქვეყანას, და არც „ნაციონალების", რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების" ტრიუმვირატის შექმნას შეუწყობდა ხელს! მას საფრთხე იმიტომ არ ემუქრებოდა, რომ ყველაფერი ოკეანის გაღმა იყო შეთანხმებული და სააკაშვილი ბუზის აფრენასაც ვერ გაუბედავდა პირადად მას და მის ოჯახს. ეს რომ არა, ივანიშვილის დაცვა შეაჩერებდა ყველაფრის მკადრებელი „ნაცების" ლიდერს?!** საფრთხეში ახლა ჩაიგდებს ივანიშვილი თავს, თუკი მას „მეგობრულად" ურჩევენ დაბრუნებას და იგი გაჯიუტდება ან მიღებულ დავალებას არ შეასრულებს პირნათლად! ჯერჯერობით კი ამერიკა მოვლენების განვითარებას ელოდება — ჩვენთანაც და უკრაინაშიც!

მიუხედავად ჩვენი გაურკვეველი მომავლისა, ერთი რამის თქმა შეუცდომლად შეიძლება: იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება" იძულებული შეიქნა, დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები (რისი ალბათობაც, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია), ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, თუკი მან პირველი დღეებიდანვე არ დაიწყო საკადრო წმენდა სასამართლო სისტემაში, პროკურატურაში, საერთოდ, ძალოვან სტრუქტურებში და, ამის ნაცვლად, კოსმეტიკური გადაადგილებებით, გათავისუფლებებით, თუნდაც ერთეული დაჭერებით მოინდომა ხალხის გულისწყრომის ჩაცხრობა და ისევ გავიგონეთ: „ვაცალოთ", „100 დღე ვაცალოთ", „ერთი წელი ვაცალოთ", უკვე დღის წესრიგში დადგება არა ახალი რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა, არამედ — საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობა, რომლის უფლებაც მოტყუებულ ხალხს კონსტიტუციით აქვს!

**იაკობ ლეჟავა**



## ფრანსუა ოლანდი: თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ კომპრომისს, კარგად ვიცით, რა სცენარიც გველოდება — ეს არის ომი



**საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის თქმით, მოსკოვში ვლადიმირ პუტინთან გამართული მოლაპარაკება უკრაინაში კონფლიქტის მოგვარების ბოლო შანსია.**

„თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერც კომპრომისს და ვერც სამშვიდობო შეთანხმებას, კარგად ვიცით, შემდეგ რა სცენარიც გველოდება. ამას აქვს თავისი სახელი — ეს არის ომი", — განაცხადა ოლანდმა და აღნიშნა, რომ ის გერმანიის კანცლერთან ერთად სწორედ ომის თავიდან ასაცილებლად შეეცადა უკრაინის კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარებას.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


**მე-20 საუკუნეში ადამიანებზე ექსპერიმენტების ფლაგმანი იყო ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროგრამა სახელწოდებით „ულტრა“ (ზოგჯერ მას „MC-ულტრა“-საც უწოდებდნენ), რომელიც ბოლომდე არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამაში გვარწმუნებდნენ.**

# ფსიქიატრია, როგორც ცსს-ს ფლაგმანი



**ტვინის გამორეცხვა ადამიანებისათვის, ექსპერიმენტები აზროვნებასა და ქცევაზე ამერიკაში კვლავაც მასშტაბურად გრძელდება.
ამ პროცესს, სამწუხაროდ, საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს როგორც სახელმწიფო მასმედია, ასევე მის უკან მდგარი მთელი „პოპკულტურაც“, იშვიათად და გაცილებით ხმადაბლა ისმის ცნობები იმის თაობაზე, რომ ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები რეალობაა.**

**მე-20 საუკუნეში ადამიანებზე ექსპერიმენტების ფლაგმანი იყო ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროგრამა სახელწოდებით „ულტრა“ (ზოგჯერ მას „MC-ულტრა“-საც უწოდებდნენ), რომელიც ბოლომდე არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამაში გვარწმუნებდნენ.**

„ულტრას“ მეორე სახელწოდებას პირველი ორი ასო „MC“ იმის გამო დაემატა, რომ ინგლისურად „ცნობიერების კონტროლი“ ჟღერს, როგორც „Mind Control“ სწორედ ამ სახელწოდების აბრევიატურაა სახელწოდების დასაწყისში ჩამატებული. „MC-ულტრა“ არის მხოლოდ ერთ-ერთი მთელი რიგი პროგრამებიდან და პროექტებიდან, რომლებიც ადამიანებზე ექსპერიმენტებს ატარებენ ხშირად ამ ადამიანების ნებართვის და საერთოდაც საქმის კურსში ჩაყენების გარეშე. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული პროგრამა სხვებზე მეტადაა ცნობილი თავისი კვლევებით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გავლენის მოხდენა ადამიანის ქცევაზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 70-იანი წლების შუა პერიოდში პროგრამის შესახებ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა.

ამის შემდეგ ეს „ბინძური პრაქტიკა“ საბოლოოდ დაასრულა პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა და მისი შემდგომი არსებობა შეუძლებელი გახდა 1977 წელს ინფორმაციის თავისუფალი წვდომის შესახებ კანონის მიღების შემდეგ. უფრო სწორად, ასეთი იყო ოფიციალური ვერსია. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად საპირისპიროს ირწმუნებიან და ცხადია, მათ უმალ აწებებენ „კონსპირაციული თეორეტიკოსების“ იარლიყს.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში, **2001 წელს, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საიდუმლოების გრიფი ახსნა პროგრამა „MC-ულტრა“-ს, რომელშიც ოფიციალურად მონაწილეობა მიუღია 44 ამერიკულ უნივერსიტეტს, 15 სამეცნიერო ინსტიტუტსა და ფარმაცევტულ კომპანიას, 12 საავადმყოფოსა და 3 ციხეს.** ამ მონაცემებს საიდუმლოების გრიფი მოეხსნა იმავე წელს, რომელ წელსაც რეალიზდა „პროექტი 11 სექტემბერი“. ეს შემთხვევითობაა თუ მანიპულაციის უფრო დახვეწილ ფორმებზე გადასვლა? ნებისმიერ შემთხვევაში სიმართლე ისაა, რომ უკვე აღარ არსებობდა ის, რასაც საიდუმლოების გრიფს ახსნიდნენ. ათიათასობით დოკუმენტი, რომლებიც „MC-ულტრა“-ს შეეხებოდა და რომლებიც 70-იანი წლებიდან ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდა, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების განადგურების განკარგულება კი 1973 წელს ცსს-ს მაშინდელმა დირექტორმა რიჩარდ ჰელმსმა გასცა.

ასე რომ, სინამდვილეში პროექტ „MC-ულტრა“-ს შესახებ არც არაფერი ვიცით, მაგრამ ამ „არაფრის“ კვალიც ძალზე მნიშვნელოვანია. ის ხომ ბევრს მიანიშნებს იმაზე, თუ რა მეთოდებით მუშაობდა ცსს, და არა მხოლოდ ის, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აშშ „დემოკრატიის ნიმუშად“ ითვლებოდა. და ის, რომ მთელი ეს ორგანიზაცია მოულოდნელად აბსოლუტურად „უცოდველად“ და გამჭვირვალედ იქცა, ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი ჯაშუშობის სკანდალების ფონზე.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ზემოხსენებულის მსგავსი ექსპერიმენტები, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და ეს მხოლოდ ფსიქიატრიის უკიდურესი ფორმაა, სამწუხაროდ, მწარედ ცდება.

**2001 წელს, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საიდუმლოების გრიფი ახსნა პროგრამა „MC-ულტრა“-ს, რომელშიც ოფიციალურად მონაწილეობა მიუღია 44 ამერიკულ უნივერსიტეტს, 15 სამეცნიერო ინსტიტუტსა და ფარმაცევტულ კომპანიას, 12 საავადმყოფოსა და 3 ციხეს**



**ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის — ჯონ რაპოპორტის ტექსტში, გარდა ზემოთქმულისა, ყურადღებას იქცევს პროექტ „MC-ულტრა“-ს ერთი მნიშვნელოვანი მხარე — ადამიანთა ცნობიერებაზე ჩატარებული ექსპერიმენტების კავშირი ფსიქიატრიასა და შოუბიზნესის სამყაროსთან.** ბოროტი ხმები ირწმუნებიან, რომ ამ კავშირების გაგრძელებები და განვითარებები ჩვენს დრომდე მოდის. და, თუ კარგად განვიხილავთ პოპულარული მუსიკის ისეთ „ნიმუშებს“, როგორებიცაა, მაგალითად, ლედი გაგა და მაილი საირუსი, ამ ყველაფრის დაჯერება არც ისე რთული იქნება...

ცნობიერების კონტროლის ცსს-ს პროგრამა ოფიციალური მედიცინის ფარგლებში მუშაობს. მის ნაწილს წარმოადგენენ ექიმები, ფსიქიატრები და მეცნიერები. საუბარი არაა სამეცნიერო ფანტასტიკაზე ან იმ შეშლილების რომელიღაც პატარა ჯგუფზე, რომელთაც თავში მოუვიდათ აბსურდული აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ შეცვალონ და აკონტროლონ ადამიანის ქცევა.

ინსტიტუტები და მეცნიერები, რომლებიც ცსს-თან თანამშრომლობდნენ (და, დიდი ალბათობით, ამ დრომდეც თანამშრომლობენ) ზემოხსენებულ პროგრამაში, შინაგანად გაერთიანებულნი არიან სამმართველოსთან და მნიშვნელობა არ აქვს, იციან თუ არა თვითონ, რომ დაზვერვაზე მუშაობენ. „MC-ულტრა“ მათთვის არც არის და არც არასდროს ყოფილა რაღაც უცხო.

სინამდვილეში ფსიქიატრიაში არის სამეცნიერო მიმართულება, რომელიც ადამიანის ცნობიერების კონტროლითაა დაკავებული. სხვაგვარად რა აზრი შეიძლება ჰქონდეს შემთხვევით შერჩეული ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტიკას და შემდგომ ტოქსიკური წამლების გამოყენებას, რათა შეიცვალოს ტვინის რეაგირება ამა თუ იმ გამღიზიანებელზე, სტიმულირდეს ნეიროტრანსმიტერები და ზოგიერთი ჰორმონის გამომუშავება? და რაკი საუბარი ამ თემას შეეხო, რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ტვინების პროპაგანდისტულ გამორეცხვას, რამაც ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლის მანძილზე ერთი ფსიქიური დაავადება მაინც აქვს გადატანილი?

ბიოლოგიური, უფრო სწორად კი, ქიმიური ფსიქიატრია თავისი ამჟამინდელი ფორმით პროგრამა „MC-ულტრა“-ს ერთ-ერთი ვარიანტია, ყველას დასანახად მუშაობს და მას მხარს უჭერენ, როგორც ნაციონალური ხელისუფლებები, ასევე სასამართლო სისტემები, ციხეები, მასმედიის საშუალებები და აკადემიური საზოგადოებები, ამიტომ საინტერესოა ისტორიის იმ მონაკვეთის გახსენება, როდესაც ავბედითად ცნობილი ცსს-ს პროგრამა „MC-ულტრა“ საიდუმლოდ მუშაობდა.

გასული საუკუნის 40-იანი და 50-იანი წლები, ზოგიერთების აზრით, ერთ-ერთი მუსიკალური მიმართულებისთვის — ჯაზისთვის — ყველაზე ნოვატორული პერიოდი იყო. იმ წლებში და მოგვიანებითაც ყველასთვის ცნობილი ფაქტი იყო ის, რომ მუსიკოსებს, რომლებსაც იჭერდნენ ნარკოტიკების შენახვისა და გამოყენებისთვის, ნებაყოფლობით ან იძულებით ოპერატიულად გზავნიდნენ კენკუტის შტატში, ლექსინგტონში. „ლექსი“ ნარკომანების პირველი სტაციონარი იყო, უფრო სწორად, ეს იყო სახალხო სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც ამერიკელები ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას მკურნალობდნენ.

იმისათვის, რომ პაციენტები დათანხმებოდნენ ექსპერიმენტებზე, აისბელი მათ „ჯილდოდ“ ნებისმიერ ნარკოტიკს, უფრო ხშირად ჰეროინს, სთავაზობდა.

**იმ ასობით მუსიკოსს შორის, რომლებმაც, სხვადასხვა მონაცემით, მკურნალობა გაიარა ზემოხსენებულ კლინიკაში, იყვნენ რედ როდნი, სონი როლინზი, ჩეტ ბეიკერი, სონი სტიტი, ჰოვარდ მაკგი, ელვის ჯონსი, ზუტ საიმსი, ლი მორგანი, ტედ დემერონი, სტენ ლევი და ჯეკი მაკლინი. ამბობენ, რომ „ლექსში“ გარკვეული პერიოდი გაატარეს სახელგანთქმულმა რეი ჩარლზმაც, მწერალმა უილიამ ბეროუზმაც, პიტერ ლორმაც და სემი დევის-უმცროსმაც.**

ეს ადამიანები ვითომდა მკურნალობდნენ. უფრო სწორად, საშუალება ჰქონდათ, ოდნავ გაეწმინდათ ორგანიზმი ნარკოტიკებისგან, შეემცირებინათ მაძთი მიღების ტემპი. მაგრამ ეს ერთადერთი „მომსახურება“ როდი იყო, რომელსაც „ლექსში“ სთავაზობდნენ პაციენტებს. ცსს ამ სტაციონარს პაციენტებზე ექსპერიმენტებისთვის იყენებდა, როგორც თავისი პროგრამა „MC-ულტრა“-ს ერთ-ერთ საცდელ ბაზას. ▶

## საუდის არაბეთი 900-კილომეტრიან კედელს აშენებს

**ირანსა და საუდის არაბეთს შორის საზღვარი არაბი სამხედროების მიერ გაკონტროლდება. საზღვარზე აშენებული 900-კილომეტრიანი კედელი მაღალტექნოლოგიური სათვალთვალო სისტემით იქნება აღჭურვილი.** პროექტის რეალიზაცია დაწყებულია და შესაძლებელია, წელსვე დასრულდეს. იქმნება სპეციალური ქვიშის ბარიერები, რომლებიც გაართულებს ადამიანებისა და ტექნიკის მიმოსვლას. ამას მოჰყვება ფოლადისგან დამზადებული ღობე და დაბრკოლება ეკლიანი მავთულების რამდენიმე რიგით. საზღვრის შემოგარენში 78 სათვალთვალო კოშკი აშენდება, რომლებიც თანამედროვე რადარის სისტემით, კერძოდ SPEXER 200-ით, აღიჭურვება. მოწყობილობებს შეეძლება, 18-დან 36 კილომეტრის დაშორებით ნებისმიერი ზომის მოძრავი ობიექტები აღმოაჩინონ. აგრეთვე, კედელი აღhჭურვილი იქნება მიწისქვეშა სენსორებითა და ღამის ხედვის კამერებით. საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, ადგილზე გაჩნდება სწრაფი რეაგირების ჯგუფი. კედელს ერთდროულად 3000 ჯარისკაცი დაიცავს ჯავშანტრანსპორტებით. მუჰამედ ალ-ჰამდის სამეფო დაცვის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, პროექტი საუდის არაბეთისათვის ირანელი მებრძოლების თავდასხმებისგან დამცავი ფაქტორი და უსაფრთხოების გარანტი გახდება.



**ელექტროშოკი და ლობოტომია სინამდვილეში არის წამების ტექნიკა, რომელიც, სხვათა შორის, ანადგურებს თავის ტვინის ნაწილს. ეგრეთ წოდებული SSRI-ანტიდეპრესანტები, ანუ დღეს ყველაზე პოპულარული პრეპარატები, ხელს უწყობს ძალადობრივ ქმედებას და, შესაძლოა, მკვლელობაც კი ჩაადენინონ პაციენტს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექიმი, რომელიც ცნობიერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში მუშაობდა, იყო ვინმე ჰარის აისბელი. ბედის ირონიით (ან უბრალო ლოგიკით), ეს სწორედ ის ექიმი გახლდათ, რომელიც ამავე დროს იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ამერიკული კომიტეტის — FDA-ს ანტიდეპრესიული და მასტიმულირებელი საშუალებების ბოროტად გამოყენების საკითხთა საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ აისბელმა დაიწყო კლინიკის პაციენტებისთვის LSD-ს დარიგება.**

LSD-ს გამომგონებელმა დოქტორმა ალბერტ ჰოფმანმა შვეიცარიის სანდოცის ლაბორატორიაში განახორციელა პსილოციბინის სინთეზი. ეს არის ნარკოტიკი, რომელიც მზადდება პსილოციბის „ჯადოსნური სოკოებისგან“. ცსს-მა ხელში ჩაიგდო მცირე რაოდენობით ეს ახალი სინთეტიკური ნარკოტიკი და უმალ აისბელს გადასცა, რათა ამ უკანასკნელს „ლექსას“ პაციენტებზე გამოეცადა. პროგრამა „MC-ულტრა“-ს მიზანი ხომ ნარკოტიკული ნივთიერებების საშუალებით ადამიანის ფიქრებსა და ქცევებზე კონტროლის დამყარება იყო.

აისბელი „ლექსაში“ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან 1963 წლამდე მუშაობდა. არსებობს ჩანაწერები, რომ ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს იგი 7 შავკანიან პაციენტს 77 დღის განმავლობაში აძლევდა LSD-ს. ამასთან, დოზები ოთხჯერ აჭარბებდა „ნორმალურს“. ეს წარმოუდგენელი ქიმიური ჩაქუჩი იყო თავის ტვინისთვის. ჩანაწერების მიხედვით, პაციენტები ვითომდა ცოცხლები და უვნებლები გადარჩნენ. ამის შემდეგ აისბელმა მხოლოდ მოკლედ აღნიშნა: „პაციენტების ამ ტიპისაგან ამგვარ რეაქციას ველოდიო“.

იმისათვის, რომ პაციენტებს ექსპერიმენტებში მონაწილეობაზე თანხმობა განეცხადებინათ, წოგორც წესი, აისბელი ჯილდოს სახით მათ სასურველი ნარკოტიკის არჩევის უფლებას აძლევდა. ყველაზე ხშირად ამგვარი ჯილდო-ნარკოტიკი ჰეროინი იყო. ასე რომ, დაწესებულებაში, რომელშიც პაციენტები ნარკოტიკებს უნდა გადაჩვეოდნენ, მათ ჯერ „MC-ულტრა“-ს ექსპერიმენტებისათვის იყენებდნენ და კიდევ უფრო უარეს ნარკოდამოკიდებულს ხდიდნენ.

„ლექსში“ მთელი მისი კარიერის მანძილზე ცსს-მ აისბელს 800-ზე მეტი ნარკოტიკული საშუალება გადასცა. კლინიკასა და ცსს-ს შორის შუამავლების ფუნქციას ორი ორგანიზაცია ასრულებდა — ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები და ამერიკის შეერთებული შტატების სულიერი ჯანმრთელობის ინსტიტუტი. ეს თავისთავად არის იმის დადასტურება, რომ პროგრამა „MC-ულტრა“-ს ცსს-ზე ბევრად უფრო შორს ჰქონდა ფესვები გადგმული.

კიდევ ერთი ექსპერიმენტი, რომელიც „ლექსში“ ტარდებოდა, შემდეგი სახის იყო: მაგიდებთან მიბმულ ცხრა მამაკაცს გაუკეთეს პსილოციბინის ინიექცია. ამის შემდეგ მათ თვალებში მკვეთრი სინათლე მიაშუქეს, რაც ცნობიერების კონტროლის ერთ-ერთი ტიპური საშუალებაა.

სულ რამდენი ექსპერიმენტი ჩაატარა აისბელმა პაციენტებზე, ზემოხსენებულ კლინიკაში მუშაობისას ზუსტად ცნობილი არ არის. ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი იმის თაობაზეც, ნარკოტიკების გარდა, ცნობიერების კონტროლის სხვა რა პროგრამებს ცდიდა ის თავისი კლინიკის „საცდელ ბოცვრებზე“. ერთადერთი, ცნობილია ის, რომ „ლექსი“ ჩვეულებრივი „გაჩერება“ იყო ნიუიორკელი ჯაზ-მუსიკოსებისთვის, რომელთაც ცოტა გამოფხიზლება ესაჭიროებოდათ. მათგან რამდენი გახდა „MC-ულტრა“-ს ნებაყოფლობითი თანამშრომელი?

მარტინ ლი LSD-სა და ცსს-ს როლის შესახებ 60-იანი წლების ჰიპების მოძრაობაზე წერს თავის წიგნში: „თუ ჰეროინის ყიდვა ქუჩაში არ შეიძლებოდა, ყოველთვის შეიძლებოდა ლექსინგტონში ჰოსპიტალიზება, სადაც ჰეროინითა და მორფით აგინაზღაურებდნენ, თუ აისბელს მის საეჭვო ექსპერიმენტებზე დათანხმდებოდით. ამიტომაც, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ლექსინგტონის პაციენტთა შორის 90%-ს მუდმივად უკან დაბრუნებული „რეციდივისტები“ შეადგენდნენ“.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ მსგავსი ექსპერიმენტები ფსიქიატრიის უკიდურესი ფორმაა და დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, მწარედ ცდება. **ტორაზინი**, პირველი ეგრეთ წოდებული ანტიფსიქოტური პრეპარატი, შემუშავებულ იქნა იმისათვის, რომ სრულყოფილად დათრგუნულიყო ადამიანის არსი. ელექტროშოკი და ლობოტომია სინამდვილეში არის წამების ტექნიკა, რომელიც, სხვათა შორის, ანადგურებს თავის ტვინის ნაწილს. ეგრეთ წოდებული SSRI-ანტიდეპრესანტები, ანუ დღეს ყველაზე პოპულარული პრეპარატები, ხელს უწყობს ძალადობრივ ქმედებას და, შესაძლოა, მკვლელობაც კი ჩაადენინონ პაციენტს. **რიტალინის** დოკუმენტურად დაფიქსირებულ უამრავ ეფექტს შორის კი საპატიო ადგილი უკავია ჰალუცინაციებსა და პარანოიას.

ასე რომ, ფსიქიატრია კვლავაც რჩება „MC-ულტრა“-ს ფლაგმანად, პროგრამისა, რომელიც არც არასდროს დასრულებულა. სინამდვილეში ის გრძელდება ჩვენს დროშიც, უბრალოდ, ნაკლებადაა ცნობილი მისი ექსპერიმენტების, ამ ექსპერიმენტების შედეგების და მათი დახმარებით მართვადი ადამიანების შესახებ.

**PROTIPROUD**

# ბრიტანეთის არმია Facebook-ის მეომართა რაზმს ქმნის

**ბრიტანული არმია Facebook-ის მეომართა სპეციალურ ქვედანაყოფს ქმნის. მის წევრებს ექნებათ ფსიქოლოგიური ოპერაციების ჩატარების უნარ-ჩვევები და ეცოდინებათ საინფორმაციო საუკუნისთვის დამახასიათებელი არატრადიციული საბრძოლო მოქმედებების წარმოება სოციალური მედიასაშუალებებით. 77-ე ბრიგადა ბაზირებული იქნება ჰერმიტიჯში, ნიურნბერგთან ახლოს, ბერკშირში და მის შემადგენლობაში გაერთიანდება დაახლოებით 1500 ადამიანი, რომლებსაც იქ გადაიყვანენ ქვეყნის სხვადასხვა ადგილას განლაგებული სამხედრო ნაწილებიდან. ფორმალურად ბრიგადა აპრილში ჩამოყალიბდება.**





ბრიგადა პასუხისმგებელი იქნება იმაზე, რასაც არალეტალური საბრძოლო ქმედებები ჰქვია. როგორც ისრაელის, ასევე ამერიკის არმია უკვე აქტიურადაა დაკავებული ფსიქოლოგიური ოპერაციებით. 24-საათიანი ინფორმაციის, სმარტფონებისა და სოციალური მედიის, მათ შორის „ფეისბუქისა“ და „ტვიტერის“ საფუძველზე, ქვეგანყოფილება შეეცდება ნარატივის გაკონტროლებას.

77-ე ბრიგადის შემადგენლობაში შევლენ ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები და რეზერვისტები, მისი ფორმირება კი გაზაფხულიდან დაიწყება. კადრების შერჩევისას განსაკუთრებული უპირატესობა მიენიჭებათ იმ ჯარისკაცებს, რომელთაც ჟურნალისტური მომზადება აქვთ გავლილი და იცნობენ სოციალურ მედიას.

ეს ნაბიჯი გარკვეულწილად ავღანეთში ამბოხებულების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის შედეგია. ის შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, როგორც პასუხი ბოლო ერთი წლის მოვლენებზე, მაგალითად, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ერაყისა და სირიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებაზე. ისლამურმა სახელმწიფომ აჩვენა, რომ შეუძლია სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენება იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოდან მიიზიდოს ბოევიკები საკუთარ რიგებში საბრძოლველად.

ისრაელის თავდაცვის არმია იქცა პიონერად სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სოციალური მედიის გამოყენების თვალსაზრისით და მისი სპეციალური ქვედანაყოფები ამგვარი საქმით დაკავებულნი არიან ღაზას სექტორში 2008-2009 წლების ომის შემდეგ. ისრაელის თავდაცვის არმია 30 პლატფორმაზე მოქმედებს, მათ შორის არის Twitter, Facebook, YouTube, Instagram. მისი მოღვაწეობა აღნიშნული მიმართულებით ექვს ენაზეა გაჩაღებული. „ეს საშუალებას გვაძლევს, ვიმუშაოთ იმ აუდიტორიაზე, რომელიც უამისოდ ჩვენთვის მიუწვდომელი იქნებოდა“, — აღნიშნავს ისრაელის არმიის ოფიციალური წარმომადგენელი.

ისრაელის თავდაცვის არმიას უკვე მიმართეს დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომელთაც ისრაელის სპეციალისტებისგან დაგროვილი გამოცდილების გაზიარების სურვილი გამოხატეს.

ახალ ბრიტანულ ბრიგადას 77-ე უწოდეს ჯგუფ „ჩინდიტის“ წევრების საპატივცემულოდ. ეს იყო ბრიტანული პარტიზანული ფორმირება, რომელიც გენერალ-მაიორი ორდე უინგეიტის ხელმძღვანელობით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბირმაში იაპონელებთან იბრძოდა. უინგეიტმა არაორდინალური და სადავო ტაქტიკა აირჩია, რომელმაც მისი ქვედანაყოფის რიცხოვნებასთან შეუსაბამო წარმატება მოუტანა. შედეგად მან შეძლო, თავისი ჯარისკაცების ჯგუფი გაეგზავნა იაპონელების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში, რამაც იაპონიის უმაღლეს სარდლობას გეგმების შეცვლა აიძულა. ჩინდიტების საპატივცემულოდ 77-ე ბრიგადის წევრებს სახელოებზე ამოქარგული ექნებათ ბირმული მითიური არსების გამოსახულება.

**The Guardian**




**77-ე ბრიგადის შემადგენლობაში შევლენ ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები და რეზერვისტები, მისი ფორმირება კი გაზაფხულიდან დაიწყება**

მოკლედ

## ბრაზილიაში კარნავალი არ ჩატარდება

**ბრაზილიის ქალაქების უმეტესობა წელს კარნავალის გარეშე დარჩება. ამის მიზეზი ძლიერი გვალვა და მტკნარი წყლის ნაკლებობაა.** ქალაქ არარასში, სამბის შემსწავლელ სკოლაში, წლის მნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადება უკვე შეწყდა. ქალაქის კულტურის დეპარტამენტის უფროსი მარსელო დანიელი აცხადებს: „ჩვენ გავაუქმეთ კარნავალი იმიტომ, რომ ტურისტები არ ჩამოვიდნენ ქალაქში. ჩვენ არ გვაქვს იმის პირობები, რომ ასეთი მასშტაბური სახის ღონისძიება ჩავატაროთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი წყლის ნაკლებობაა“. უწყლობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ბრაზილიის მსხვილი ქალაქების ცხოვრებაზე. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ წყურვილის მოკვლა და ბანაობა. ქალაქში ელექტროენერგიის 80% ჰიდროსადგურებზეაამოკიდებული, იმ მდინარეებზე, რომლებიც წელს საგრძნობლად დაშრა. წყლის ეკონომიისთვის მიღებული მკაცრი ზომები რიო დე ჟანეიროს არ შეეხება. ქვეყანა წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე ბოლომდე უარს ვერ ამბობს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის კონგრესმა ხარჯების 1,2 ტრილიონი დოლარით შემცირება მოითხოვა. ეს ნაბიჯი, რომელიც უამრავ პროგრამაში მოითხოვს ხარჯების შეკვეცას და მათ შორის თავდაცვის სფეროში, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ შეაფასა, როგორც „ნაციონალური უსაფრთხოებისთვის ღრმად დამანგრეველი“.**

# ამერიკის სამხედრო ინოვაციების აღსასრული

**ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო უპირატესობების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. შესაძლოა, ამერიკის შეიარაღებული ძალები მსოფლიოში ჯერაც მოწინავე იყოს, რადგან ის სამხედრო კვლევებსა და სიახლეების დამუშავებაზე სხვებზე ბევრ ფულს ხარჯავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ტექნოლოგიური ლიდერობის მომავალშიც გაგრძელება სულაც არ არის გარანტირებული.**



ჩინეთის და სხვა განვითარებადი ეკონომიკების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება ახშობს აშშ-ის სამრეწველო შესაძლებლობებს და საფრთხის წინაშე აყენებს მის უნარს, განავითაროს ტექნოლოგიურად უფრო რთული თავდაცვითი პლატფორმები

2005 წლიდან აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ კვლევებისა და სიახლეების შემუშავების ხარჯები 22%-ით შეამცირა. 2013 წელს იმ გარიგების ფარგლებში, რომლის წყალობითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული სავალე მაქსიმუმთან დაკავშირებული მორიგი დებატები, **აშშ-ის კონგრესმა ხარჯების 1,2 ტრილიონი დოლარით შემცირება მოითხოვა. ეს ნაბიჯი, რომელიც უამრავ პროგრამაში მოითხოვს ხარჯების შეკვეცას და მათ შორის თავდაცვის სფეროში, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ შეაფასა, როგორც „ნაციონალური უსაფრთხოებისთვის ღრმად დამანგრეველი“.** თუ აშშ-ის თავდაცვის სისტემაში ინოვაციები შემცირებას განაგრძობს, დაზარალდება არა მხოლოდ ამერიკის თავდაცვითი პოტენციალი, არამედ მთელი ქვეყანა: ამით აშშ-მა, შესაძლოა, ავნოს კომერციულ ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობას.

საბიუჯეტო შეზღუდვები წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ წინაღობას აშშ-ის შეიარაღებული ძალების მუშაობაში საკუთარი ტექნოლოგიური უპირატესობების შენარჩუნების მიმართულებით. არმია და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტო განსაკუთრებით დაზარალდნენ, რადგან 2005 წელთან შედარებით კვლევებსა და ახალ გამოგონებებზე მათი ხარჯები თითქმის განახევრდა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის კვლევების ბიუჯეტი დაახლოებით 20%-ით შემცირდა. თვით პერსპექტიული თავდაცვითი სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების სააგენტოც კი — ორგანიზაცია, რომლის მოვალეობაა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე ადგილი შეუნარჩუნოს ამერიკულ სამხედრო ძალას — იძულებული გახდა, კვლევების ხარჯი 18%-ით შეემცირებინა. თვით სამხედრო საჰაერო ძალებიც კი, რომელთა სამეცნიერო კვლევები ტრადიციულად კონგრესისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა, იძულებული გახდნენ, ბიუჯეტი 4%-ით შეეკვეცათ.

როდესაც ფული გამოყოფილია, ფასების ზეწოლა ძალზე ხშირად იძლევა ბიძგს იმ პროექტებში ინვესტირებისთვის, რომლებიც სწრაფი შედეგისკენ არის მიმართული. ნაცვლად იმისა, რომ ინვესტიციები ჩაიდოს სტრატეგიული უპირატესობის შესანარჩუნებელ გრძელვადიან პროექტებში, ასე ხდება ხოლმე. დაუყოვნებელი პროგრესის მაჩვენებელი კვლევების გამო თვით DARPA-ც კი ზეწოლის ობიექტი გახდა.

რაც კიდევ უფრო უარესია, ამერიკელი სამხედროების ინოვაციური ძალისხმევა მთელ რიგ სტრუქტურულ პრობლემებს ეჯახე- ▶

# «ისლამური სახელმწიფოს» ქალები უჩადროდ

**„ისლამური სახელმწიფოს“ წევრები სახელგანთქმული არიან სისასტიკითა და მხეცური დამოკიდებულებით თავიანთი მსხვერპლისა თუ იმ ტყვეების მიმართ, რომელთაც ხელში ჩაიგდებენ. ისინი ქალებს, ძირითადად, მხოლოდ გასაყიდი მონებივით უყურებენ, მაგრამ, თუ დაქორწინდნენ რომელიმეზე, მაშინ მას გასართობ სათამაშოდ აღიქვამენ. მაგრამ ელისში არიან სხვა ქალებიც, რომლებიც მამაკაცების მსგავსად ეწევიან ტერორისტულ საქმიანობას და არაფრით ჩამორჩებიან ძლიერ სქესს. ზოგიერთ ამგვარ ქალზე ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ. იორდანიისა და ლიბანის ციხეებში გამოკეტილ ქალებზე ყველაზე მეტი მოთხოვნაა „ისლამური სახელმწიფოს“ და ასევე მისი ტყუპისცალი ორგანიზაცია „ჯაბჰატ ან-ნუსრას“ მხრიდან.**



ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიო მასმედია განუწყვეტლივ საუბრობს საჯა ად-დულაიმიზე, საჯიდა არ-რიშავიზე (იგი 4 თებერვალს იორდანიაში სიკვდილით დასაჯეს, მას შემდეგ, რაც ისლამურმა სახელმწიფომ ცოცხლად დაწვა იორდანელი მფრინავი **მოაზა ალ-კასაბეხი**) და ოლა ალ-უკეილიზე. შესაძლოა, არიან სხვა ტერორისტი ქალებიც, უბრალოდ, ჩვენ მათი სახელები არ ვიცით.

საჯიდა არ-რიშავს იორდანიაში სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 2005 წელს ამანის ერთ-ერთ სასტუმროში განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის გამო. ამ ტერაქტის შედეგად 60 ადამიანზე მეტი დაიღუპა. საჯიდა ოთხი თვითმკვლელი ტერორისტიდან ერთ-ერთი გახლდათ, მაგრამ მისი ასაფეთქებელი მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა. ტერაქტის შემდეგ იგი დააპატიმრეს იორდანიის ქალაქ ალ-სალტში მცხოვრები ნათესავების სახლში.

საჯა ად-დულაიმიზი ახლა ლიბანის ციხეშია. იგი დაკავებულ იქნა ლიბანის სპეცსამსახურების სპეცოპერაციისას და ბრალი წაუყენეს ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების გამო. დაკავებისას ქალს თან ჰქონდა დიდი თანხა, რომელიც ელისისა და „ჯაბჰატ ან-ნუსრის“ ბოევიკებისთვის უნდა გადაეგზავნა. ამ უკანასკნელთ ამ დრომდე ჰყავთ მძევლად აყვანილი ლიბანელი სამხედროები და უშიშროების ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც არასალაში და ბეკაას პროვინციაში მიმდინარე ბრძოლებისას ჩაიგდეს ხელთ.

რაც შეეხება ოლა ალ-უკეილის, იგი „ჯაბჰატ ან-ნუსრის“ ერთ-ერთი ლიდერის — ანას აშ-შიშანის მეუღლეა და ზემოხსენებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. საჯისა და ოლას დაპატიმრებისთვის შურისძიების მიზნით „ჯაბხატ ან-ნუსრის“ ბოევიკებმა მოკლეს ლიბანელი ჯარისკაცი ალი ალ-ბაზალი, რომელიც შარშან ზაფხულში არსალში მიმდინარე ბრძოლებისას ჩავარდა ტყვედ.

აქამდე არავის უფიქრია, რომ მივიწყებული ტყვე ქალი საჯიდა „ისლამური სახელმწიფოს“ რაიმე ღირებულებას წარმოადგენდა. უმრავლესობა, თვით დაღუპულთა ნათესავებიც კი, მას ბოევიკების მიერ მოტყუებულ მორიგ ქალად მიიჩნევდა, ქალად, რომელმაც თავის აფეთქებაც კი ვერ მოახერხა. თვით ისლამისტებსაც დიდი ხნის განმავლობაში არ უხსენებიათ მისი სახელი. თავიდან ორი იაპონელი მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ მათ თითოეულისთვის 100 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ის, რომ საჯიდა ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ელისისთვის, მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, რაც მეორე იაპონელი მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ ამ ქალის თავისუფლება ▶

ევროპა



## ბელგიურ გაზეთს ისლამისტები დაემუქრნენ

**ბელგიური გაზეთის — Het Laatste Nieuws-ის რედაქციამ ისლამისტების მუქარის წერილი მიიღო.** ამის შესახებ თავად გამოცემის ვებგვერდი იტყობინება. წერილში, რომლის ავტორიც ანონიმურია, აღნიშნულია, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობები უკვე ბელგიის ტერიტორიაზეა შეტანილი. მუქარის ავტორები ასევე ირწმუნებიან, რომ ბელგიურ გაზეთზე ისეთი თავდასხმა მზადდება, როგორიც პარიზში 7 იანვარს, სატირულ გამოცემა „შარლი ებდოზე“ განხორციელდა. ანონიმური წერილის შესახებ პოლიცია უკვე ინფორმირებულია და დაწყებულია გამოძიება.






მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფო“ მძვინვარებს, დასავლეთში ფაშიზმი ყვავის და ყოველდღიურად ახალ-ახალი რასისტული ორგანიზაციები იქმნება. ყველა ამ რეგიონში ძალადობის მომხრენი წინა ხაზზე გამოდიან, პოპულარობას იხვეჭენ, საზოგადოება კი იძულებულია, გადაწყვეტილებები მრისხანებების საფუძველზე მიიღოს.**

ბა. მცდელობების ექვსი ათწლეული, როგორმე რეფორმირებულიყო თავდაცვის შეძენის პროცესი, ჯერაც უნაყოფოდ რჩება. სამხედრო სისტემების პროექტირების, შემუშავებებისა და წარმოებების დიდი ნაწილი სამოქალაქო მრეწველობის მიერ ხორციელდება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღება სამხედროების პრეროგატივად რჩება. ამ უკანასკნელთ, უბრალოდ, არ შეუძლიათ, გამონახონ სწორი ბალანსი ხარჯების შემცირებასა და ინოვაციებს შორის.

სამხედრო სამსახურებს შორის შეჯიბრება ერთ დროს კერძო სექტორის კონკურენციის იმიტაციას ქმნიდა: ორივე მათგანი ქმნიდა ინოვაციებს, მაგრამ ცივი ომის დასრულების შემდეგ შესუსტდა ერთი ნაბიჯით წინ ყოფნის მოთხოვნილება და თავდაცვის სექტორს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრესის ძრავი გაეთიშა. გარდა ამისა, უმთავრეს სამხედრო დაქირავებულებს კვლევებზე ხარჯები თითქმის მესამედით შეუმცირდათ 1990-დან 2012 წლამდე პერიოდში. ამერიკის ტექნოლოგიური გიგანტები კი კვლევებში 4-6-ჯერ მეტ ფულს აბანდებენ.

გარდა ამისა, აშშ-ის თავდაცვის სამრეწველო ბაზა გამოფიტულია. **ჩინეთის და სხვა განვითარებადი ეკონომიკების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება ახშობს აშშ-ის სამრეწველო შესაძლებლობებს და საფრთხის წინაშე აყენებს მის უნარს, განავითაროს ტექნოლოგიურად უფრო რთული თავდაცვითი პლატფორმები.** თავდაცვის მრეწველობამ ერთ დროს შექმნა ისეთი ახალი ტექნოლოგიები, როგორებიცაა ლაზერი, ჯიპიესი, ინტერნეტი, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამერიკული ეკონომიკის მართვას. ამჟამად დარგების უმეტესობაში ამერიკა წინ სამოქალაქო ტექნოლოგიებს მიჰყავს.

შედეგი მშვენივრად ჩანს იმ უცხოური კონკურენციის ზრდაში, რომელიც შეიარაღების საერთაშორისო ბაზრებზე თვალნათლივ ჩანს. ამერიკელი მწარმოებლები სულ უფრო სუსტები არიან იმ სფეროებში, რომლებშიც ოდესღაც დომინირებდნენ, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატების, სადაზვერვო ტექნიკის, რაკეტებისა და თანამგზავრების სფეროებშიც. რაც შეეხება იარაღის ექსპორტს, ამ მიმართულებით აშშ-ს რუსეთმა 2013 წელს 2 მილიარდი დოლარით გაუსწრო.

ნოემბერში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა გამოაცხადა ახალი ინიციატივის — „XXI საუკუნეში ამერიკის სამხედრო დომინირების მხარდაჭერისა და წინსვლის“ შესახებ. ბიუჯეტების შემცირებისა და ახალ სტრატეგიულ დავალებებზე გადასვლის პერიოდში მან აქცენტი ინოვაციებზე გაამახვილა, მაგრამ ჰეიგელი ცხრა დღის შემდეგ გადადგა.

**Project Syndicate**

მოითხოვეს. საჯიდას თავისუფლება გახდა უმთავრესი პირობა იორდანელი მფრინავის გათავისუფლებისათვისაც. ამ უკანასკნელის თვითმფრინავი სირიის თავზე მაშინ ჩამოაგდეს, როდესაც იორდანიის სამხედრო საჰაერო ძალების ოპერაციას ასრულებდა. მფრინავი მოაზა **ალ-კასასაბის** სიცოცხლე საჯიდას ბედზე გახდა დამოკიდებული, ლიბანელი ჯარისკაცების სიცოცხლე კი — საჯასა და ოლას ბედზე.

ისლამისტებისთვის უკიდურესად მომგებიანია თავის საქმიანობაში ქალების გამოყენება. ქალები ნაკლებ ეჭვს ბადებენ სასაზღვრო პუნქტებსა და აეროპორტებში. დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ქალებს იმდენად მკაცრად არ ჩხრეკენ, როგორც მამაკაცებს. საჯიდამ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიტანა ასაფეთქებელი მოწყობილობა ამანში. საზღვარზე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს აუხსნა, რომ მეუღლესთან ერთად მეგობრების ქორწილში ჩამოვიდა. ამ ქალის გათავისუფლება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნად იქცა, რადგან ორგანიზაციაში არამხოლოდ საჯიდას დამსახურებები გაიხსენეს, არამედ ისიც, რომ მისი ძმა ტამირი „ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ემირი იყო, ამერიკელების წინააღმდეგ იბრძოდა და დიდი დახმარება გაუწია აბუ მასაბ აზ-ზარკავის.

რაც შეეხება საჯის, იგი აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის ყოფილი ცოლია. ამბობენ, რომ ეს ქორწინება მხოლოდ სამ თვეს გასტანა, მაგრამ მათ საერთო შვილი ჰყავთ. ელისის ლიდერთან განშორებას ხელი არ შეუშლია საჯასთვის, გაეგრძელებინა ტერორისტული მოღვაწეობა. იგი სირიასა და ერაყში ელისის ქვედანაყოფებს შორის დამაკავშირებლის როლს ასრულებდა. გარდა ამისა, იგი აკონტროლებდა დიდი რაოდენობით ფულს — ასიათასობით დოლარს. საჯა იყო ერთ-ერთი იმ პატიმართაგან, რომელთა გათავისუფლებაც მოითხოვა „ჯაბჰატ ან-ნუსრამ“ სირიის მაალულას მონასტრიდან გატაცებული მონაზვნების გათავისუფლების სანაცვლოდ.

როგორც ჩანს, „ისლამური სახელმწიფო“ ყველა ქალს არ იმეტებს წამებისა და დამცირებებისთვის, ზოგიერთი მათგანი დიდი პატივით სარგებლობს და ორგანიზაციისათვის მამაკაცებზე მნიშვნელოვანიცაა.

**Al Hayat**

# ძალადობის გლობალიზაცია



**იორდანელი მფრინავი მუაზ ალ-კასესბე „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა მხეცურად მოკლეს — ჩასვეს გალიაში და ცოცხლად დაწვეს. მათთვისაც კი, ვინც 2003 წლიდან მოყოლებული ადევნებს თვალს ერაყსა და მის გარშემო მომხდარ უამრავ მხეცურ მკვლელობას, ეს შურისძიებისა და ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი მაგალითია.**

საპასუხო ზომების სახით ამანის ხელისუფლებამ უმალ გამოასალმა სიცოცხლეს საჯიდა არ-რიშავი, რომლის გათავისუფლებასაც მოითხოვდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები. ცხადია, ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული ადამიანების სიკვდილით დასჯა თავისთავად კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ ის, რომ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ მხეცობაზე დამსახურებული პასუხი, სულ მცირე, ისეთივე დასაფიქრებელია, როგორც ტერორისტების მიერ ჩადენილი მხეცობები.

**ყურადღება მიაქციეთ მხარეებს, რომლებიც სჯიან ერთმანეთს: ერთ-ერთი მათგანი ტერორისტული ორგანიზაციაა, მეორე — სახელმწიფო!** სწორედ ამაში მდგომარეობს ანომალია... იორდანიის გამწარება და მრისხანება გასაგებია, მაგრამ ის, რომ სახელმწიფო მოქმედებას იწყებს შურისძიების მოტივით და არა კანონის კარნახით, რეგიონში კიდევ ერთ სახიფათო საფრთხეს უხსნის კარს.

ეს არის იმის შემაძრწუნებელი მაგალითი, თუ როგორ იღებს სახელმწიფო კურსს ორგანიზაციად გადაკეთებისკენ, ორგანიზაცია კი პირიქით — სახელმწიფოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის ზღვარი იშლება.

„ისლამური სახელმწიფო“ არის წარმონაქმნი, რომელმაც ერაყსა და სირიაში უჩვეულოდ მოიკრიბა ძალა, რომელიც ზრდის აქტივობას ნიგერიასა და ლიბიაში, სადაც ქმნის ფონტებს და ცდილობს, გავრცელდეს ავღანეთსა და პაკისტანშიც. ტერორისტები ცდილობენ, უზრუნველყონ „ისლამური სახელმწიფოს“ დომინირება რეგიონში.

ეს დაჯგუფება ყურადღების ცენტრში მოექცა არა მხოლოდ როგორც ძალა, არამედ როგორც კონცეფცია, როგორც ძალადობის ტალღა. ეს არის სტრუქტურა, რომელიც ხელს აწერს სისასტიკის ყველაზე საშინელ მაგალითებს ყველგან, სადაც კი თავისი ძალაუფლების დამყარებას ახერხებს. ამ კონცეფციის გავრცელება კი ნათელს ხდის, თუ რის წინაშე აღმოვჩნდებით ახლო მომავალში.

**თითქოს ვიღაც ცდილობს, ძალადობის ამ ტალღის გამოყენებას და რეგიონის რაღაცისთვის მომზადებას. კერძოდ — ქვეყნების დაქუცმაცებას, მათ ნაფლეთებად დაგლეჯას და იმ ქაოსში ჩაძირვას, რომელიც წლობით გაგრძელდება**

იორდანია კი სახელმწიფოა, თუნდაც გარნიზონული, მონარქიის მიერ მართული სახელმწიფო, სადაც ყველა გადაწყვეტილებას რეალურად დიდი ბრიტანეთი იღებს, მაგრამ მაინც სახელმწიფო...

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ განხორციელებული მკვლელობების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ, შესაძლოა, იორდანიაც სულ უფრო აგრესიული გახდეს და ზედიზედ მიიღოს სასიკვდილო განაჩენის გადაწყვეტილებები. უფრო მეტიც, მან შეიძლება შეტევის სხვა მეთოდებიც მოსინჯოს, მაგრამ ყველა ამგვარი მცდელობა იორდანიას მხოლოდ დააშორებს სახელმწიფო სტატუსისგან და აქცევს მას ორგანიზაციად, რაღაც ერთგვარ ფრონტად.

ამრიგად, რეგიონში ძალადობა სახელმწიფოების პროვოცირებას ახდენს და მათ შეცდომების დაშვებას აიძულებს. ის აშორებს სახელმწიფოებს სამართლებრივი, ლეგიტიმური პოზიციებიდან და ქაოსში აფლობს. სწორედ ამის გამოა, რომ ერაყის ოკუპაციის შემდეგ იქ კვლავ სახელმწიფოს შექმნა ასეც ვერ მოხერხდა. თუ ეგვიპტეში გადატრიალების შემდეგაც შეიარაღებული ბრძოლა დაიწყება, იქაც მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფო აპარატის მუშაობა. იგივე შეიძლება ითქვას სირიასა და ლიბიაზეც. რაც შეეხება ისრაელს, ის შექმნის დღიდანვე ორგანიზაციის მსგავსად მოქმედებს და არა სახელმწიფოსი.

**თითქოს ვიღაც ცდილობს, ძალადობის ამ ტალღის გამოყენებას და რეგიონის რაღაცისთვის მომზადებას. კერძოდ — ქვეყნების დაქუცმაცებას, მათ ნაფლეთებად დაგლეჯას და იმ ქაოსში ჩაძირვას, რომელიც წლობით გაგრძელდება.**

ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური ძალადობის ტალღა ფარავს დასავლეთსაც. **თუ აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფო“ მძვინვარებს, დასავლეთში ფაშიზმი ყვავის და ყოველდღიურად ახალ-ახალი რასისტული ორგანიზაციები იქმნება. ყველა ამ რეგიონში ძალადობის მომხრენი წინა ხაზზე გამოდიან, პოპულარობას იხვეჭენ, საზოგადოება კი იძულებულია, გადაწყვეტილებები მრისხანებების საფუძველზე მიიღოს.** სავარაუდოდ, ანალოგიური ტენდენციაა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების საერთო კურსშიც და ეს ყველაფერი დღითიდღე თვალნათელი ხდება.

იორდანიამ „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებების საპასუხოდ ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება, აშშ-მა კი 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ნახევარი მსოფლიო გახვია ცეცხლის ალში. ამ ორ მოვლენას შორის რაღაც მსგავსება ნამდვილად არის. მაშინ აშშ-ს არ უპირისპირდებოდა რეალური ძალა. იყო მხოლოდ „ალ ქაიდა“.

აშშ-ის ხელისუფლება ორგანიზაციასთან ასწორებდა ანგარიშებს. ეს, რაღაც კონკრეტულ სტრუქტურასთან შერკინება კი არა, გარკვეულ კონცეფციასთან დაპირისპირება იყო. ახლა იმავე მდგომარეობაშია იორდანია. მისი მოწინააღმდეგე არის ორგანიზაცია, რომელსაც ასევე უამრავი გაურკვეველი მხარე აქვს. ამ ორგანიზაციის წყალობით, პირველ პლანზე გამოდის კონცეფცია, რომელსაც უპირისპირდება კიდეც იორდანია.

აშშ-ის მიერ დაწყებულ ამ ომში სინამდვილეში მკაფიო მოწინააღმდეგე არ არსებობს. სახელმწიფოები პირველად უპირისპირდებიან სახალხო მასებსა და ორგანიზაციებს. ამის გამო სწორედ ახლა დგება მომენტი, როდესაც უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ახალი აღქმა. ამ ძალადობის ტალღის დაძლევა შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება სახელმწიფოსა და მასების ერთობლივი აღქმა, რომელსაც არაფერი ექნება საერთო ავტორიტარულ, ჩაკეტილ, საზოგადოებისგან იზოლირებულ და ძალაზე დაფუძნებულ სახელმწიფოსთან...

**Yeni Safak**



## იორდანიელი მფრინავი ცოცხლად დაწვეს

„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა იორდანიელი მფრინავი მუაზა ალ-კასასბეხი ცოცხლად დაწვეს. „ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, ბოევიკებმა ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა გაავრცელეს, თუმცა ვიდეომასალის ავთენტურობა, ასევე მფრინავის სიკვდილი ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის. უფრო ადრე ისლამისტების მომხრეებმა სოციალურ ქსელებში მფრინავის დაგეგმილი მკვლელობის ამსახველი ფოტომასალა გაავრცელეს. პირველი ლეიტენანტი მუაზ ალ-კასასბეხი ტყვედ გასული წლის დეკემბერში ჩავარდა, როდესაც მისმა თვითმფრინავმა „F-16“-მა სირიის ქალაქ რაკაში ავიაკატასტროფა განიცადა. ბოევიკების მტკიცებით, თვითმფრინავი რაკეტით ჩამოაგდეს.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ქნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ადრინდელ მიმზიდველობას კარგავს ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში ეროვნული ცნობიერების შემცირება გარდაუვალია, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს.**

# ქართველებო, გამოფხიზლდეთ!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, პროფესორმა იოსებ ბაჩიაშვილმა 2014 წელს გამოსცა წიგნი: „ერი და დრო“ (ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო). ვისაც აინტერესებს საქართველოს ბედ-იღბალი, მისი დღევანდელი მდგომარეობა, საით მიდის ქვეყანა და რა უნდა გაკეთდეს მისი ბედნიერი მომავლისთვის, ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს. ყველა ქართველს, განსაკუთრებით — საქართველოს მთავრობის წევრებს, ქალაქის მერებსა და რაიონის გამგებლებს ვურჩევ და ვთხოვ, აუცილებლად წაიკითხონ ზემოაღნიშნული წიგნი. ჩემი მიზანი არ არის, ამ წიგნის ღირსება შევაფასო. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ თავი ვალდებულად ჩავთვალე, გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი დღევანდელი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ბატონ იოსებ ბაჩიაშვილთან შეთანხმებით, ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი და მოსაზრება ამოღებულია მისი ნაშრომიდან. ჟურნალისტი არ ვარ, ამიტომ, თუ ჩემს წერილში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები მხატვრულად გამართული არ იქნება და თუ არ მოგეწონებათ, შემინდეთ.**



ანზორ მესხიშვილი

ქართველებს გვაქვს სიმღერა, რომელიც ასე იწყება: „ქეიფს ვიწყებ დილიდან, ვიქირავებ დილიჟანს...“. დილიდანვე ქეიფი კი არა, მუშაობა უნდა დავიწყოთ და საათიან სადღეგრძელოებს შევეშვათ. ასევე გვაქვს სიმღერა: „არასოდეს მიცხოვრია გლეხურად, კაცი მერქვა, თავზე ქუდი მეხურა“. ჩვენ გლეხს პატივს არ ვცემთ, არ ვუქმნით პირობებს, არ ვეხმარებით, რომ შექმნას მაღალხარისხიანი და დიდი რაოდენობის პროდუქტი, არ ვაფასებთ და არ ვუვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და ვანიავებთ. **ჰოლანდიელი ფერმერი 182 ადამიანს კვებავს, ხოლო ჩვენი გლეხი (ფერმერი) ძლივს არჩენს თავის ოჯახს. ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში ძროხები 6-ჯერ მეტს იწველიან, ვიდრე საქართველოში; ჰოლანდიაში სიმინდის მოსავალს 8-10 ტონას იღებენ, ჩვენთან — 3-5 ტონას, იქ ხორბლის მოსავალს 4-6 ტონას იწევენ, ჩვენთან — 1-2 ტონას. ჰოლანდია ტერიტორიით საქართველოზე პატარა ქვეყანაა, მოსახლეობით — მეტი. ზღვა ზამთარში იყინება, მაგრამ იმდენ თევზს იჭერენ, რომ ბევრ ქვეყანაში გააქვთ გასაყიდად; ეს ქვეყანა მსოფლიოში საუკეთესო გემთმშენებელია. ჩვენ უკეთესი კლიმატური პირობები გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს რამდენადმე მაინც განვითარებული თევზჭერის ინდუსტრია. ჩვენს ისტორიულად საზღვაო ქვეყანას ერთი ნავიც კი არ გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა პერიოდში შექმნილ რამდენიმე ეგზემპლარს. ერთი ჰოლანდიელი წელიწადში უშვებს 179 227 ევროს ღირებულების პროდუქციას, ხოლო ქართველი იმავე პერიოდში — 1103 ევროს ღირებულების პროდუქციას, ანუ ერთი ჰოლანდიელი უდრის 162 ქართველს. ვაღიაროთ, რომ შეურაცხმყოფელი ციფრებია.**

იოსებ ბაჩიაშვილი თავის წიგნში ასევე აღნიშნავს: „უკვე 23 წელია, რაც ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია და ისევ იმ სიდუხჭირესა და უბედურებაში ვიმყოფებით, რომლითაც ჩვენი დამოუკიდებლობა დაიწყო. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **გერმანია** სულიერად, მატერიალურად და პოლიტიკურად სრულიად განადგურებული ქვეყანა იყო, 23 წლის შემდეგ, ანუ 1968 წელს კი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ იქცა. იგივე შეიძლება ითქვას **იაპონიაზე**. 1945 წლის შემოდგომაზე ატომური ბომბებით განადგურებული და მორალურად დაცემული იაპონია, 23 წლის შემდეგ, ანუ 1968 წელს უკვე ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო. დღესაც კი ამ ქვეყანას პერმანენტულად თავს ატყდება უძლიერესი სტიქიური უბედურებები, მაგრამ ნახეთ, როგორ უმკლავდება ეს ერი ყველაფერს და ბევრი მონაცემით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. **ისრაელი** მუდმივად არის ჩართული ომში. მისი ტერიტორია სამჯერ ნაკლებია საქართველოზე. მოსახლეობა კი ორჯერ მეტია, კლიმატი და ბუნებრივი პირობები — უარესი, ვიდრე საქართველოში. მიუხედავად ამისა, ყვავის ისრაელი. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტი არის 37 035 აშშ დოლარი, საქართველოში — 5 200 დოლარი და ამ მონაცემით მსოფლიოში 119 ადგილზე ვართ. ისრაელში მეცნიერებაზე იხარჯება მშპ-ის 4.4%, რომელიც 2-ჯერ მეტია აშშ-ის შესაბამის ხარჯზე, 40-ჯერ მეტი საქრთველოს შესაბამის ხარჯზე, ამიტომ მსოფლიოში ყველაზე მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს. მთლიანი შიგა პროდუქტის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარის მიხედვით — 5200 აშშ დოლარი — საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: უკრაინა — 6700 აშშ დოლარი: სერბეთი — 10 900 აშშ დოლარი; მაკედონია — 9700 აშშ დოლარი; აზერბაიჯანი — 10200 აშშ დოლარი; საქართველო ჩამორჩება სომხეთსაც (5400 აშშ დოლარი), რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. საქართველოში 1987-1989 წლებში ყოველწლიურად იწარმოებოდა 36 მილიარდი ამერიკული დოლარის პროდუქცია (დღევანდელი კურსის შესაბამისად). 2013 წელს ვაწარმოეთ ერთი მილიარდი ამერიკული დოლარის პროდუქცია. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ვაწარმოებთ 18 კგ მარცვლეულს, მოვიხმართ — 128კგ-ს; ხორცს ვაწარმოებთ 9კგ-ს, მოვიხმართ — 26კგ-ს.

**როდემდე ვიჩხუბოთ და ვლანძღოთ ერთმანეთი, როდემდე ვცვალოთ მთავრობა და პარლამენტი, ხომ არ დადგა დრო, შევწყვიტოთ ქუჩის აქციები და მიტინგები, ყველა შევრიგდეთ, გამოვაცხადოთ ამნისტია? ჯანსაღი, ნორმალური კრიტიკით ვიცხოვროთ. როდესმე გვეღირსება ისეთი მთავრობა და პარლამენტი, რომლებიც მოგვეწონება, ხალხზე იფიქრებს და არ «დაგვაბოლებს»?**



უამრავი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება. **რატომ მათ არ დასჭირდათ ფეხზე დასადგომად „დიდი ხანი“? რატომ ვერაფერი შევძელით კინკლაობის, ომების, მექრთამეობის, დატაცებისა და ყაჩაღობის გარდა? რატომ არის ჩემი თანამემამულე ლატაკი, შეურაცხყოფილი და გაბითურებული? რატომ ვერ ვხედავ ჩემს სამშობლოში მომღიმარ სახეებს? რატომ ტყუის ყველა მთავრობა? რატომ მიდის ქართველი ქალი და კაცი სხვა ქვეყანაში შავ მუშად? და სხვა ბევრი რატომ, რატომ და რატომ?“**

რატომ ამბობენ, ის დრო ჯობდაო, როცა ქართველი ქალები დატყვევებული მიყავდათ სპარსეთში (ირანში). არ ვიყვიროთ? არ გავგიჟდეთ? თუ ვიმღეროთ: „არასოდეს მიცხოვრია გლეხურად, კაცი ვიყავ, თავზე ქუდი მეხურა“, „ქეიფს ვიწყებ დილიდან, ვიქირავებ დილიჟანს“... ვაქოთ მთავრობა, სამშობლო და ქართველი ვაჟკაცები (ჯიპით რომ მისეირნობს რუსთაველზე და „მალბოროს“ ცარიელ ყუთს რომ ისვრის ან, ჩემი დედის მტყ...ი ვიყოო, რომ იძახის, ან ქალიშვილი რომ ამბობს, მამაჩემის ბოზი ვიყოო) და ერთსაათიანი სადღეგრძელოები შევსვათ?!

**საქართველოში 4700 სოფლიდან 700-ზე მეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში იყო ქართველებით დასახლებული მარტყოფი, ახლა ყველაზე დიდი სოფლებია კაბალი (ლაგოდეხში) და იორმუღანლო (საგარეჯოში), აზერბაიჯანელებით დასახლებული. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში პირველ ოცეულში იყო მხოლოდ ქართული გვარები. დღეს პირველ ადგილზეა ბერიძე (12419), მეორეზე — მამედოვი (12185), მესამეზე — კაპანაძე (8566), მეოთხეზე —ალიევი (7936)... მეთვრამეტეზე — ბაირამოვი (4265).**

ხშირად მოისმენთ, — გავყიდოთ მიწა უცხოელებზე, თან ხომ არ წაიღებენო. **მე-19 საუკუნეში ვაჩნაძეების ოჯახმა ლაგოდეხში სამი აზერბაიჯანული ოჯახი ჩამოასახლა საქონლის მოსამწყემსად. დღეს ეს სამი ოჯახი 46 000 მცხოვრებად იქცა და სოფელი კაბალი ყველაზე დიდია საქართველოში. ყველაზე დიდი ქართული სოფელი მარტყოფი კი მესამე ადგილზეა.**

ერთი წლის განმავლობაში, 2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე, უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც საქართველოში იყიდეს 217 ნაკვეთი.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპის ფონზე საქართველოში საწინააღმდეგო ვითარებაა —ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები და ამდენად, მწვავდება დემოგრაფიული პრობლემებიც. შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარება არასოდეს ყოფილა.**

**1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა და 1814 წელთან შედარებით 5,3-ჯერ გაიზარდა.**

ბოლო ხანს საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს — 5 მილიონ 467 ათასი კაცი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და, ოფიციალური მონაცემებით, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ ბოლო წლებში. არადა, ისტორიულად, სამხრეთ და, საერთოდ, კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო, შემდეგში კი ვითარება არსებითად შეიცვალა.

1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1 პროცენტი, ანუ ყოველი ▶

**ჰოლანდიელი ფერმერი 182 ადამიანს კვებავს, ხოლო ჩვენი გლეხი (ფერმერი) ძლივს არჩენს თავის ოჯახს. ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში ძროხები 6-ჯერ მეტს იწველიან, ვიდრე საქართველოში, ჰოლანდიაში სიმინდის მოსავალს 8-10 ტონას იღებენ, ჩვენთან — 3-5 ტონას, იქ ხორბლის მოსავალს 4-6 ტონას იწევენ, ჩვენთან — 1-2 ტონას. ჰოლანდია ტერიტორიით საქართველოზე პატარა ქვეყანაა, მოსახლეობით — მეტი. ზღვა ზამთარში იყინება, მაგრამ იმდენ თევზს იჭერენ, რომ ბევრ ქვეყანაში გააქვთ გასაყიდად; ეს ქვეყანა მსოფლიოში საუკეთესო გემთმშენებელია. ჩვენ უკეთესი კლიმატური პირობები გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს რამდენადმე მაინც განვითარებული თევზჭერის ინდუსტრია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს — 28,1 პროცენტი, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 18,9 პროცენტი შეადგინა. სამაგიეროდ, 1926-2010 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30,4 პროცენტიდან 38,0 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობის წილი სულ უფრო მცირდება, აგრეთვე, სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა — 39,5 პროცენტს, ხოლო სომხეთისა — 15,0 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34 პროცენტით გაიზრდება, სომხეთის — 7 პროცენტით, საქართველოს მოსახლეობა კი 28 პროცენტით შემცირდება.**

საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ადრინდელ მიმზიდველობას კარგავს ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წესჩვეულებები. ასეთ ვითარებაში ეროვნული ცნობიერების შემცირება გარდაუვალია, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს.

იოსებ ბაჩიაშვილის წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელებულია. **2002 წლის აღწერის მიხედვით, 162 სოფელში მოსახლეობა აღარ ცხოვრობს; 10 კაცი და უფრო ნაკლები ცხოვრობს 152 სოფელში; ხოლო 905 სოფელში, ანუ ყოველ მეოთხეში მხოლოდ 100-მდე მცხოვრებია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთის ძნელად-მისადგომ სოფლებში უგზოობის, უშუქობისა და ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე, ძირითადად, მოხუცებილაა დარჩენილი. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ მოსახლეობისგან იცლება საქართველოს ისტორიული კუთხეები — რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი... მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად იქ მხოლოდ 22 ათასი კაცი ცხოვრობს, ძირითადად, ასალოვანი ადამიანები.**



**საქართველოში 4700 სოფლიდან 700-ზე მეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში იყო ქართველებით დასახლებული მარტყოფი, ახლა კი ყველაზე დიდი სოფლებია კაბალი (ლაგოდეხში) და იორმუღანლო (საგარეჯოში), აზერბაიჯანელებით დასახლებული. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში პირველ ოცეულში იყო მხოლოდ ქართული გვარები. დღეს პირველ ადგილზეა ბერიძე (12419), მეორეზე — მამედოვი (12185), მესამეზე — კაპანაძე (8566), მეოთხეზე —ალიევი (7936)... მეთვრამეტეზე — ბაირამოვი (4265)**

გამოდის, **მტერი და აგრესორი სულაც არ არის საჭირო, ჩვენ რამე რომ გვავნოს. თვითონვე გავქრებით დედამიწის ზედაპირიდან და ამისათვის დიდი დროც არ დაგვჭირდება. თუ ყველაფერ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენი ქვეყნის საგარეო პრობლემებსაც დავუმატებთ და იმასაც გავაანალიზებთ, რა რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში გვიწევს არსებობა, ძნელია, ოპტიმიზმით განიმსჭვალო და ცხოვრებას მხნედ შეხედო.**

ქართველი ფილოსოფოსი **კონსტანტინე კაპანელი** ასე ახასიათებდა ქართველ საზოგადოებას 1925 წელს: **„ქართველი საზოგადო მოღვაწე ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერია; ქართველი ხელოვანი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახაა; ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჭორების საზიზღარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამომდე სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაამციროს მეორე ქართველი: წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს. ქართველი მუხანათი და ვერაგია თავისიანებში; უცხო ტომში გარეული იგი კეთილშობილი და მორჩილი მოსამსახურეა. ქართველი საქმის სათავეში საზიზღარია: დაიკავებს თუ არა საპატიო ადგილს, მაშინვე თავხედურად გაიბღინძება... თეატრი, ბანკი, რკინიგზა, სასწავლებელი, რედაქცია – ყოველი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება ჭორებითაა სავსე და ინტრიგებში იხრჩობა. შედეგი ამ ჭორებისა და ინტრიგებისა ის არის, რომ თავმოყვარე, პატიოსანი და ნიჭიერი მუშაკი დაწესებულებიდან გადის, რადგან ვერ ითმენს უზნეობასა და უსინდისობას; დაწესებულებაში რჩება უნიჭო, უსინდისო, ფლიდი, მოღალატე, რომელსაც მხოლოდ თავისი პირადობა აინტერესებს და რომლის იდეალია, ყველაფერი დაშალოს, ოღონდ კი თავის თავს ასიამოვნოს...“**

შეიცვალა რამე?

**კონსტანტინე გამსახურდია** წერდა: **„ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა, ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი“.**

ქართველები ვიყავით და ვართ შემწყნარებლები, უცხოელებს უფრო წინა პლანზე ვაყენებდით და ვაყენებთ და პატივს ვცემდით და ვცემთ, ვიდრე საკუთარ მოყვასს. ტოლერანტობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს ქვეყანაში 50-ზე მეტი ერი ცხოვრობს. ყველა მოითხოვს ქართველებზე მეტ ყურადღებას და, რაც ხდება, მგონი, არ არის საჭირო, განვმარტო, რადგან კარგად ვიცით.

ან როგორ მოგწონთ სატელევიზიო შოუები — გადაცემები, სადაც ადამიანებს, ისე წააჩხუბებენ, როგორც მამლებსა და ძაღლებს... ჩვენც ტელევიზორის ეკრანზე ვუყურებთ, როგორ ლანძღავს და აგინებს ერთი ქართველი მეორეს. **როდემდე ვიჩხუბოთ და ვლანძღოთ ერთმანეთი, როდემდე ვცვალოთ მთავრობა და პარლამენტი, ხომ არ დადგა დრო, შევწყვიტოთ ქუჩის აქციები და მიტინგები, ყველა შევრიგდეთ, გამოვაცხადოთ ამნისტია? ჯანსაღი, ნორმალური კრიტიკით ვიცხოვროთ. როდესმე გვეღირსება ისეთი მთავრობა და პარლამენტი, რომლებიც მოგვეწონება, ხალხზე იფიქრებს და არ „დაგვაბოლებს“?** გონებადაბინდულობის, შავისა და თეთრის ვერ გარჩევის სენი ხომ არ დაგვემართა, ქვეყნისა და ერისადმი სამსახურის აუცილებლობა ღალატისა და ფულის შოვნის სურვილმა ხომ არ დაგვძლია?!

მკითხველო, თუ ვერ ჩაგაფიქრეთ და ვერ გაგაკეთებინეთ ისეთი დასკვნები, რომ ხვალიდან სხვანაირად შეხედოთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ, წაიკითხოთ იოსებ ბაჩიაშვილის ზემოაღნიშნული წიგნი და დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სხვანაირად შეხედავთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას.

**ანზორ მესხიშვილი,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში**

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34 პროცენტით გაიზრდება, სომხეთის — 7 პროცენტით, საქართველოს მოსახლეობა კი 28 პროცენტით შემცირდება**

# გახდომა უმადობით

**მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების მანძილზე ნაგროვები უნიკალური რეცეპტების უმეტესობა დაკარგულია, ერთეულებმა მაინც მოახერხეს გადარჩენილი ინფორმაციის აღდგენა-გამდიდრება. სწორედ ამ ერთეულებს მიეკუთვნება ნუნუ ღლიღვაშვილ-მარგიანი, პროფესიით მხატვარი. წიგნის „მედეადან დღემდე“ ავტორი ხალხური მედიცინის სამყაროში მეტად საინტერესო სამკურნალწამლო რეცეპტებს გთავაზობთ.**

ერთ-ერთი გამორჩეული კი კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენია, რომელიც იწვევს მადის დაქვეითებას და ორგანიზმისთვის ბუნებრივი პროცესებით სრულიად უვნებლად, გვერდითი მოვლენების გარეშე, წონაში დაკლება-გალამაზება-გაჯანსაღებას (კურნავს სხვადასხვა დაავადებას). მე, პირადად, არაერთხელ შევხვედრივარ უამრავ ადამინს, რომლებმაც ამ უნიკალური ნაყენის წყალობით უმტკივნეულოდ დაიკლეს წონაში და მოიწესრიგეს ჯანმრთელობის პრობლემები. ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება ეძლევა, მიიღოს კონსულტაციები სხვადასხვა დაავადების დროს ფიტოსაშუალებების გამოყენებაზე ქ-ნი ნუნუს დახმარებით. ქ-ნი ნუნუ იტალიის სალერნოს სკოლის სწავლულთა მონაპოვარს სრულიად იზიარებს და, პირველ რიგში, ზომიერ ჭამას, კარგ განწყობასა და სულის სიმშვიდეს გირჩევთ:

— სალერნოს (ქვემო იტალიის მთიანი პროვინცია. სამედიცინო ტრადიციით ცნობილ მთავარ ქალაქსაც სახელად სალერნო დაენათლა. XI-XII საუკუნეებიდან აქ მუშაობდა ხელოვან ექიმთა კორპორაცია) ჯანმრთელობის კოდექსი გირჩევთ ზომიერ ჭამას, კარგ განწყობას და სულის სიმშვიდეს.

გერმანელი დიეტოლოგები გვირჩევენ, შევამციროთ ულუფები, მივირთვათ პატარა ზომის თეფშიდან, უარი ვთქვათ ცხარე, მარილიან საკვებზე, რომელიც სტიმულს აძლევს კუჭის წვენის გამოყოფას; ასევე, კონსერვანტებიან საკვებზე, რომელიც რთულად გადამუშავდება. მიირთვით კალციუმით მდიდარი რძის უცხიმო პროდუქტები; მიიღეთ დღეში, სულ ცოტა, 1,5 ლ წყალი და მოწესრიგდება ნივთიერებათა ცვლა, შემცირდება წონა. დადგენილია, ის ქალები რომლებიც საუზმობენ მარცვლეულის ფაფებით, რთულად იმატებენ წონაში, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ მიირთმევენ ფაფებს. საუზმის, სადილის, ვახშმის წინ მიირთვით გრეიფრუტი. ამით შესაძლებელია 10 დღეში 2კგ-ის დაკლება. გრეიფრუტი დაბლა წევს ინსულინის დონეს. იმუნიტეტს აძლიერებს სამი საშუალო ზომის ვაშლი, არ გაფცქვნათ, დაჭერით წვრილად, დაასხით 1 ლ წყლი, ადუღეთ 20 წთ, შეგრილებულს დაამატეთ 1 ლიმონის წვენი და გემოვნებით — თაფლი. სვით ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში. ვაშლის მჟავები და ფერმენტები ააქტიურებს ორგანიზმის გამომყოფ სისტემებს და ამგვარად იწმინდება. შემდეგ დაიწყეთ ყოველდღიურად 1-2 ცალი ხურმის ჭამა, იგი ბევრ კალიუმს შეიცავს, აგრეთვე, არის შარდმდენი. ამდენად, კარგია გულის იშემიური დაავადებების დროს და წნევიანი ადამიანებისთვის; ამშვიდებს ნერვებს, აწესრიგებს კუჭის მოქმედებას; თუ გაწუხებთ გული, წნევა, მარილები, დეპრესია, მიიღეთ ჯერ ვაშლის ნაყენი, შემდეგ — ხურმა, შედეგი იქნება გასაოცარი.

**ქ-ნ ნუნუს საშუალებით დავუკავშირდით კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენის წყალობით გალამაზებულ ქალბატს, რომლიც თავად გვიამბობს ნაყენის სასიკეთო თვისებებზე.**

— უკიდურესად მძიმე სულიერი და ფიზიკური მდგომარეობით დავიწყე ქ-ნი ნუნუს ნაყენის სმა, რომელსაც გემოთიც ეტყობა, რომ კენკრა-მარცვლოვანზეა დამზადებული. ნაყენმა თავიდანვე დამარწმუნა ბუნების ყოვლისშემძლებაში, ყოველდღე ვგრძნობდი ორგანიზმზე მის სასიკეთო მოქმედებას, კერძოდ, დამიქვეითდა მადა, მომემატა ენერგია, გავხდი ხალისიანი. პირველ რიგში, ნაყენი ახდენს ორგანიზმის აქტიურ ბიოწმენდას (ტოქსინი, მარილი, ნალექი), ამიტომ განვიკურნე კანის სერიოზული (ფსორიაზი) დაავადებისგან, რომელიც წლების განმავლობაში მტანჯავდა, მომიგვარდა ქალური პრობლემებიც. რაც მთავარია, ბუნებრივად ხელოვნური მანიპულაციების გარეშე დავიკელი 17 კილოგრამი. მას შემდეგ სტაბილურად ვინარჩუნებ წონას. ვარ უზომოდ ბედნიერი.

ესაუბრა **მაია ცომაია**

**ქალბატონ ნუნუს მიმართეთ:**
**2-93-47-51; 599-25-11-58**



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არიან ადამიანები, რომლებსაც ისტორიული ქვრები არ მოუხდენიათ, დაფნის გვირგვინი და დიდების შარავანდედი არ დაუმსახურებიათ, მაგრამ თავდადებული შრომით სახელმწიფოს შენების საქმეში საკუთარი წვლილი შეუტანიათ. სწორედ ასეთია ბატონი ვალერიანი, კაცი, რომელიც თავისი ხელწერითა და ცხოვრების წესით მაგალითს უჩვენებს თავის დიდ სამეგობროს, კოლეგებსა და ქართველ საზოგადოებას. მოუსვენარი ბუნება ავსებს მას ახალგაზრდული ჟინითა და შემართებით. მოყვასის სიყვარულის გამორჩეული უნარი ანდამატივით იზიდავს სხვადასხვა თაობის ადამიანებს, რომლებიც მასთან ურთიერთობასა და მეგობრობას ეშურვებიან.**

# ღვაწლმოსილი მეცნიერი

**80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, პროფესორ ვალერიან ცანავას, რომელმაც მეტად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა განვლო.**



აკადემიკოს ვალერიან ცანავაზე საუბარი ძნელიც არის და იოლიც. ძნელია იმიტომ, რომ დარგი, რომელსაც ის მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, არის მეტად რთული და შრომატევადი. ძნელია, რადგან ღრმად ერუდირებული და პროფესიონალი უნდა იყო, რომ სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევით მუშაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სრულყოფილად და დროულად გადაწყვიტო; იოლია იმიტომ, რომ იგი უშუალო, თბილი და იუმორით დაჯილდოებული ადამიანია, რომელიც ყველას, რანგის მიუხედავად, სიყვარულით ეპყრობა. ის გახლავთ უაღრესად კეთილშობილი და კეთილმოსურნე, ძალზე თავმდაბალი და უაღრესად პრინციპული, თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე, საუცხო მეგობარი და მოქალაქე.

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წლის 23 თებერვალს ქალაქ სოხუმში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის – პეტრე ცანავას ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაასრულა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961-1964 წლებში გაიარა ასპირანტურის სრული კურსი სასუქებისა და ინსექტო-ფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოლგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ ფიოდორ ტურჩინის ხელმძღვანელობით. 1966 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, შემდეგ კი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს არჩეულ იქნა უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე აგროქიმიის განყოფილებაში. 1972-1988 წლებში ბატონი ვალერიანი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები“. 1988-1995 წლებში პროფ. ვალერიან ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე — ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი; 2006 წლიდან კი — გაერთიანების აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

1992 წლიდან პროფესორი ვალერიან ცანავა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ხოლო 1995 წლიდან — აკადემიის ნამდვილი წევრი.

ვალერიან ცანავას ღრმა ერუდიცია ბუნებრივად არის შერწყმული მის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. მისი აქტიური ბუნება მუდამ სიკეთის საკეთებლადაა მომართული. ინტელიგენტობას თან სდევს სამაგალითო პრინციპულობა. იგი მეცნიერებით ცხოვრობს და აზროვნება დაკავებულია საკვლევი პრობლემებით. მის მიერ ჩატარებული მრავაწლიანი კვლევების ძირითადი მიმართულებებია:

***აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა, ჩაის მცენარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპ 15N-ის გამოყენებით;**

***აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების გროქიმიურ მაჩვენებლებსა და აქტივობაზე;**

***აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.**

ვალერიან ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები, როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ცვლილებები წითელმიწა აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე, სასუქების გავლენა პლანტაციის პროდუქტიულობასა და ჩაის მზა პროდუქციის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპიკული გაეწერებული ნიადაგის პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობა ფოსფოროვანი სასუქების გამოყენებაა, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია, აგრეთვე, კალიუმიანი სასუქების გამოყენების ეფექტიანობა, აზოტისა და ფოსფორის ხანგრძლივად გამოყენება ასაკოვან პლანტაციებში. მნიშვნელოვანია მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინომჟავების ცვლილებები აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისგან დამოკიდებულებით. შესწავლილია აზოტის გაზრდილი დოზების (400-500 კგ/ჰა) უარყოფითი გავლენა თავისუფალი ამინომჟავების, განსაკუთებით კი — შეუცვლელი ამინომჟვების შემცველობაზე და ჩაის მზა პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მრავალწლიანი და მრავალმხრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და აგროწესებში. კერძოდ, აზოტოვანი სასუქების შედარებითი შეფასება ნიადაგში და მისი შესატანი დოზები და ფორმები.

მეცნიერ-ორგანიზატორი თავის კვლევა-ძიებათა შედეგებს სისტემატიურად აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებში და უკვე 180 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან რამდენიმე მონოგრაფიაა. ლაბორატორიაში, მეცნიერული კვლევის შედეგად დაგროვილი ინფორმაცია დღესაც ყალიბდება რეკომენდაციებად, მეცნიერულ განზოგადებად. მის ნაშრომებს იყენებენ და მოხსენებებს ისმენენ მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში. აკადემიკოს ვალერიან ცანავას სტატიები გამოირჩევა თეორიული და პრაქტიკული საკითხების ღრმა ანალიზით, რამაც ხელი შეუწყო სუბტროპიკულ კულტურებში სამეცნიერო სიახლეების დანერგვას.

აკადემიკოს ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. იგი არა ერთხელ იმყოფებოდა სამცნიერო მივლინებაში – ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში, ჩინეთსა და რუსეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით. დიდია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. იგი ყოველთვის მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ. წლების განმავლობაში იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 20 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

სწორედ **ვალერიან ცანავას მსგავსი საქმის ერთგული, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნელობით, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე მოვალეობის გამძაფრებული გრძნობით გამორჩეული პიროვნებები განსაზღვრავენ პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. იგი ამშვენებს იმ ქართველ მეცნიერთა რიგებს, რომლებმაც შექმნეს მთელი ეპოქა სოფლის მეურნეობაში, რომელთა სახელიც ასოცირდება კონკრეტულ დარგთან — სუბტროპიკულ კულტურებთან, მის განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში.** ის არის ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით სამაგალითოა ყველა ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდა თაობისათვის. საოცრად ლამაზი, დახვეწილი, თავაზიანი, იმორით სავსე, მუდამ შემართული, სპორტულ ფორმაში მყოფი, ყოველთვის კოხტად ჩაცმული და აკურატული საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. მასთან ყოველი შეხვედრა, საუბარი ურთიერთობის ნამდვილი ზეიმია.

ვალერიან ცანავას მოღვაწეობის გზაზე იყო გაუთვალისწინებელი პრობლემები, მაგრამ ყოველთვის დაუძლევია წინააღმდეგობები. ის ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლია თავისი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ისე, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალებს სჩვევიათ. წლებსა და რთულ ცხოვრებას ოდნავადაც არ შეუცვლია ბატონი ვალერიანი, იგი დარჩა ერთგულ, უღალატო და ყურადღებიან მეგობრად.

ცხოვრებისადმი ფილოსოფიურად განწყობილ აკადემიკოს ვალერიან ცანავას მუდამ ახასიათებდა და ახასიათებს საგნისა და მოვლენების არსში წვდომა, ანალიზი და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. მართალია, მტკიცე და პრინციპულია თავის პოზიციაში და სიმართლე მისთვის უზენაესი კატეგორიაა, მაგრამ ურთიერთობაში საოცარ გულისხმიერებას იჩენს და კეთილშობილებით გამოირჩევა.

რთულია, ჩამოთვალო ყველა ის ღირსება, რომლებმაც განაპირობა ბატონ ვალერიან ცანავასადმი ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. ასეთი აღიარების უკან არის დაუღალავი შრომა. სიძნელეები დაიძლევა, დაბრკოლებები გადაილახება, დარჩება მხოლოდ ის მადლი, რაც დიდი სიყვარულით უკეთებია მას ცხოვრებაში. მის მიერ განვლილი გზა — ეს არის ღირსეული, სამაგალითო ადამიანის ცხოვრების გზა. თითოეულ ჩვენგანს ჯერ კიდევ ძალიან სჭირდება მისი დიდი გამოცდილება და მეცნიერული ალღო. იმედია, აკადემიკოს ვალერიან ცანავას მოღვაწეობა, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეროვნული მეცნიერების სასარგებლოდ.

საქართველოს აგროკომპლექსის დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობისთვის აკადემიკოსი ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია მრავალი ორდენით, მედლითა და სიგელით, საბჭოთა კავშირის პერიოდში — შრომის წითელი დროშით, თავისუფალ საქართველოში — ღირსების ორდენებით.

**არიან ადამიანები, რომლებსაც ისტორიული ქვრები არ მოუხდენიათ, დაფნის გვირგვინი და დიდების შარავანდედი არ დაუმსახურებიათ, მაგრამ თავდადებული შრომით სახელმწიფოს შენების საქმეში საკუთარი წვლილი შეუტანიათ. სწორედ ასეთია ბატონი ვალერიანი, კაცი, რომელიც თავისი ხელწერითა და ცხოვრების წესით მაგალითს უჩვენებს თავის დიდ სამეგობროს, კოლეგებსა და ქართველ საზოგადოებას. მოუსვენარი ბუნება ავსებს მას ახალგაზრდული ჟინითა და შემართებით. მოყვასის სიყვარულის გამორჩეული უნარი ანდამატივით იზიდავს სხვადასხვა თაობის ადამიანებს, რომლებიც მასთან ურთიერთობასა და მეგობრობას ეშურვებიან.**

ასე გასულა 80 წელი. წლები სიმდიდრედ გადასულან, ამიტომაც დარჩა იგი ბოლომდე კაცად ამ ქვეყანაში და ბოლომდე ატარებს ამ მძიმე ჯვარს. თავისი ქვეყნის ჭირვარამის მონაწილისათვის საკმაოდ დიდი ტვირთია სახვალიოდაც ასაწევი, ამიტომაც უნდა შევეხიდოთ — ერთი კაცისთვის იგი საკმაოდ მძიმეა.

ბატონი ვალერიანის ორგანიზატორულმა ნიჭმა, ერთი მხრივ, თანამშრომელთა მიმართ საშემსრულებლო დისციპლინის მკაცრმა მოთხოვნამ, მეორე მხრივ, თანადგომის საოცარმა უნარმა განაპირობა დღევანდელ რთულ პირობებში ინსტიტუტის დირექტორ, პროფესორ თემურ რევიშვილთან ერთად შეენარჩუნებინა თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი, რომელიც განაგრძობს შრომას სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის კვლევის საკითხების შესასწავლად და გასაუმჯობესებლად.

სამწუხაროდ, წინამდებარე წერილის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ვრცლად გვესაუბრა ამ მართლაც მრავალმხრივ განათლებულ, ერუდიერებულ პიროვნებაზე. თუმცა, ვფიქრობთ, ძირითადის თქმა მაინც შევძელით.

სულითა და გულით ვულოცავთ აკადემიკოს ვალერიან ცანავას იუბილეს და ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც 80 წელი მხოლოდ იმ გამოცდილების საზომია, რომელიც ახალი მეცნიერული წარმატებებისთვისაა საჭირო. გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მხნეობას და ულევ სიხარულს თქვენი შვილის – პეტრეს და ძმის – ალიკას ოჯახებთან, კოლეგებთან, მეგობრებთან და ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად!

**თამაზ ცანავა,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**გენო თოდუა,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოკლედ

## ირანი ევროპაში გაზის ტრანსპორტირებისთვის ახალ მარშრუტს იწყებს

**ირანს საშუალება აქვს, ევროპას წელიწადში 25-30 მლრდ კუბური მეტრი გაზი მიაწოდოს. იუწყება Caspian Energy News-ი, რომელიც ირანის გაზის ნაციონალური კომპანიის ხელმძღვანელის — აზიზოლა რამეზანიზე განცხადებას აქვეყნებს.** „ევროპელი პარლამენტარების მიერ ჩატარებული კვეევა ადასტურებს, რომ ირანს ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომ ევროპას წელიწადში 30 მლრდ კუბური მეტრი გაზი მიაწოდოს. გაზმომარაგების თვალსაზრისით, ევროპის პოტენციურ პარტნიორებად ირანთან ერთად განიხილება თურქმენეთი და აზერბაიჯანი. ირანი ევროპაში გაზის ტრანსპორტირებისთვის ახალ მარშრუტს ეძებს“, – განაცხადა რამეზანიმ.



როცა დაბინდდა, დამაკრეს ციგაზე, ერთმა მოხალისე გოგონამ, ტანიას ეძახდნენ, ციგის თოკს ხელი მოჰკიდა და ვოლგის ნაპირისკენ წამიყვანა. ამ გოგონამ საშინელ ყინვაში, სროლებში, თვითმფრინავების გრუხუნში, დანგრეულ და ცეცხლმოკიდებულ ადგილებში მთელი ღამე თითქმის 7-8 კილომეტრი მატარა და მიმიყვანა იქ, სადაც კატერს უნდა გადავეყვანე მეორე ნაპირზე.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ასე ვიცავდით სტალინგრადს

**1942 წლის შემოდგომაზე ფრონტიდან ზურგში დანაკარგების შესავსებად გადასული 62-ე არმია კუნძულ სახალინიდან, ნახოდკიდან და ვლადივოსტოკიდან გადმოსროლილი სამხედრო ნაწილებით დაკომპლექტდა. ჩვენი, მესაზღვრეთა ნაწილი, 62-ე არმიის 61-ე პოლკის შჩორსის სახელობის 45-ე დივიზიაში ჩარიცხეს. სწორედ შჩორსის მეუღლემ და მისმა ქალიშვილმა გამოგვაცილეს კუიბიშევიდან ფრონტზე გამგზავრებისას და გამარჯვება გვისურვეს...**





**მე და ჩემი ნაწილი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე ვიბრძოდით... დადგა 1943 წლის იანვარი. მტერი ისე ახლოს იყო, რომ მათი ლაპარაკიც კი მესმოდა. 14 იანვარს, ალიონზე, ჩემს სათვალთვალო ადგილას ხოხვით მივძვრებოდი, როდესაც გერმანელი ფაშისტი შევნიშნე, მანაც დამინახა... შაშხანიდან ვესროლე, გერმანელმა კი ხელყუმბარა მტყორცნა... ფაშისტი ადგილზევე გათავდა, მე კი ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი**

1942 წლის ნოემბერში სტალინგრადის მისადგომებთან დავბანაკდით. მდინარე ვოლგა გაყინული იყო, სტალინგრადი — ცეცხლის ალში გახვეული. მოგვცეს სურსათი, საბრძოლო იარაღი, ჩაგვსვეს კატერებში და მიმართულება სტალინგრადისკენ ავიღეთ. იმხანად რუსულად ძლივს ვლაპარაკობდი... დაბინდდა, ფაშისტების თვითმფრინავები ჩვენს თავზე დაფრინავდნენ და ბომბებს ყრიდნენ, საარტილერიო ზალპებისგან ცას თითქოს ცეცხლი ეკიდა. მდინარეზე გადასვლისას ჯარისკაცებით დატვირთული კატერი რამდენიმეჯერ ამოყირავდა და ჯარისკაცები წყალში ჩავცვივდით. ოთხი-ხუთი საათის შემდეგ, როგორც იქნა, ვოლგის მარცხენა ნაპირს მივაღწიეთ. ყველაფერი იწვოდა, ტერიტორია ცეცხლის ალში იყო გახვეული. გაყინულ-გათოშილებმა ვინ სად შევაფარეთ თავი და ვინ — სად. არ ვიცოდით, ჩვენი ნაწილები რომელ პოზიციაზე იყვნენ განლაგებულნი... **როცა გათენდა, რაც დავინახე, იმის აღწერა შეუძლებელია — ჩემ ირგვლივ ტერიტორია ისე იყო მოფენილი სამხედროებისა და მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების, გვამებით, რომ ფეხის დადგმა შეუძლებელი იყო.**

მოვხვდი მესამე ბატალიონში, რომელსაც მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი შარიკოვი. მე, სერჟანტს, მომცეს სნაიპერის შაშხანა და ორი თვის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლით ვიცავდი სტალინგრადს გერმანელი დამპყრობელებისგან. ღამღამობით შევიპარებოდი ფრონტისპირა ზონაში და ვანადგურებდი მტარვალებს. იმხანად პრესაში ჩემზე ორი წერილი გამოაქვეყნეს, როგორც კარგ სნაიპერზე — რამდენიმე ათეული მტრის სიშორიდან ფაშისტი სნაიპერები მწყობიდან გამოვიყვანე. გაზეთი წინა ხაზზე მომიტანეს, მაგრამ იქ რა ეწერა, არ წამიკითხავს... გავიდა თითქმის ორი თვე და ვოლგის ნაპირიდან ორი კილომეტრითაც კი ვერ წავიწიეთ წინ. **მე და ჩემი ნაწილი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე ვიბრძოდით... დადგა 1943 წლის იანვარი. მტერი ისე ახლოს იყო, რომ მათი ლაპარაკიც კი მესმოდა. 14 იანვარს, ალიონზე, ჩემს სათვალთვალო ადგილას ხოხვით მივძვრებოდი, როდესაც გერმანელი ფაშისტი შევნიშნე, მანაც დამინახა... შაშხანიდან ვესროლე, გერმანელმა კი ხელყუმბარა მტყორცნა... ფაშისტი ადგილზევე გათავდა, მე კი ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მედპუნქტამდე გაჭირვებით მივაღწიე.** აღმომიჩინეს დახმარება, მაგრამ ჰოსპიტალში გადაყვანა გახდა საჭირო. დაჭრილი საღამომდე ველოდი, როდის წამიყვადნენ ჰოსპიტალში. როცა დაბინდდა, დამაკრეს ციგაზე, ერთმა მოხალისე გოგონამ, ტანიას ეძახდნენ, ციგის თოკს ხელი მოჰკიდა და ვოლგის ნაპირისკენ წამიყვანა. ამ გოგონამ საშინელ ყინვაში, სროლებში, თვითმფრინავების გრუხუნში, დანგრეულ და ცეცხლმოკიდებულ ადგილებში მთელი ღამე თითქმის 7-8 კილომეტრი მატარა და მიმიყვანა იქ, სადაც კატერს უნდა გადავეყვანე მეორე ნაპირზე. იქ უამრავი დაჭრილი იყო, მძიმედ დაჭრილები ველარ უძლებდნენ ტკივილს და იხოცებოდნენ... კატერმა გადაგვიყვანა მეორე მხარეს, სადაც დაგვხვდა სატვირთო მანქანა და როგორც იქნა, მიმიყვანეს საველე ჰოსპიტალში. გამიკეთეს ოპერაცია და რკინის ნამსხვრევები გამაყუჩებლის გარეშე ამოიღეს... ამის შემდეგ კიდევ ბევრი ბრძოლა და გაჭირვება გადავიტანე. ორჯერ დავიჭერი.

გავათავისუფლეთ ბელარუსი, უკრაინა, პოლონეთი, რუმინეთი, ბესარაბია და 1945 წლის 9 მაისს ომი დავასრულე ბერლინში მტრის სრული განადგურებით. 1947 წელს კი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი საქართველოში დავბრუნდი.

**ტარასი იჩქიტიძე,**
**ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე**

# ვინ უკვეთს მუსიკას



**ამ პუბლიკაციაში არაფერია სულის შემძვრელი და სენსაციური: მხოლოდ ფაქტებია, კონკრეტიკა, რომელიც დაეხმარება ჩვენს მკითხველს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების უკეთ აღქმასა და გაცნობიერებაში.**

„ცივი ომი“, რომლის დამთავრება გასული საუკუნის უმნიშვნელოვანეს მიღწევად იყო მიჩნეული, განახლდა.

ამაში ეჭვი არავის ეპარება.

ომი, რომელიც ვაშინგტონმა რუსეთის წინააღმდეგ წამოიწყო, ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ ეკონომიკური სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესეს, დიპლომატიური დემარშები და, რაც მთავარია, ინფორმაციული იარაღის მასობრივად ამოქმედება ზუსტად განსაზღვრული სამიზნის მიმართულებით, სწორედ რომ ომია, „ცივი ომი“, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ისტორიის განვლილი ეტაპი გვეგონა, გაკვეთილი, რომელიც შევისწავლეთ და გამეორებას არ ექვემდებარება.

ინფორმაციულ ომზე ვისაუბრებთ ამ წერილში, იმ იარაღზე, რომელიც მთავარი დამრტყმელი ძალაა და სრულად არის მონოპოლიზებული ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. იგულისხმება ათიათასობით გაზეთი, ჟურნალი, ბეჭდური პროდუქციის გამავრცელებელი ქსელი, უდიდესი რაოდენობა ელექტრონული გამოცემების, ასობით საინფორმაციო სააგენტო, ათასობით ტელე და რადიოკომპანია, სარეკლამო ბიზნესი, ბიზნესი ინტერნეტსივრცეში, ტელეკომუნიკაციები, კინოინდუსტრია და კინოგაქირავება და ა. შ.

შემოგთავაზებთ მსოფლიო საინფორმაციო მონოპოლიის საერთო კონტურებს, რომლებიც აშშ-ის ხელშია მოქცეული.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სფეროს ბატონპატრონი ამერიკაში ხუთი უდიდესი კორპორაციაა. ეს ხუთეული ფლობს აშშ მედიაბიზნესის 90 პროცენტს. ასეა დღეს. ოცდაათიოდე წლის წინათ კი ამ სფეროს აკონტროლებდა 50 კომპანია.

გასაგებია, როგორ მეგაკორპორაციებთან გვაქვს საქმე და რა ძალაა თავმოყრილი მათ ხელში. თითოეული ამ ჰოლდინგთაგან აკონტროლებს უამრავ ფირმას — კინოსტუდიებითა და თეატრებით დაწყებული, ტელეკომუნიკაციის სისტემებითა და სოციალური ქსელებით დამთავრებული. სარეკლამო და გართობის ინდუსტრიაც მათ ხელშია.

ეს ხუთი კორპორაციაა: Time Warner, News Corporation, The Walt Disney company, Viacom / CBS corporation, Comcast / NBC Universal.

**ამ გიგანტების მედიაბიზნესის მესაკუთრეთა საკითხი დღემდე გაურკვეველია. მაგალითად, ჰოლდინგ TIME WARNER-ის პატრონად ზოგი მის დამფუძნებელ ბრონფანის მემკვიდრეებში ეძებს, სხვები მიიჩნევენ, რომ კომპანია ყოფილი უფროსის — ჯერალდ ლევინის ან გავლენიანი ისრაელელი ბიზნესმენის — ავივ (ვივი) ნევოს საკუთრებაა.**

**უფრო გარკვეულია VIACOM / CBS-ის პატრონის საკითხი. ფიქრობენ, რომ ეს არის მილიარდერი** სამნერ რედსტოუნი, **რომელიც CBS-ის კორპორაციის ხმის მიმცემი აქციების 78 პროცენტსა და VIACOM-ის ხმის მიმცემი აქციების 79 პროცენტს ფლობს.**

ამ სავარაუდო თუ მეტ-ნაკლებად გარკვეული მფლობელების ვინაობა ისევე, როგორც დანარჩენი კორპორაციების პატრონების, ჩვენი მკითხველებისთვის მაინც და მაინც საინტერესო არ უნდა იყოს, ამიტომ აქ დავსვათ წერტილი. აი, მათი წლიური შემოსავალი კი, რომელიც კოლოსალურია, ღირს იმად, რომ ყურადღება მივაქციოთ.

2012 წელს Time Warner-ის შემოსავალი 28,7 მილიარდი აშშ დოლარი იყო, News Corporation-ის — 33,7 მილიარდი, The Walt Disney company-ის — 42,3 მილიარდი, Viacom / CBS corporation-ის — 28,6 მილიარდი აშშ დოლარი.

ასეთ თანხებს ატრიალებენ „საინფორმაციო იარაღის“ მფლობელები, „ახალი ანტანტის“ ის ერთი ცენტრი, რომელიც, ანალიტიკოსების აზრით, მართავს აშშ-ის მასმედიას, უზრუნველყოფს მის ხმაშეწყობილობასა და ერთ კალაპოტში მოქცევას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მედიაკორპორაცია ამერიკულად შეიძლება ჩაითვალოს მათი სათაო სტრუქტურების იურისდიქციის თვალსაზრისით, რადგან ბევრ კონგლომერატს თავისი ფილიალები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

მერდოკის კონგლომერატ News Corporation-ს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეკუთვნის გაზეთები The Times, The Wall Street Journal Europe, The Sun და The Sunday Times, ასევე — ტელეკომპანიები SKY Italia, British Sky Broadcasting და Sky Deutschland.

ევროპის ყველაზე უფრო წარმატებულ მედიაჯგუფად მიჩნეულია გერმანული გიგანტი Bertelsmann SE&CO, რომლის 2012 წლის შემოსავალი 16,1 მილიარდი ევრო იყო, თანამშრომელთა რაოდენობა — 104 ათასი.

მეორე ადგილზეა ფრანგული Viviendi S.A., 2012 წლის შემოსავალი — 30,0 მილიარდი ევრო, თანამშრომელთა რაოდენობა — 63,1 ათასი. მედიაიმპერიაში მესამე ადგილი უკავია ფრანგულ Lagardes Media-ს. 2012 წლის შემოსავალი 7,4 მილიარდი ევრო, თანამშრომელთა რაოდენობა — 26,5 ათასი.

**დასავლეთის ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი საინფორმაციო სააგენტოებს უკავია. ამ სფეროს მონოპოლიზაციის დონე წარმოუდგენლად დიდია. ინფორმაციების ლომის წილი, რომლებსაც დასავლეთის მასმედია გადასცემს, სამ სააგენტოზე მოდის.** ესენია — **Reuters, Assoiated Press და Agence France-Press.**

„როიტერში“ მუშაობს 14 ათასზე მეტი თანამშრომელი, ფილიალები მსოფლიოს 91 ქვეყანაში მოქმედებს. ითვლება, რომ „როიტერი“ ინგლისური კომპანიაა, მაგრამ 2008 წელს იგი შეიძინა კორპორაცია Thomson-მა და ეწოდა Thomson Reuter. კორპორაცია ამერიკული გახდა.

**ასეთია დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2014 წელს დაწყებული ომის ზოგადი კონტურები,** მაგრამ ეს კორპორაციები, მათი გიგანტურობისა და ამოუწურავი შესაძლებლობების მიუხედავად, მხოლოდ შემსრულებლები არიან. ამ ომის ჭეშმარიტ ორგანიზატორებს, დამკვეთებსა და ბენეფიციარებს თავიანთი სახელები და ადგილსამყოფელი მკაცრად აქვთ გასაიდუმლოებული.

სწორედ ისინი უკვეთენ მუსიკას, რომლის ჰანგებზე ცეკვავს ინფორმაციულ ომში ჩართული დასავლური მედია.

**მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95










# ბუენოს დიას, არგენტინა!

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

არგენტინის (სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Argentum: „არგენტუმ“ — ვერცხლი. ძველი მოგზაურები ახლანდელი არგენტინის ტერიტორიას ვერცხლის საბადოებით მდიდარ რეგიონად მიიჩნევდნენ და ეს სახელწოდებაც ამიტომ გავრცელდა მსოფლიოში) რესპუბლიკა სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოა. დასავლეთით ესაზღვრება ჩილეს, ჩრდილოეთით — პარაგვაისა და ბოლივიას, აღმოსავლეთით — ბრაზილიასა და ურუგვაის. სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ატლანტიკის ოკეანეზე.

არგენტინას პრეტენზია აქვს ფოლკლენდის, იგივე მალვინის კუნძულებზე, რომელიც ახლა დიდი ბრიტანეთის კოლონიაა.

არგენტინის დასავლეთით მდებარეობს ანდები — მთათა ყველაზე დიდი სისტემა დასავლეთ ნახევარსფეროში. არგენტინაში მდებარეობს ამერიკის კონტინენტის ყველაზე მაღალი მწვერვალი **აკონკაგუა (6962 მ).** უდიდესი მდინარეები: **პარანა; ურუგვაი; რიო-ნეგრო; რიო-კოლორადო; უდიდესი ტბები: სან მარტინი. ვიედმა.**

**კლიმატი.** არგენტინის კლიმატი მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო ჩრდილოეთიდან სამხრეთი 3700 კმ-ზეა გადაჭიმული. გამოყოფენ 6 კლიმატურ ზონას: კუიო და ანდები; მდინარეთაშორისი ტერიტორია და ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი; ჩაკო; პამპასები; პატაგონია და ტბების ოლქი; ცეცხლოვანი მიწის კუნძულები. მდინარეთაშორის ტერიტორიაზე სუბტროპიკული კლიმატია ცხელი ზაფხულით, პატაგონიაში — ზომიერი; ცეცხლოვანი მიწა კი რბილი საზღვაო კლიმატით ხასიათდება.

**ფლორა.** ტერიტორია დაფარულია მდელოებით, სავანებითა და სუბტროპიკული ტყეებით. ხარობს მცენარეები: პალმა, ევკალიპტი, აკაცია, ნაძვი, ფიჭვი, კედარი, კვიპაროსი.

**ფაუნა.** ცხოველთა სამყაროს წარმოადგენს იაგუარი, ავაზა, ლამა, მაიმუნი, ჯავშანოსანი, ჭიანჭველაჭამია, მელა, მაგელანის ძაღლი, სათვალიანი დათვი. ფრინველთა შორის აღსანიშნავია: ნანდუ, ფლამინგო, კოლიბრი, შევარდენი, ქორი.

არგენტინის **ტერიტორია 2,7 მლნ კვ.კმ-ია** (მე-8 მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2001 წელს არგენტინის მოსახლეობა 36,2 მლნ კაცს შეადგენდა, 2013 წლის აღწერით კი **42,6 მლნ-ია.** ამ მაჩვენებლით არგენტინა მესამეა სამხრეთ ამერიკაში და 33-ე მსოფლიოში. არგენტინელი ერი XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა ევროპელი იმიგრანტებისგან. **85%-ს შეადგენენ ესპანელები (ძირითადად, ბასკები და გალისიელები) და იტალიელები (მოსახლეობის 1/3)**, საკმაოდ არიან ფრანგები, გერმანელები, ბრიტანელები, ჰოლანდიელები, არაბები (1,5 მლნ), სომხები და ებრაელები. ინდიელები (მაპუჩე, კოლა, ტობა და სხვ.) მოსახლეობის 1,5% შეადგენენ.

**დედაქალაქი: ბუენოს-აირესი** (Buenos Aires — სიტყვასიტყვით „კარგი ჰაერი“ ან „კეთილი ქარები“), სადაც ცხოვრობს 3,0 მლნ კაცი. სულ ბუენოს-აირესის აგლომერატში — 13 მლნ.

**დიდი ქალაქები: კორდობა** (1,3 მლნ); **როსარიო** (1,2 მლნ); **მენდოსა** (85 ათასი), **ლა პლატა** (789 ათასი);

ოფიციალური ენა: **ესპანური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

არგენტინა ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც 23 პროვინციად და 1 ფედერალურ ოლქად (დედაქალაქი) იყოფა. 1853 წლის კონსტიტუციით ქვეყანაში მოქმედებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც 4 წლით ირჩევა. ამჟამად არგენტინის **პრეზიდენტია კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი.**

მინისტრთა კაბინეტს მეთაურობს **პრემიერმინისტრი — ხორხე კაპიტანიჩი.**

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ნაციონალური კონგრესი, რომელიც შედგება სენატისა (72 კაცი) და დეპუტატების პალატისგან (257 კაცი). სენატის თავმჯდომარეს უკავია ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც.

ქვეყანაში ძირითადი რელიგია ქრისტიანობაა. მოსახლეობის **77% კათოლიკეები** შეადგენენ. **პროტესტანტები** — 9%-ს (პროტესტანტთა უმრავლესობა „ორმოცდაათიანელები“ არიან — 3 მლნ). არგენტინაში, აგრეთვე, ცხოვრობენ იუდეველები (300 ათასი) და მუსლიმანები — 500 ათასი.


ბუენოს აირესი


ჩანჩქერი იგუასუ

## ეკონომიკა

არგენტინა, ნავთობის მოპოვების მხრივ, ვენესუელას, ეკვადორისა და ბრაზილიის შემდეგ მეოთხე ადგილზეა სამხრეთ ამერიკაში, თუმცა ნავთობის იმპორტს არ ეწევა. ურანის საბადოებით კი მსოფლიოს ლიდერი ქვეყნებს შორისაა. ეს ქვეყანა განთქმულია გამოგონებებითა და მოწინავე ტექნოლოგიებით ატომურ ენერგეტიკასა და ურანის მრეწველობაში. არგენტინაში მოიპოვებენ და გადაამუშავებენ, აგრეთვე, ტყვიას, თუთიას, სპილენძს, ალუმინს. განვითარებულია მანქანამთშენებლობა. არგენტინაში თავისი ქარხნები აქვს „ფორდს“, „კრაისლერს“, „ტოიოტას“, „პეჟოსა“ და სხვ. განვითარებულია გემთმშენებლობა და თვითმფრინავთმშენებლობა, აგრეთვე, ქიმიური მრეწველობა. არგენტინა ხორცპროდუქტების მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა. დიდი რაოდენობით აწარმოებს, აგრეთვე, მცენარეულ ზეთს, შაქარს, რძეს, კვერცხს, ხორბალს, ქერს, სიმინდს.

არგენტინის მთლიანი შიგა პროდუქტი **710 მლრდ დოლარს** შეადგენს, მოსახლეობის ერთ სულზე — **17,3 ათას დოლარს.**

**ვალუტა** — არგენტინული პესო (10 არგენტინული პესო უდრის 1,15 აშშ დოლარს).

**ინტერნეტდომენი:** AR

სატელეფონო კოდი: +54

**საათობრივი სარტყელი:** დასავლეთი ნაწილი — **UTC-5,** აღმოსავლეთი ნაწილი — **UTC-4.**

## კულტურა

არგენტინულ ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ლიტერატურასა და, საერთოდ, ცხოვრებაში მკაფიოდ ჩანს ევროპასთან კავშირი, განსაკუთრებით დიდია ევროპული და არგენტინული კულტურების ურთიერთკავშირი ლიტერატურაში.

მსოფლიოში გაითქვეს სახელი არგენტინელმა მწერლებმა **ხორხე ლუის ბორხესმა** („7 საღამო“, „ატლასი“, „შეთქმულები“ და სხვ.), **ხულიო კორტასარმა** („კლასიკობანას თამაში“ „62. მოსაწყობი მოდელი“), **ადოლფო ბიოი კასარესმა** („მორელის გამოგონება“), **ერნესტო საბატამ** („გვირაბი“) და სხვებმა. არგენტინელი კულტურის ყველაზე პოპულარული ნაწილი კი არის **ტანგო,** რომლის პლასტიკურობასა და მელოდიურობას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აფასებენ. არგენტინელთა ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია ფეხბურთს. არგენტინელები არიან მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელები: **ალფრედო დი სტეფანო, ომარ სივორი, დიეგო მარადონა, მარიო კემპესი, გაბრიელ ბატისტუტა** და, რა თქმა უნდა, **ლიონელ მესი.**

**ღირსშესანიშნაობები.** ბუენოს-აირესში: ობელისკი — დედაქალაქის სიმბოლო; კონგრესის სასახლე; ნატიფი ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი; კინოს მუზეუმი; 9 ივლისის სახელობის პროსპექტი (მსოფლიოში ყველაზე ფართო ქუჩა — 140 მ). ნაციონალური პარკი და ჩანჩქერი იგუასუ ქალაქ პუერტო-იგუასუში.

## სამზარეულო

არგენტინულ სამზარეულოზე ესპანურ და იტალიურთან ერთად დიდი გავლენა იქონია მექსიკურმა, ბრაზილიურმა და ჩილეს კულინარიამ არგენტინულ კერძებში უპირატესობა ენიჭება ძროხის ხორცს. სალათებს შორის გამორჩეულია **ნიოკი.** აღსანიშნავია არგენტინული ნაყინი, რომელშიც იტალიური სამზარეულოს გავლენა იგრძნობა.

**P.S. ბუენოს დიას (ესპ.) — დილა მშვიდობისა, გამარჯობა!**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**



### „ასადო“

**„ასადო“ არგენტინაში პოპულარული კერძია — ხბოს (ძროხის) შემწვარი ნაკნები.**

**ინგრედიენტები:**
***2 კგ ხბოს ან ძროხის ნეკნები**

**მარინადისთვის:**
***ზეითუნის ზეთი** — ნახ. ჭიქა
***მდოგვი** — 2 სუფრის კოვზი
***ყავისფერი შაქარი** — 3 სუფრის კოვზი
***ლუდი** — ნახევარი ჭიქა
***თაფლი** — 1 სუფრის კოვზი
***ნიორი** — 5 კბილი
***როზმარინი** — 1 ტოტი
***მარილი, პილპილი** — გემოვნებით.

**სოუსი ჩიმიჩური**
***ქინძი** — ერთი კონა
***ოხრახუში** — ერთი კონა
***ბულგარული წიწაკა** — 1 ცალი
***ნიორი** — 6-7 კბილი
***ზეითუნის ზეთი** — ნახევარი ჭიქა
***ვაშლის ძმარი** — მეოთხედი ჭიქა
***წიწაკა** — გემოვნებით
***გამხმარი რეჰანი** — 1 სუფრის კოვზი
***პომიდორი** — 1 ცალი
***მარილი და პილპილი** — გემოვნებით.

**მომზადება:**

**1.** ხორცი კარგად გარეცხეთ და გააშრეთ. დანის წვერით ზედაპირი დაუსერეთ.

**2.** მარინადისთვის როზმარინის ფოთლები წვრილად დაკეპეთ, დაუმატეთ მდოგვი, შაქარი, თაფლი, დაჭყლეტილი ნიორი. მიღებულ მასას დაასხით ძმარი და ლუდი, შემდეგ მოაყარეთ მარილი და წიწაკა და კარგად აურიეთ (შეგიძლიათ, ეს ბლენდერით გააკეთოთ).

**3.** ხორცში მარინადი კარგად შეაზილეთ. ქვაბში მოათავსეთ და მარინადის ნარჩენები მოასხით. შემდეგ ქვაბს თავსახურავი დაახურეთ და 24 საათით მაცივარში შეინახეთ.

**4.** ხორცი მაცივრიდან გამოიღეთ აირღუმელში მოთავსებამდე 1 საათით ადრე.

**5.** ხორცი სპეციალურ ფორმაში მოათავსეთ და აირღუმელში შედეთ, სადაც ტემპერატურა მხოლოდ 130 გრადუსი უნდა იყოს.

**6.** ასეთ ტემპერატურაზე „ასადოს“ შებრაწვას 5 საათი დასჭირდება. ყოველი 2 საათის შემდეგ გადააბრუნეთ. ხორცი მზად არის, როდესაც შეიძლება მისი მოშორება ძვლიდან.

**7.** სოუსი ჩიმიჩური მზადდება მას შემდეგ, როდესაც მწვანილს კარგად გავრეცხავთ და გავაშრობთ. თუმცა, წესისამებრ, ის 2-3 დღით ადრე უნდა მომზადდეს და შეიდგას მაცივარში.

ბულგარული წიწაკა და მწვანილი დაჭერით და ბლენდერში ჩაყარეთ, დაუმატეთ მწარე წიწაკა, ნიორი, პომიდორი, ზეთი და ძმარი, ათქვიფეთ და დაუმატეთ სანელებლები.

ხორცი სოუს ჩიმიჩურისთან ერთად უნდა მიირთვათ.

**ამ პერიოდში წარმატების საწინდარი იქნება ინიციატივის გამოჩენა, შეუპოვრობა და აქტიურობა. დასახული მიზნების მიღწევის მეტი შანსი კი ტყუპისა და მერწყულის ნიშნით დაბადებულებს ექნებათ.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**11-17 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი**



## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ამ პერიოდში მეტისმეტი აქტიურობა და აჩქარება მხოლოდ უარყოფით შედეგს მოგიტანთ. სამუშაოს შესრულებისას ყურადღება დეტალებზე გაამახვილეთ. მოსალოდნელია კონფლიქტების გაგრძელება პარტნიორებთან, მეგობრებთან და მაღალჩინოსნებთანაც კი, რომლებზეც დამოკიდებული ხართ. პატივი ეცით ახლობელი ადამიანების მოსაზრებებს და ინიციატივებს. თუ გინდათ, ადამიანში, რომელიც მოგწონთ, საპასუხო გრძნობა გამოიწვიოთ, პირველ რიგში, ეგოიზმზე თქვით უარი, შემდეგ კი შეეცადეთ, გაამრავალფეროვნოთ და გააღრმავოთ ურთიერთობა. თუ სიტუაცია ჩიხშია შესული, ცოტა ხნით განერიდეთ ერთმანეთს და ურთიერთობაში ხელშემშლელი ყველა ფაქტორი კარგად გააანალიზეთ. დაოჯახებულმა ვერძებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — მცირეწლოვნებს. ამ პერიოდში კარგ შედეგს გამოიღებს თვალისა და ნერვული სისტემის მკურნალობა.

**დადებითი დღე: 14 თებერვალი.**
**ნეგატიური დღე: 11 თებერვალი.**



## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

ამ პერიოდში ბევრი კურო პროფესიულ ვალდებულებებსა და პირად ცხოვრებას შორის იქნება გახლეჩილი. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ.

შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ, ოღონდ იმ პირობით, რომ დაეთანხმებით თამაშის გარკვეულ წესებს. თუ წინააღმდეგობები შეგხვდებათ, მათგან გაქცევას ნუ შეეცდებით, რადგან თავს მაინც ვერ დააღწევთ. ახლა აუცილებელია, ნებისყოფა მოიკრიბოთ და დასახული მიზნისკენ იაროთ.

არ დაივიწყოთ ახლობლები და ნათესავები, რომლებსაც თქვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბებათ, მოთმინება გამოიჩინეთ და ემოციები მოთოკეთ. მთავარია, არ დაიწყოთ იმის გარკვევა, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამ პერიოდში მაღალია ტრავმის მიღების ალბათობა, ამიტომ სიფრთხილე გამოიჩინეთ, განსაკუთრებით — ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 15 თებერვალი. ნეგატიური დღე: 11 თებერვალი**



## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ტყუპებისთვის ხელსაყრელი პერიოდია კარიერაში წინსვლისა და მომგებიანი კონტრაქტების გასაფორმებლად. შემოქმედებითად მიუდექით იმ ამოცანებს, რომელთა ამოხსნასაც ცხოვრება გთავაზობთ. თუმცა მოერიდეთ ავანტიურისტულ მოქმედებებს, რადგან შეიძლება, მოვლენები თქვენ საწინააღმდეგოდ განვითარდეს. მოერიდეთ თანამშრომლებთან დაპირისპირებას. დაუქორწინებელი ტყუპებისთვის კარგი პერიოდია ცხოვრების თანამგზავრის გასაცნობად, ამიტომ ხელიდან ნუ გაუშვებთ წვეულებაზე ან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში წასვლის შანსს. დაოჯახებულ ტყუპებს კი, შესაძლოა, კონფლიქტი შეექმნათ მეუღლის ნათესავებთან. ნუ მიეძალებით ალკოჰოლსა და ცხიმიან საკვებს, რადგან დიდია ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის გაღიზიანების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი. ნეგატიური დღე: 13 თებერვალი.**



## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

გაგრძელდება წინა პერიოდის ტენდენციები და კვლავ შეიძლება აღმოჩნდეთ პრობლემების წინაშე. შეეცადეთ, მოქმედებები სწორად დაგეგმოთ და თავიდან აიცილოთ ფინანსური რისკები.

საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობები იქნება მკვეთრი და, შეიძლება ითქვას, დრამატული. მოთოკეთ ემოციები და ახლობელ ადამიანს ტყუილუბრალოდ არ აწყენინოთ. მზრუნველობა გამოიჩინეთ შვილების მიმართ.

კარგი პერიოდია სამოგზაუროდ. შეეცადეთ, განმარტოვდეთ და თქვენ გარშემო ახლახან განვითარებული მოვლენები გააანალიზოთ. ამ პერიოდში თქვენი ენერგოპოტენციალი დაქვეითებულია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. სიფრთხილე გამოიჩინეთ ბასრი საგნების გამოყენებისას!

**დადებითი დღე: 12 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 15თებერვალი.**



## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ამ პერიოდში თქვენი დროის უმეტესი ნაწილი ოჯახურ სკანდალებზე დაიხარჯება, სამსახურშიც ყველაფერი ისე არ გამოგივათ, როგორც გსურდათ, ამიტომ გაუფრთხილდით ნერვებს და ბუზისგან სპილოს ნუ შექმნით.

თუმცა, თუ განაცალკავებთ სამუშაოსა და პირად ურთიერთობებს, ამასთანავე, დაარწმუნებთ კოლეგებს თქვენი მოსაზრებების სისწორეში, ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებთ.

ლომებს შეიძლება, ურთიერთობა დაეძაბოთ მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან. ნუ გაამწვავებთ ვითარებას და ეძებეთ კომპრომისული გამოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობა, შესაძლოა, ცუდად დასრულდეს.

არსებობს შარდსასქესო ორგანოების დაავადებების გამწვავების რისკი.

**დადებითი დღე: 14 თებერვალი.**
**უარყოფით დღე: 11 თებერვალი.**



## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

სამსახურში თავდაუზოგავი მუშაობა მოგიწევთ, თუმცა თქვენი ძალისხმევის შედეგს მხოლოდ მოგვიანებით, 2-3 თვის შემდეგ დაინახავთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვალის აღებას მოერიდეთ, რადგან, შესაძლოა, მისი გასტუმრება გაგიჭირდეთ. მოერიდეთ ახლობლების კრიტიკასაც, რადგან ისინი თქვენ წინააღმდეგ განეწყობიან.

საყვარელი ადამიანის მიმართ ნებისმიერმა გადაკრულმა სიტყვამ შეიძლება მწვავე დაპირისპირება გამოიწვიოს. ოჯახური ატმოსფერო საყოფაცხოვრებო წვრილმანებმაც შეიძლება დაძაბოს, ამიტომ მოერიდეთ საქმის გარჩევებს და გადაერთეთ სამუშაოს შესრულებაზე. შესაძლოა, სოლიდური ფულადი შემოსავალი მიიღოთ, რაც, სავარაუდოდ, უძრავ ქონებასთან ან მსხვილ გარიგებასთან იქნება დაკავშირებული. ამ პერიოდში ქალწულების ენერგეტიკული პოტენციალი არც ისე მაღალია, ამიტომ გაუფრთხილდით თავს. დროა, სტომატოლოგთან მიხვიდეთ!

**დადებითი დღე: 15 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13თებერვალი.**



## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

ამბიციური გეგმების განხორციელების პერიოდია. მოზღვავებული შემოქმედებითი ენერგია საჭირო კალაპოტისკენ მიმართეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, თქვენი ბიზნესი განვითარდება და, შესაბამისად, შემოსავლები მოიმატებს.

თუ დაგეგმილი გქონდათ სადმე გამგზავრება, შეიძლება, გადაიდოს თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ დამალავთ და გრძნობებზე ელაპარაკეთ, ამასთანავე, გამოამჟღავნეთ გულუხვობა და დიდსულოვნება. თანამშრომლებთან ურთიერთობისას კი მოერიდეთ კამათს, ადამიანებს ყველაფერს პირში ნუ მიახლით, რაც ენაზე მოგადგებათ. ამით ბევრს დაკარგავთ, სანაცვლოდ კი ვერაფერს მიიღებთ.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, შესაძლოა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის შეფერხება, ამიტომ შეეცადეთ, მშვიდად იყოთ და არ გადაიღალოთ.

**დადებითი დღე: 14 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 11 თებერვალი.**



## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

ამ პერიოდში თქვენი თავდაჯერებულობა შეიძლება მკვეთრად შემცირდეს და დამოუკიდებლად გაწყვეტილების მიღებაც კი ვეღარ შეძლოთ. ამის გამო, არ არის გამორიცხული, დეპრესია დაგეწყოთ, მაგრამ დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე შემხვედრი წინაღობების გადალახვა თქვენთვის უჩვეულო არ არის.

ხელმძღვანელ და მეწარმე მორიელებს უძრავ ქონებასთან, ოფისის მოწესრიგებასა და კადრების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მოუწევთ. საშუალო რანგის მომუშავე მორიელებს კი მშვიდად შეუძლიათ, დროის დიდი ნაწილი ოჯახს მიუძღვნან.

ეცადეთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ ოჯახის წევრებსა და სახლს. დიდი რემონტის დაწყება ახლა არ ღირს, მაგრამ ინტერიერის შეცვლა სასურველია.

ამ პერიოდში მორიელი აქტიური და ენერგით აღსავსეა, ამიტომ ყველა დაავადება გვერდს აუვლის.

**დადებითი დღე: 11 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 17 თებერვალი.**



## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თავი შეიკავეთ სხვა ადამიანების საქციელის განსჯისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება თქვენს ცხოვრებაში წარუმატებლობის პროგრამა ჩაირთოს. თქვენ ახლა გაღიზიანებული ხართ და კოლეგების ქმედებებმა შეიძლება, წონასწორობა დაგაკარგვინოთ. დამშვიდდით და ნურავის განსჯით.

თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე, დიდი ხანია, ფიქრობთ, დროა, ამ გეგმის განხორციელებას ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგეთ. არ აქვს მნიშვნელობა, სხვა ქალაქში გადადიხართ საცხოვრებლად, სხვა ქვეყანაში თუ, უბრალოდ, ბინას იცვლით. დაუქორწინებელმა მშვილდოსნებმა ამ პერიოდში, შესაძლოა, გაიცნონ ადამიანი, რომელიც მომავალში მათი ცხოვრების მეგზური გახდება, თუმცა ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ ღირს, ახლა ინტელექტუალური ურთიერთობისა და საერთო ინტერესების ძიების დროა.

თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია და ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13 თებერვალი.**



## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

თხის რქებს პრობლემების მოსაგვარებლად მოთმინებისა და გულმოდგინების გამოჩენა დასჭირდებათ. უმთავრესი საზრუნავი კი ფინანსური საკითხები იქნება. თავი შეიძლება წამოყოს მოგვარებულმა პრობლემებმა. საკითხების საბოლოოდ მოსაგვარებლად კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. შეიძლება, გადმოგეცეთ მემკვიდრეობა, გააფორმოთ კრედიტი, მიიღოთ მოგება უკვე საკმაო ხნის წინათ წამოწყებული პროექტიდან ან საგრძნობი თანხა დაგრჩეთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებებიდან.

ახლობლებთან ურთიერთობისას გამოიჩინეთ გულუხვობა და ნახავთ, რომ სიკეთე უკან დაგიბრუნდებათ.

შესაძლოა, შეგექმნათ კუჭ-ნაწლავთა სისტემის პრობლემა, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს — დაიცავით დიეტა!

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 12 თებერვალი.**



## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

მერწყულების მიზანი ახლა ლიდერობა უნდა იყოს. თამამად გამოავლინეთ შესაძლებლობები და მეორეხარისხოვან როლით არ დაკმაყოფილდეთ. რადგან თქვენი ინიციატივები ბიზნესსაქმიანობაში წარმატებას მოგიტანთ. რაც უფრო იაქტიურებთ, მით მეტ წარმატებას მიაღწევთ.

ეს ურთიერთობების გაანალიზების პერიოდია. ყველაფერი თქვენზე იქნება დამოკიდებული. შეგიძლიათ, საპირისპირო სქესის ადამიანში გამოიწვიოთ საპასუხო გრძნობა, მაგრამ ამით თქვენც დამოკიდებული გახდებით.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებზე ზრუნვას.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცავით კვების რეჟიმი!

**დადებითი დღე: 14 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 11თებერვალი.**



## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

ამ პერიოდში თევზებისთვის რეკომენდებული არ არის ახალი საქმეების დაწყება და ხელშეკრულებების გაფორმება. განაგრძეთ იმ საქმეების კეთება, რომლებიც უკვე დაწყებული გაქვთ. ყურადღებას ნუ მიაქცევთ გავრცელებულ ჭორებს და არც თქვენ მიმართ გამოთქმულ უსამართლო კრიტიკას გამოეხმაუროთ, რადგან, შესაძლოა, წონასწორობა დაკარგოთ და ამით თქვენს რეპუტაციას ავნოთ. რომანტიკული ურთიერთობებისთვის სასიკეთო პერიოდი არ არის — შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაუგებრობის გამო დაგეძაბოთ. არ არის გამორიცხული, ოჯახის უფროს წევრებზე ზრუნვამ მოგიწიოთ ან წვრილმანმა საოჯახო საყოფაცხოვრებო პრობლემებმა შეგაწუხოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. გახსოვდეთ, რომ მარტის დაწყებამდე თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია და მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13 თებერვალი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ყველაფერი ალბინოსების შესახებ

**ალბინიზმი ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ნორმალური პიგმენტების უქონლობაა. ცხოველისა და ადამიანისთვის ეს არის კანის, თმისა და თვალის ფერადი გარსის პიგმენტაციის, მცენარისათვის კი (მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილისთვის) — მწვანე შეფერილობის უქონლობა.**



**ალბინიზმის მკურნალობა უშედეგოა. მელანინის ნაკლებობის აღდგენა და მხედველობის დარღვევების ნორმალიზება შეუძლებელია. ავადმყოფს ეძლევა რეკომენდაცია, ერიდოს მზეს, ხოლო მზეზე გასვლისას გამოიყენოს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი ფილტრი, მუქი სათვალე ან ლინზები**





ალბინიზმი ლათინური სიტყვაა. „ალბუს“ ლათინურად თეთრს ნიშნავს. ეს არის გენეტიკური გადახრა, რომელიც განპირობებულია ორგანიზმში ფერმენტ „ტიროზინაზას“ არქონით. აღნიშნული ფერმენტი მელანინის ნორმანული სინთეზისთვისაა საჭირო, მელანინი კი სწორედ ის ნივთიერებაა, რომელიც პასუხს აგებს კანის, თმისა და თვალის ფერის შეფერილობაზე.

**ალბინიზმი მემკვიდეობითი ნიშან-თვისებაა. გადადის გენით, რომელიც ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში ხელს უშლის პიგმენტის (მცენარეებში — ქლოროფილის, ცხოველებში — მელანინის) სინთეზს.** სრული ალბინიზმის შემთხვევაში მცენარეს ფოტოსინთეზის უნარი არ აქვს და იღუპება. ნაწილობრივი ალბინიზმი, რომელსაც იწვევს ალბინიზმის გენის არსებობა ფოთლის უჯრედთა ერთ ნაწილში, ჭრელფოთლიანობით გამოიხატება. მცენარეებში გვხვდება ალბინიზმის სხვა ფორმაც, რომელიც გენების ცვლილებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ შეპირობებულია ქლოროპლასტების მემკვიდრეობითი ცვლილებებით. გამოანგარიშებულია, რომ ალბინიზმის გენს ატარებს ყოველი 70 ადამიანიდან ერთი.

ალბინიზმით დაავადებულ ადამიანებს აქვთ თეთრი კანი (ეს განსაკუთრებით თვალში საცემია არაევროპეიდული რასის წარმომადგენლებში), თეთრი (ან ქერა) თმა.

ალბინიზმი სრულიც შეიძლება იყოს და ნაწილობრივიც. განასხვავებენ ნაწილობრივი ალბინიზმის რამდენიმე სახეს:

**კანის ალბინიზმი** – კანის ზოგიერთ უბანში პიგმენტის თანდაყოლილი უქონლობა, რომელსაც ამ ადგილებში თმების სითეთრე სდევს თან;

**თვალის ალბინიზმი** – კანისა და თმის ფერი ჩვეულებრივია, თვალის ფერად გარსში კი პიგმენტები არ არის.

ალბინიზმის მკურნალობა უშედეგოა. მელანინის ნაკლებობის აღდგენა და მხედველობის დარღვევების ნორმალიზება შეუძლებელია. ავადმყოფს ეძლევა რეკომენდაცია, ერიდოს მზეს, ხოლო მზეზე გასვლისას გამოიყენოს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი ფილტრი, მუქი სათვალე ან ლინზები (ჩვეულებრივ, ამ ფუნქციას მელანინი ასრულებს). სიელმის შემთხვევაში, თვალის მამოძრავებელი კუნთის კორექციის მიზნით, ქირურგიულ ჩარევას მიმართავენ. ბადურა გარსსა და თვალის ნერვში არსებული პათოლოგიის აღმოფხვრა არ ხერხდება.

ყველაზე მეტად მუქი კანის მქონე ადამიანებს ეტყობათ, რომ ალბინოსები არიან, თუმცა ალბინიზმი სხვა რასის ადამიანებშიც არის გავრცელებული. სტატისტიკის მიხედვით, ყოველი 20 000-დან ერთი ალბინოსია.

ალბინიზმის გენი შეიძლება თაობიდან თაობაში გადავიდეს, მაგრამ თავი იჩინოს ერთ-ერთ თაობაში.

ბევრი ფიქრობს, რომ სიტყვა ალბინიზმი მე-17 საუკუნის პორტუგალიელმა მოგზაურებმა დაამკვიდრეს. როცა ისინი დასავლეთ აფრიკის სანაპიროს მიადგნენ, დაინახეს შავკანიანი და თეთრკანიანი ადამიანები. მათ დაასკვნეს, რომ იქ ორი სხვადასხვა რასის ხალხი ცხოვრობდა, ამიტომ შავკანიანებს „ნეგრო“ (შავი) დაარქვეს, ხოლო თეთრკანიანებს — „ალბინოს“ (თეთრი).

კანის დასაცავად ალბინოსს, პირველ რიგში, შესაფერისი ტანსაცმელი სჭირდება.

ალბინიზმი თვალზეც უარყოფითად მოქმედებს. ადამიანის თვალში მზის შუქი გუგის გავლით ხვდება, ხოლო თვალის ფერადი გარსის პიგმენტები აკავებს მზის შუქს. ალბინოსის თვალის ფერადი გარსი კი გამჭვირვალეა, რის გამოც გუგის გარდა მზის შუქს ფერადი გარსიც ატარებს და იწვევს თვალის გაღიზიანებას. ამიტომ ბევრი კეპს ან ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავ სათვალეს ატარებს, ზოგი ფერად კონტაქტურ ლინზებს ამჯობინებს.

კიდევ ერთი პათოლოგია, რომელიც შეიძლება ალბინიზმით იყოს გამოწვეული, არის ნისტაგმი. ეს არის თვალის უნებური სწრაფი მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით. ნისტაგმმა შეიძლება მხედველობის დაქვეითება გამოიწვიოს. ალბინიზმმა, აგრეთვე, შეიძლება გამოიწვიოს ახლომხედველობა ან შორსმხედველობა. მხედველობის გაუმჯობესება შესაძლებელია სათვალეების ან კონტაქტური ლინზების საშუალებით, მაგრამ ეს ორი საშუალება სრულად ვერ განკურნავს ამ პათოლოგიას. ზოგი, ვისაც ნისტაგმი აქვს, კითხვის დროს თითს აყოლებს სტრიქონს, რის შედეგადაც თვალები ნაკლებად გაურბის.

იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც თვალის ალბინიზმი აქვთ, სკოლაში სიარული ნამდვილი გამოცდაა. ზოგი მშობელი ინიციატივას იჩენს და ამ პრობლემის შესახებ მასწავლებლებს ან დირექტორს ელაპარაკება, რასაც ხშირად კარგი შედეგი მოაქვს. მაგალითად, ზოგ სკოლაში ხელმისაწვდომია დიდი შრიფტით დაბეჭდილი სასწავლო სახელმძღვანელოები და აუდიოკასეტები. მშობლებისა და მასწავლებლების თანამშრომლობის შედეგად ალბინოს ბავშვებს სწავლა უადვილდებათ.

**ალბინოსების უმეტესობა ცდილობს, შეიმსუბუქოს მდგომარეობა, თუმცა ბევრს უჭირს, გაუძლოს საზოგადოების ზეწოლას. ამ მხრივ ყველაზე მეტად ბავშვები იჩაგრებიან.**

დასავლეთ აფრიკის ზოგ ქვეყანაში ალბინოს ბავშვებს დასცინიან კანის ფერის გამო. იქ, სადაც იორუბა ენაზე ლაპარაკობენ, მათ „აფინებს“ ეძახიან, რაც საშინელს ნიშნავს. უფროსებზე ხშირად ბავშვები ხდებიან დაცინვის ობიექტები.

აღსანიშნავია, რომ **აფრიკის ქვეყნებში ასეთ ადამიანებს შორის სიკვდილიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ინტენსიური მზის სხივები ასეთ ადამიანებში კანის სიმსივნის გაჩენას უწყობს ხელს.**

კუნძულ ფიჯიზე ალბინოსები ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემითა და დიდი გავლენით სარგებლობდნენ, პრივილეგიები მათ შვილებზეც გადადიოდა.

აშშ-ში თეთრი კანისა და თეთრი თმის მქონე ადამიანების უფლებებს სპეციალური ორგანიზაცია იცავს, რომელიც ალბინიზმითა და ჰიპოპიგმენტიზმით გამორჩეული ადამიანებისგან შედგება. ორგანიზაციის წევრები მას ხშირად „უფერულთა კავშირს“ უწოდებენ.

ორგანიზაცია ეხმარება იმ მშობლებს, რომელთაც ალბინოსი შვილი შეეძინებათ. ამასთანავე, ამერიკელი ალბინოსები ყოველწლიურად ატარებენ კონფერენაციას, რომელზეც ერთმანეთს უზიარებენ გარიყულად ცხოვრების მწარე გამოცდილებას; ასევე ერთმანეთში ცვლიან სამედიცინო ინფორმაციას, რომელიც მათ დაავადებას ეხება და ზოგადად თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მსჯელობენ.

თუმცა მსგავსი სიტუაცია ყველგან როდია: აფრიკაში შავკანიანი ალბინოსების ცხოვრება არცთუ ადვილია. მაგალითად, მალავის შავკანიანი მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს იმ ადამიანებს, რომელთაც უფერული სახის კანი და ღია ფერის თმა აქვთ. ხოლო თუკი შავკანიანის ოჯახში ალბინოსი ბავშვი დაიბადა, ოჯახი მწარედ განიცდის, რადგან ასეთი ბავშვი არასრულყოფილად ითვლება.

სამხრეთ აფრიკაში იმისიც კი სჯერათ, რომ სიკვდილის შემდეგ ასეთი ადამიანები საერთოდ ქრებიან — ისინი თითქოს არც კი არსებობდნენ. ამის გამო ამ ქვეყანაში ყოველთვის არსებობდნენ კაცის მკვლელები, რომლებიც ამ მოსაზრების „შემოწმებას“ ცდილობდნენ...

ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, მალავის ალბინოსებმა მოახერხეს, სახელმწიფოსგან მიეღოთ შესაბამისი ნებართვა და საკუთარი უფლებების დამცველი ორგანიზაცია დაერეგისტრირებინათ. ამ ასოციაციის წევრები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან, რადგან ღია ფერის კანის გამო მათ ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ.

კავშირის წევრებს იმედი აქვთ, რომ ახლო მომავალში მათ პრობლემას სახელმწიფო მეტ ყურადღებას მიაქცევს.

აფრიკელი ალბინოსები კიდევ უფრო შორს წასვლას გეგმავენ და კლინიკათა ისეთი ქსელის ჩამოყალიბებისკენ მიისწრაფვიან, რომლებშიც, სამედიცინო დახმარების გარდა, ალბინოსი ბავშვების მშობლებს კონსულტაციას გაუწევენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კლინიკა უკვე არსებობს ტანზანიაში.

სტატისტიკის თანახმად, თუ ევროპის ქვეყნებში 20 ათას ადამიანზე ერთი ალბინოსია რეგისტრირებული, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება, მაგალითად, ნიგერიაში, სადაც 3000 მოსახლეზე ერთი ალბინოსი მოდის, ხოლო პანამის ინდოელებს შორის ყოველ 132 მცხოვრებში ღია ფერის კანისა და თმის მქონე ერთი ადამიანი მაინც გამოერევა.

საერთოდ, აფრიკის ალბინოსებს რთული ცხოვრება აქვთ. არის ისეთი რაიონებიც, რომლებშიც ისინი უკიდურეს დისკრიმინაციას განიცდიან. მაგალითად, ტანზანიაში მათზე სასტიკი ნადირობა ხორციელდება.

**თანდათან იმატებს იმ ხალხთა რაოდენობა, რომლებიც მზად არიან, მოკლან ალბინოსები, რათა მოიპოვონ მათი ორგანოები და თმა. საქმე ის არის, რომ ადგილობრივი ე. წ. ჯადოქრები მათ ორგანოებსა და ძვლებს იყენებენ ნარევისთვის, რომელიც თითქოს მიწაში არსებული ალმასების მოსაძიებლად დაეხმარებათ. მეთევზეები მათ თმას სათევზაო ბადეში აწნავენ იმ იმედით, რომ ბევრ თევზს დაიჭერენ.**

გასული წლის მაჩვენებლით, ტანზანიასა და მის მახლობელ ბურუნდიში 50-ზე მეტი ალბინოსი იქნა მოკლული. ტანზანიის მმართველობის ორგანომ გადაწყვიტა, მკაცრად გააკონტროლოს სიტუაცია. იქმნება დამცავი ორგანიზაციები, აღძრულია საქმეები ▶







ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ალბინოსთა მკვლელების წინააღმდეგ და რამდენიმე მკვლელი უკვე დაპატიმრებულიცაა.

ალბინოსთა დისკრიმინაციის პრობლემა, უკვე მრავალი წელია, მწვავედ დგას აფრიკულ ქვეყნებში. **ხშირად ალბინოსები ნადირობის ობიექტებიც ხდებიან: მათ კლავენ, სხეულს ანაწევრებენ, ორგანოებს აცლიან, თმებს აჭრიან და შემდეგ ჯადოქრულ რიტუალებს ატარებენ.**

**ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ჯადოქრები ალბინოსების ძვლებისგან თილისმებს ამზადებენ, მათ სჯერათ, რომ თილისმა ალმასების მოპოვებაში დაეხმარებათ. განსაკუთრებით პოპულარულია ალბინოსებისათვის კიდურების მოჭრა და მათი შავ ბაზარზე გაყიდვა.**

რამდენიმე ხნის წინათ ტანზანიაში მოხდა შემთხვევა, რომელhმაც მიიპყრო სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციის ყურადღება. 2 გრძნეულმა ექიმმა დაჩეხა და მოკლა ალბინოსი ქალი. მათ სჯეროდათ, რომ ალბინოსის სხეულის ნაწილებს მოჰქონდათ კარგი იღბალი და ამიტომაც დაანაწევრეს ქალი და ორგანოები რიტუალისთვის გამოიყენეს. ამის შემდეგ ტანზანიაში გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა გრძნეული ექიმი ვალდებული იყო, ჰქონოდა ჯანმრთელობის მინისტრისგან მიღებული სერტიფიკატი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წინა წლებთან შედარებით ალბინოსების სიკვდილოანობის მაჩვენებელი თანდათან იკლებს.

ზოგი მშობელი ალბინოს შვილს თმებსაც უღებავს, თუმცა ეს არ არის რეალური გამოსავალი. ზოგიერთი მშობელი კი პირიქითაა — ისინი თავიანთ შვილებს ჰყიდიან გრძნეულებზე, რომლებიც ალბინოსების სხეულის ნაწილებისთვის ბევრ ფულს აძლევენ მათ.

ტანზანიაში ალბინოსად დაბადება სასიკვდილო განაჩენს უდრის. 2006 წლიდან მოკლულია 71 ადამიანი, რომლებსაც არ ჰქონდათ პიგმენტები კანზე, თმაზე ან თვალებზე, 29 კი თავდასხმის ობიექტი გახდა. დღეს 1400 ტანზანიელიდან 1 ალბინოსია (მსოფლიო მასშტაბით კი – 20 000-დან 1). ზოგიერთ ადგილობრივს სწამს, რომ ალბინოსი მოჩვენებაა და მისი მოკვლა შეუძლებელია. სხვების აზრით, ეს საგვარეულო წყევლაა, თუმცა ყველაზე შემაძრწუნებელი მაინც მაგიის მიმდევარი „ექიმები“ არიან – ისინი ალბინოსთა კიდურებზე ნადირობენ, რათა წარმატებისა და ჯანმრთელობის მომტანი მაგიური წამლები დაამზადონ. ალბინოსის სრული „კომპლექტი“ – ყურები, ენა, ცხვირი, გენიტალიები და ოთხივე კიდური – ზოგჯერ 75 000 დოლარამდე ღირს.

ამ ყველაფრის გამო ტანზანიის მთავრობა იძულებული გახდა, 17 000-მდე ალბინოსი გადაემალა. წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის მიხედვით, აღმოსავლეთ აფრიკაში, მინიმუმ, 10 000 ალბინოსმა საცხოვრებელი შეიცვალა ან მიიმალა. მაგიის მიმდევარი „ექიმები“ ათიათასობით დოლარს შოულობენ ალბინოსების კანის, ძვლებისა და თმებისგან დამზადებული სხვადასხვა ნაყენის გაყიდვით.



**ხშირად ალბინოსები ნადირობის ობიექტებიც ხდებიან: მათ კლავენ, სხეულს ანაწევრებენ, ორგანოებს აცლიან, თმებს აჭრიან და შემდეგ ჯადოქრულ რიტუალებს ატარებენ**



ტანზანიაში, სადაც ერთ სულზე წლიური შემოსავალი 442 დოლარს შეადგენს, ალბინოსის კიდური 2000 დოლარად იყიდება.

კიდევ ერთი საშინელება, რომელიც ტანზანიელ ალბინოსებს ემუქრებათ, არის გაუპატიურება. გოგონები, უმეტესწილად ქვეყნის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში მცხოვრებნი, გაუპატიურების მსხვერპლი ხშირად ხდებიან, რადგან აქაურ მამაკაცებს სჯერათ, რომ ალბინოსთან სექსი შიდსს კურნავს. ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან შერცხვენის შიშით მსხვერპლთა უმეტესობა მომხდარზე არაფერს ამბობს. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ იმუნოდეფიციტის ვირუსით 1.4 მილიონი ტანზანიელია დასნეულებული.

**ძველ დროში, როდესაც ალბინიზმის შესახებ არაფერი იცოდნენ, ალბინოს ცხოველებსა და ადამიანებს მაგიურ ძალას მიაწერდნენ და მათ დიდი პატივითა და რიდით ექცეოდნენ.**

ალბინიზმი არის დაავადება, გენეტიკური ანომალია, ამიტომაც, როგორც უნდა ამტკიცოს ზოგიერთმა ფსევდომეცნიერმა, ალბინიზმი გადამდები ნამდვილად არ არის. ის არც ჰაეროვანი გზით გადაეცემა და არც სისხლის გადასხმით.

მელანინი უზრუნველყოფს კანის დაცვას ულტრაიისფერი სხივებისგან, ამიტომაც ალბინოსებისთვის მზეზე ყიფნა სახიფათოა, რადგანაც ისინი, უხეშად რომ ვთქვათ, იწვებიან. ზოოპარკებშიც კი ალბინოს ცხოველებს მზისგანდ დასაცავ სპეციალურ მალამოს უსვამენ.

მელანინის ნაკლებობა, აგრეთვე, მოქმედებს ალბინოსების მხედველობაზე. ისინი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან დღის სინათლის მიმართ; სამაგიეროდ, ძალიან კარგად ხედავენ ღამით. ალბინოსი ცხოველების თვალის წითელი შეფერილობა — ეს არის მათი თვალის გუგის კაპილარებში მოძრავი სისხლის ფერი. ალბინოს ადამიანებში წითელი ფერის თვალები ძალიან იშვიათია. როგორც წესი, მათ მოცისფრო ან მოყვითალო შეფერილობის თვალები აქვთ ხოლმე.

**ალბინოსებს ძალიან კარგი ჯანმთელობა აქვთ და ისინიც ჯანსაღ შთამომავლობას იძლევიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი სუსტი ადგილია კანი, რომელიც ძალიან მგრძნობაირეა მზის სხივების მიმართ, ამიტომაც მათ შორის დიდია კანის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკი.** მაგალითისთვის მოვიყვანოთ ბარსელონის ზოოპარკის მკვიდრი ალბინოსი გორილას უიშვიათესი ჯიშის წარმომადგენელი, სახელად „ფანტელი“. ის კანის კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა, მაგრამ სიცოცხლის მანძილზე 22 შვილის მამა გახდა და არც ერთი მათგანი არ ყოფილა ალბინოსი.

ის 40 წლის ასაკში გარდაიცვალა, რაც საკმაოდ ბევრია მაიმუნისთვის. ბუნებაში ალბინოსი ცხოველები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, რადგან თეთრი ფერის გამო ისინი ადვილად შესამჩნევები არიან.

სხვადასხვა ქვეყანაში ალბინოსებს სხვადასხვაგვარად აღიქვავენ და ექცევიან, რაც, ძირითადად, გაუნათლებლობის ბრალია. მაგალითად, აფრიკის ზოგიერთ მიყრუებულ ადგილას ალბინოს ზანგებს მონებივით ექცევიან ხოლო იამაიკაზე მათ დაწყევლილებად მიიჩნევენ. ყველაზე განთქმული ალბინოსი ცხოველი ავსტრალიის სანაპიროებთან ცხოვრობს. ეს არის კუზიანი ვეშაპი „მიგალუ“, რომელიც ხშირად ჩნდება ხოლმე წყლის ზედაპირზე. ცხოველებში თეთრი საფარი ყოველთვის არ ნიშნავს ალბინიზმს.

მაგალითად, თეთრი ფარშევანგი სულაც არ არის ალბინოსი, მაგრამ ამას ყველას ვერ დააჯერებ. ქათქათა ლომებსა და ვეფხვებს კი „თეთრი გენი“, ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ჯერ კიდევ გამყინვარების პერიოდში მცხოვრები იმ წინაპრებისგან შემორჩათ, რომელთათვისაც ის ერთგვარ კამუფლიაჟს წარმოადგენდა.

ალბინოსების ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი ინდოეთში ცხოვრობს.

პულანების ოჯახი, რომლის რვავე წევრი ალბინოსია, იშვიათი გენეტიკური გადახრის მატარებელია.

მელანინის ნაკლებობის გამო ოჯახის თითოეულ წევრს თმა და კანის ფერი ერთნაირი აქვს.

როზეტაური პულანს, მის მეუღლეს — მანის, სამ ქალიშვილს — რენუს, დიპოისა და პუჯოს, სამ ვაჟს — შანკარს, რამკიშანსა და ვიჯაის თმისა და კანის ფერი თეთრი აქვთ, ხოლო თვალები — ლურჯი, რაც ინდოელებისთვის იშვიათობაა.



# «ფეისბუქი» — ოჯახების მთავარი მტერი

**ბრიტანელმა იურისტებმა „ფეისბუქი“ განქორწინების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაასახელეს. მათი თქმით, ხშირად სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით იგებენ წყვილები ღალატის თაობაზე.**

იურიდიული კომპანია Lake Legal-ის სპეციალისტებმა ჩაატარეს ანალიზი განქორწინებების საქმეებზე. შედეგად, მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ „ფეისბუქის“ მეშვეობით, შესაძლოა, კონტაქტის განახლება ყოფილ პარტნიორებთან. გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში ადამიანები პირადი ცხოვრების ისეთ დეტალებს აქვეყნებენ, რომელთა გამოყენება სასამართლოშიც კი შეიძლება. შედეგად, განქორწინების სურვილის მქონე პირები ხშირად იყენებენ „ფეისბუქის“ მონაცემებს კომპრომატების სახით.

ასევე, კომპანია Stowe Family Law-ს თავმჯდომარემ ჯულიან ჰოუკჰედმა განაცხადა, რომ მის თანამშრომლებთან გამუდმებით მოდიან კლიენტები, რომლებიც საკუთარი მეორე ნახევრების ღალატის მტკიცებულებებს სოციალურ ქსელებში პოულობენ. „ადამიანები უფრო ყურადღებით უნდა მოეკიდონ პირად ინფორმაციას, რომელსაც სოციალურ ქსელებში ტოვებენ“, — აღნიშნა ექსპერტმა.



# მკვდარი კუნძული ჰასიმა

**იაპონური კუნძული ჰასიმა 1810 წლამდე მხოლოდ კლდის ნატეხი იყო. შემდეგ დასავლეთ ჩინეთის ზღვებში დიდი რაოდენობით ქვანახშირი იპოვეს, რის გამოც იაპონიის მთავრობამ დაიწყო კუნძულის გაფართოება, რათა შეძლებოდა ქვანახშირის მარტივად მოპოვება. 1890 წელს კომპანია „მიცუბიშიმ“ შეისყიდა კუნძული და ააშენა მთელი ქალაქი მეშახტეებისთვის.**

აქტიურ პერიოდში ქალაქში 5000 ადამიანი ცხოვრობდა. 1960-იანი წლების დასაწყისში ქვანახშირი ნავთობმა ჩაანაცვლა, რის გამოც „მიცუბიშიმ“ მიატოვა კუნძულზე სამუშაოები და მოსახლეობაც გაიყვანა ქალაქიდან. 1974 წლის 20 აპრილს უკანასკნელმა ადამიანმა დატოვა კუნძულის ტერიტორია.

თავიდან კუნძული დამთვალიერებლებისთვის დახურული იყო და აკრძალვის დამრღვევს 30-დღიანი პატიმრობა ან ქვეყნიდან დეპორტაცია ემუქრებოდა. დღეისათვის აკრძალვა ცოტათი შემსუბუქდა და ტურისტებისთვის მინი ტურიც ეწყობა კუნძულის კონკრეტულ მონაკვეთებზე.





ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კატამ ყინვაში დატოვებული ჩვილი სიკვდილისგან იხსნა



**რუსეთის ქალაქ ობნინსკში ციმბირული ჯიშის კატამ, სახელად მაშკამ, ქუჩაში დატოვებული ჩვილი ბავშვი სიკვდილისგან იხსნა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კატა რამდენიმე საათის განმავლობაში ათბობდა დაახლოებით 2-3 თვის ბავშვს. ადგილობრივების თქმით, მაშკა კნავილით ცდილობდა, ახლომახლო მცხოვრები ადამიანების ყურადღების მიპყრობას.** საბოლოო ჯამში, ბავშვის აღმოჩენა შეძლეს. როგორც მისი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გაირკვა, პატარას გაყინვის არავითარი კვალი არ აღენიშნებოდა. სასწრაფო დახმარების ექიმების თქმით, კატას იმდენად აღელვებდა ბავშვის ბედი, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში სასწრაფო დახმარების მანქანას მისდევდა.

# 2014 წლის ყველაზე ძვირად ღირებული ხელოვნების ნიმუშები



## ორჯერ უორჰოლი

**ენდი უორჰოლის ერთბაშად ორი ნამუშევარი მოხვდა წლის ათეულში: მესამე ადგილზე — „სამმაგი ელვისი“ („Triple Elvis“) — 81,9 მილიონი აშშ დოლარი, მეშვიდე ადგილზე — „ოთხი მარლონი“ („Four Marlons“) — 69,6 მილიონი აშშ დოლარი.** დიდფორმატიანი აბრეშუმოგრაფიები გერმანიის ჩრდილოეთ რეინვესტფალიის ფედერალური მიწის საკუთრება იყო და მათ გაყიდვას კრიტიკის ტალღა მოჰყვა.



## ამადეო მოდილიანი. «თავი»

**იტალიელმა მხატვარმა და მოქანდაკემ ამადეო მოდილიანიმ რამდენიმე თავი-ქანდაკება („Tete“) შექმნა, რომლებსაც „სინაზის ბურჯებს“ უწოდებდა.**

მათში იგრძნობა იმ დროს მოდური აფრიკული ხელოვნებისა და, აგრეთვე, მოდილიანის მასწავლებლის — კონსტანტინე ბრაკუზის გავლენა, რომელიც აბსტრაქტული მოქანდაკეობის ოსტატად ითვლებოდა.

ნამუშევარი 70,7 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.



## ალბერტო ჯაკომეტი. «ეტლი»

**2014 წლის ყველაზე ძვირადღირებული ქანდაკება შვეიცარიელი ალბერტო ჯაკომეტის „ეტლი“ („Chariot“) გახდა.** 1952 წელს შექმნილი ქანდაკება Sotheby-ს აუქციონზე ნიუ იორკში 100,9 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ავტორმა ეტლზე მდგომი ქალღმერთის რამდენიმე ვარიანტიც შექმნა, თუმცა მათგან მხოლოდ ორია კერძო საკუთრებაში.



## საი ტვომბლი. «უსახელო»

**ამერიკელი აბსტრაქციონისტის, საი ტვომბლის შემოქმედების დამახასიათებელი მანერა, ნიშნების ქაოტური გადაჯაჭვულობა, ხაზები და ნაკაწრებია.** მისი 1970 წლის ნახატი 69,6 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ტილო დიდფორმატიანია: დაახლოებით 1,5X2 მეტრზე. მსგავსი „პროგრამული“ ნამუშევრები ხელოვნების ბაზარზე ძალიან მოთხოვნადია.



## ბარნეტ ნიუმანი «შავი ცეცხლი»

**„შავი ცეცხლი I“ („Black Fire I“) — აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ტილო, რომელმაც მფლობელი 84,2 მილიონ აშშ დოლარად შეიცვალა.** 40 წლის ასაკში ნიუმანმა მანამდე არსებული მისი ყველა ნამუშევარი გაანადგურა, თუმცა ცხოვრების მომდევნო 25 წლის განმავლობაში 120-მდე ახალი ნახატი შექმნა. ყველა მათგანი მხოლოდ იმ ხუთ თემას ეხება, რომლებიც მხატვარმა ხელოვნების ღირსად მიიჩნია: ცხოვრება, სიკვდილი, ადამიანი, ბუნება და ტრაგედია.



## ფრენსის ბეკონი. «ჯონა ედვარდის პორტრეტის სამი ეტიუდი»

**ფრენსის ბეკონმა სოხოს ერთ-ერთი კლუბის ბარმენის, ჯონა ედვარდის, პორტრეტი 1984 წელს 75 წლისამ დახატა.** ედვარდსი მხატვრის გვიანი პლატონური სიყვარული იყო. ნახატი 80,8 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ბეკონი ამჟამად ყველაზე ძვირადღირებული მხატვრების სიის მოწინავე წარმომადგენელია.



## ფრენსის ბეკონი. «მოლაპარაკე ჯორჯ დაიერის პორტრეტი»

**ბეკონის კიდევ ერთი ნამუშევარი რეიტინგში. 1966 წელს შექმნილი ნახატის გმირი — ჯორჯ დაიერი, მხატვრის საყვარელი და ნატურისტი იყო.** ბეკონი ირწმუნებოდა, რომ დაბალი ფენებიდან გამოსული ჯორჯი მაშინ გაიცნო, როდესაც ის მისი ბინის გაქურდვას აპირებდა. ნახატი 70,8 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბეკონის შემოქმედებაზე ფასები დაახლოებით ათჯერ გაიზარდა.

## მარკ როტკო. «უსახელო»

**1903 წელს, ვიტებსკის გუბერნიაში, დვინსკში დაბადებული მარკუს როტკოვიჩი, რომელიც აშშ-ში გადასახლების შემდეგ ცნობილი გახდა, როგორც მარკ როტკო, ფერადი ველის ფერწერის ერთ-ერთი შემქნელი იყო.** ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სურათი „იწყება არა ნახატისგან, არამედ ფერისგან“. ამ წამყვანი აბსტრაქტული ექსპრესიონისტის ნახატი 66,2 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ორმოცმა გოგომ ერთი ბიჭის გამო იჩხუბა

**ყაზახეთში, ატკობის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში გოგონებმა ხელჩართული ჩხუბი გამართეს. ერთმანეთს ორი კოლეჯის მეორე კურსელი 40-მდე გოგონა ებრძოდა. ჩხუბის მიზეზი ერთი ბიჭი იყო, რომელიც გოგონებმა ვერაფრით გაიყვეს.**

შინაგან საქმეთა რეგიონულმა დეპარტამენტმა ჩხუბის ფაქტი დაადასტურა, თუმცა დეტალები არ ხმაურდება. დაზარალებული გოგონებიდან არც ერთს არ უჩივლია.





## ედუარდ მანე. «გაზაფხული“

**ედუარდ მანე XIX საუკუნის ერთადერთი მხატვარია, რომელიც 2014 წლის ყველაზე ძვირი მხატვრების სიაში მოხვდა.** „გაზაფხული“ („Le Printemps“) 65,1 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.

**მთელი რიგი ყველაზე უცნაური ქმნილებები, რომლებსაც, ძნელია, ხელოვნების ნიმუში უწოდო, ასევე კოსმიურ თანხად გაიყიდა.**




## მარსელ დიუშანის «შადრევანი»

**ფრანგ დადაისტ დუშანს პირველს მოუვიდა აზრად, საყოფაცხოვრებო ნივთი ხელოვნების ნიმუშად ექცია.** 1917 წელს დიუშანმა პუბლიკას წარუდგინა პისუარი წარწერით R. Mutt, რომელსაც „შადრევანი“ უწოდა. „შადრევანის“ ერთ-ერთი ასლი აუქციონზე 1999 წელს გამოჩნდა და 1,7 მილიონ დოლარად გაიყიდა.

## ხელოვანის განავალი




**1961 წლის მაისში მანძონიმ შეაგროვა საკუთარი ფეკალიები და 90 დანომრილ კონსერვში განათავსა, თითოეულ მათგანში 30 გრამი მასა ეტეოდა.** ზედ წააწერა „100%-ით ნატურალური ხელოვანის განავალი“. წარწერა გააკეთა ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე და ის ფასი დაადო, რამდენიც 30 გრამი ოქრო ღირდა მაშინ. თითო კონსერვის ამჟამინდელი ფასი 30 500 ევროა. 2007 წლის 23 მაისს ერთ-ერთი ეგზემპლარი აუქციონზე 124 000 ევროდ გაიყიდა.

# საუკუნის აფერა

**როგორი აფერა აღარ მოუფიქრებიათ თაღლითებს, მაგრამ მათ შორის საუკეთესოდ თითქმის ერთხმად აღიარებენ ერთი ყელსაბამის ისტორიას.**

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთხელ ვიღაც ვაჭარი კვირის დასაწყისში ჩავიდა ინგლისში, გააფორმა რამდენიმე ძვირადღირებული კონტრაქტი იმ პირობით, რომ მათში მონაწილეობას ახლო მომავალში დაადასტურებდა. უარის თქმის შემთხვევაში, ვალდებული იყო, გადაეხადა გარკვეული ოდენობის თანხა. კონტრაქტების გაფორმების შემდეგ ინვესტორი გაფრინდა შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში. პარასკევს, საღამო ხანს ის წავიდა იმ ქუჩაზე, რომელზეც უამრავი საიუველირო მაღაზია იყო. როდესაც ერთ-ერთ მათგანში შევიდა, იმდენხანს ირჩევდა სამკაულს, ყველა გამყიდველი დაღალა თავისი პრეტენზიებით; როგორც იქნა, ამოირჩია ყელსაბამი, რომლის ფასიც 100 000 დოლარი იყო. მან საფასური გადაიხადა ჩეკით და ინვესტორი შენაძენთან ერთად წავიდა, მეტიც, მაღაზიის გამყიდველმა ის კარამდეც კი მიაცილა.



მოულოდნელად გამყიდველმა შეამჩნია, თუ როგორ გადავიდა კლიენტი გზის მეორე მხარეს და სხვა საიუველირო მაღაზიაში შევიდა, სადაც მაღაზიის მეპატრონეს ახლახან ნაყიდი ბრილიანტის ყელსაბამი 80 000 დოლარად შესთავაზა. სწორედ ამან გამოიწვია ეჭვი, რომ ჩეკი ყალბი იყო და გამოიძახეს პოლიცია. მაგრამ ამის გარკვევა იმ მომენტში შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ყველა ბანკი უკვე დაკეტილი იყო.

პოლიციამ ინვესტორი დროებით დააკავა. ეჭვმიტანილმა პოლიციას თავისი სიაქციელი ასე აუხსნა: ყელსაბამი იყიდა იმიტომ, რომ შერცხვა, რადგან გამყიდველმა მასზე 2 საათი დახარჯა, ამით მას, ასე ვთქვათ, დახარჯული დრო აუნაზღაურა, ხოლო გაყიდვას იმიტომ აპირებდა, რომ ყელსაბამი არ სჭირდებოდა.

ორშაბათს ჩეკი შეამოწმა ექსპერტმა და, რაკი ყველაფერი წესრიგში იყო, ინვესტორიც გაათავისუფლეს.

ინვესტორი დაბრუნდა ლონდონში, სადაც პარტნიორებს აუხნა მიზეზი, თუ რატომ ვერ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, 2 დღის შემდეგ კი მან სარჩელი შეიტანა ორივე საიუველირო მაღაზიის საწინააღმდეგოდ და ზარალის ანაზღაურების სახით მილიონი დოლარი მოითხოვა. ინვესტორმა საქმე მოიგო და ეს აფიორა დღემდე საუკუნის აფიორად რჩება.

# რომელი ვიტამინი გვაკლია?

**თუ ძლიერ გიყვართ ტკბილეული, შოკოლადი და ასე შემდეგ, იცოდეთ, რომ თქვენ გაკლიათ ქრომი და ვანადიუმი. ნუ გაამტყუნებთ ბავშვებს, რომლებიც კარადიდან ტკბილეულს იპარავენ. თუკი ამ პრობლემას უყურადღებოდ დატოვებთ, დიდი რისკია, დიაბეტი ჩამოყალიბდეს.**



ფეხმძიმე ქალებს სულ რაღაცის ჭამის სურვილი აქვთ: ხან — მჟავე კიტრის, ხანაც — საზამთროსი ან სულაც ნაყინის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მზარდი ნაყოფი დედის ორგანიზმიდან მისთვის საჭირო მიკროელემენტებსა და მინერალებს ითხოვს. დაუკვირდით თქვენს ხელებს და სახის კანს — თუ ვარდისფერ ლაქებს შეამჩნევთ, იცოდეთ, რომ ეს სელენიუმის დეფიციტითაა გამოწვეული.

თუ ჭამის მადა დაკარგეთ, ვერ გრძნობთ საკვების გემოსა და სუნს, იცოდეთ, ეს თუთიის ნაკლებობის ბრალია და დიასახლისის პროფესიონალიზმი ნუ დაგაეჭვებთ.

ქალები პატივს უნდა სცემდნენ ბორს. იგი ეხმარება მათ ესტროგენის გამომუშავებაში, ხოლო კაცებს — ტესტოსტერონის. თუ ქალები გარკვეული დოზით არ მიიღებენ ბორს მენოპაუზის დროს, წარმოიშვება სხვადასხვა უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც ამ მდგომარეობას ახლავს თან. კაცებს კი, ტესტოსტერონის არასაკმარისად გამოყოფის შემთხვევაში, ნაადრევი იმპოტენცია ემუქრებათ.

თუთიის დეფიციტს ჩვენს ორგანიზმში გემოსა და სუნის დაკარგვით გავიგებთ. თუ თუთიის დეფიციტი არ შეივსო ორგანიზმში, ვითარდება სმენის დაქვეითება. თუ ქრომისა და ვანადიუმის დეფიციტს ყურადღებას არ მივაქცევთ, განვითარდება დიაბეტი.

თუ მაღალი წნევა გაწუხებთ, საერთოდ ამოიღეთ კვების რაციონიდან მარილი. 1991 წელს დოქტორმა უოლოკმა, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატია, ექსპერიმენტი ჩაატარა. საკონტროლო ჯგუფი 5000 კაცისგან შედგებოდა, რომელთაც მაღალი არტერიული წნევა აღენიშნებოდათ. კვების რაციონში ორჯერ გაზარდა კალციუმის შემცველობა და ექვს კვირაში ექსპერიმენტი შეწყვიტა. ადამიანების 85%-ს წნევა დაურეგულირდა.

ადამიანისთვის აუცილებელია 91 საკვები დანამატი, მათგან 60 სახის მინერალი, 16 ვიტამინი, 12 ძირითადი ამინომჟავა და პროტეინები, სამი ძირითადი ცხიმმჟავა. ამ დანამატების დეფიციტი უამრავი დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს.

# ბრიტანეთში ლგბტ ბავშვებისთვის პირველი სკოლა იხსნება



მანჩესტერში 2018 წლისთვის ლგბტ ბავშვებისთვის პირველი სპეციალიზებული სკოლის გახსნა იგეგმება. ამ სასწავლო დაწესებულების გახსნის ინიციატივა ეკუთვნის ორგანიზაცია LGBT Youth North Wes-ს, რომელიც სექსუალური უმცირესობების დასაცავად მთელ მსოფლიოში საქმიანობს.

სკოლა სპეციალიზებული სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიხსნება, მის ნაწილობრივ დაფინანსებას — 24 000 დოლარს წელიწადში ზემოხსენებული ორგანიზაცია გაიღებს. პროექტისთვის LGBT Youth North Wes-მა სახელმწიფოსგან უკვე მიიღო 63 000 ფუნტი (96 000 დოლარი).

სკოლა 60 ბავშვზეა გათვლილი. დონორი ორგანიზაციის პრესრელიზში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მიღებისას იმ ბავშვებს მიანიჭებს უპირატესობას, რომლებიც უკვე ლგბტ საზოგადოების წევრები არიან, თუმცა ადგილი ტრადიციული ორიენტაციის მქონე მოსწავლეებისთვისაც დარჩება.

LGBT Youth North West-ის სტრატეგიული განვითარების ხელმძღვანელის, ამელია ლის განცხადებით, ასეთი დაწესებულებების გახსნის საჭიროება ნამდვილად არსებობს. მისივე თქმით, მიუხედავად კანონმდებლობისა, რომელიც უმცირესობებს იცავს, სკოლებში არატრადიციული ორიენტაციის მქონე მოსწავლეები მაინც შიშისა და ზეწოლის ქვეშ არიან.

# ჰეპატიტების სამკურნალოდ მსოფლიოში აღიარებული მეთოდი — ოზონოთერაპია

**დღეს საქართველოში დიდი კამპანიაა გაჩაღებული C ჰეპატიტის წინააღმდეგ. ეს დაავადება მართლაც უამრავ ადამიანს აწუხებს, თუმცა ფინანსური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი ვერ ახერხებს სათანადო მედიკამენტოზურ მკურნალობას. ოზონოთერაპია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და 2011 წლიდან უკვე საქართველოში აქტიურად გამოიყენება ვირუსული ჰეპატიტების სამკურნალოდ. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ კლინიკის დამფუძნებელი, ექიმი ადა მჭედლიძე გვიამბობს.**




**— ქალბატონო ადა, რამდენად ეფექტიანია ოზონოთერაპია C ჰეპატიტის სამკურნალოდ და შესაძლებელია თუ არა ამ დაავადებისგან სრულად განკურნება?**

— ოზონოთერაპია უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება B, C და D ჰეპატიტების სამკურნალოდ. ჰეპატიტის ვირუსი ანაერობული (ჟანგბადის მოძულე) ბუნების ვირუსია. შესაბამისად, ჟანგბადით გამდიდრებულ სისხლში მას არსებობა არ შეუძლია. ოზონი კი ჟანგბადზე დაახლოებით 1200-ჯერ აქტიურია და შესაბამისად C ვირუსი მასთან კონტაქტისას იღუპება. გარდა ამისა, ოზონოთერაპია ეხმარება ჰეპატიტით დაზიანებულ ღვიძლს რეგენერაციაში. მკურნალობის შედეგად წესრიგში მოდის ღვიძლის ფუნქციები, ეს ნათლად აისახება ანალიზებში.

თუ კი საქმე გვაქვს ადრეულ პროცესთან და პაციენტის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა მყარია, ჰეპატიტი ექვემდებარება განკურნებას ოზონოთერაპიით მკურნალობის შედეგად. თუმცა ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა სრული რემისია რთულად მისაღწევია, ოზონოთერაპია საგრძნობლად აუმჯობესებს პაციენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხარისხს.

**— როგორც ვიცით, სხვადასხვა პრეპარატებით ჰეპატიტის მკურნალობა საკმაოდ მწვავე გვერდით მოვლენებთანაა დაკავშირებული. რა გვერდითი მოვლენები ახასიათებს ოზონოთერაპიას?**

WWW.AINO.GE
აინო
ოზონოთერაპიის კლინიკა

— მედიკამენტოზური მკურნალობისგან განსხვავებით, ოზონოთერაპიას გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს, რადგან ეს ნატურალური თერაპიაა. მეტსაც გეტყვით, პაციენტები, რომლებიც ქიმიური პრეპარატების პარალელურ რეჟიმში მკურნალობენ ჩვენთან, დაცული არიან სხვადასხვა პრეპარატების მავნე ზემოქმედებისგან. ოზონი ანეიტრალებს მათ გვერდით მოვლენებს. ასე რომ, ოზონოთერაპია, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას, როგორც მონოთერაპია, ასევე სხვა თერაპიის პარალელურად.

**თქვენ სამსახურში გვიგულეთ!**

**მის.: თბილისი, მცხეთის ქუჩა №8.
ტელ: 225-31-39, 571-25-55-33
WWW.AINO.GE www.facebook. com/aino.ge**

## ჯენიფერ ფსაკი: უკრაინის არმიამ აშშ-ისგან, შესაძლოა, თავდაცვითი იარაღი მიიღოს



**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, ჯენიფერ ფსაკიმ „დოიჩე ველესთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინის არმიამ აშშ-ისგან, შესაძლოა, თავდაცვითი ხასიათის იარაღი მიიღოს.**

მისივე თქმით, კიევისთვის იარაღის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილება ვაშინგტონში ჯერ არ მიუღიათ. „უკრაინის იარაღით დახმარების შესახებ დისკუსია დიდი დებატების ნაწილია, რომელშიც დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ. მთავარ მიზანს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დიპლომატიური გზებით შენარჩუნება წარმოადგენს“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

**მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.**

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

# ვინ არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატები

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატების სია გამოაქვეყნა. ოცდათექვსმეტ წარდგენილ პირთაგან რვამ თავისი კანდიდატურის განხილვაზე უარი განაცხადა.**

28-კაციან სიაში კი შედიან: **დავით ასათიანი, მამუკა ახვლედიანი, ირაკლი ბურდული, მერაბ გაბინაშვილი, გოჩა გოგიშვილი, ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ანა დოლიძე, ინგა თოდრია, ავთანდილ კახნიაშვილი, დავით კოლუაშვილი, ალექსი კობაიძე, კობა კობახიძე, თამარ ლალიაშვილი, გია მეფარიშვილი, როინ მიგრიაული, მამუკა მდინარაძე, ნოდარ მილაძე, ლევან მურუსიძე, მურმან ქამადაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მადონა ღიბრაძე, შალვა შავგულიძე, მარიამ ცისკაძე, მარინე ჭყონია, რომული ჯაფარიძე, თეიმურაზ ჯორბენაძე** და **გიორგი ჯულელი.**

რეგისტრირებულ კანდიდატებში არ არის ლეიბორისტული პარტიის მიერ წარდგენილი ჯონი ხეცურიანი. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განმარტავენ, ამის მიზეზი არის ის, რომ ხეცურიანის შესახებ მხოლოდ სატელევიზიო განცხადება გაკეთდა და ადმინისტრაციაში მისი კანდიდატურა წერილობით არ შესულა.



პირად წარდგინებაზე უარი განაცხადეს: **დარეჯან გოგიბერიძემ, ნუნუ კვანტალიანმა, დავით მამისეიშვილმა, დავით სულაქველიძემ, იური ტაბუცაძემ, ნათია წკეპლაძემ, ლადო ჭანტურიამ** და **თინათინ ხიდაშელმა.**

## სწრაფი ზრდა

**2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.**

**გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. — დიეტისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე, ძვალ-სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ. 558-15-63-33;
218-46-08 ექიმი ნინო
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: ევროკავშირის ქვეყნებმა 21 მლრდ ევროზე მეტი იზარალეს



**ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შედეგად 21 მილიარდ ევროზე მეტი იზარალეს, — განაცხადა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე მანუელ გარსია-მარგალიომ ბრიუსელში ევროპელ კოლეგებთან შეხვედრისას.** როგორც ესპანეთის პირველმა დიპლომატმა აღნიშნა, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას ძვირი დაუჯდება მოსკოვის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება. მისივე თქმით, რუსეთის წინააღმდეგ შეზღუდვების დაწესებით, ესპანეთში ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფერო დაზარალდა.



## უკრაინაში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ მილიონს მიაღწია

**უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ მილიონს მიაღწია.**

„ადგილობრივებისათვის ვითარება ძალიან რთულია. უკრაინა არასოდეს მოელოდა, რომ მსგავსი სიტუაცია შეიქმნებოდა, ჩვენ გვყავს მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებსაც საცხოვრებელი, სოციალური დახმარება და მუშაობა სჭირდებათ“, — განაცხადა სოციალური პოლიტიკის მინისტრმა პავლო როზენკომ.

უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფისა და კომუნალური მომსახურების ხარჯებმა 528 მილიონი დოლარი შეადგინა.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894